# საერთო გაზეთი

№21 (333) ● 10 ივნისი, 2015 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● WWW.SAERTOGAZETI.GE ● ფასი 1 ლარი



**დავით საგანელიძე:**

## ჩვენ ვცდილობთ დავარწმუნოთ ჩინეთის ხელისუფლება, რომ საქართველო მათთვის იქნება კარიბჭე ევროპისკენ მიმავალ გზაზე




**დიმიტრი ხუნდაძე:**

## როცა ვხედავ, რომ არაფერი კეთდება, ვერ გავჩუმდები...



„მე, როგორც ძირძველ მცხეთელს, გული მწყდება (ამავე აზრისაა ყველა მცხეთელი), რომ ჩვენი ქალაქი მხოლოდ რესტორნებთან, ლობიოსა და ხინკალთან ასოცირდება.“

**ვახტანგ ხარჩილავა:**

## საერთაშორისო მაფიის დიდი ღამე საქართველოში და სინათლე გვირაბის ბოლოს

**ლია ელიავა:**

სსფ რომ არა, ჩვენი ქვეყანა უკვე დიდი ხანია იქნებოდა ერთ-ერთი ეკონომიურად განვითარებული სახელმწიფო

**რამაზ საყვარელიძე:**

## სახელმწიფოსგან გათავისუფლებული მედია თავისუფალს არ ნიშნავს...

**ალექსანდრე აბდალაძე:**

როგორ იკეთებენ სომხები თავის საქმეს საქართველოს ხარჯზე?!

## ოდესა და „მიშა ადესსკი“, იგივე პოლიტიკური „ბომჟი“

**საერთო გაზეთი – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის**

ვახტანგ ხარჩილავა

# საერთაშორისო მაფიის დიდი ღამე საქართველოში და სინათლე გვირაბის ბოლოს

ბოდიშს ვიხდი მკითხველი საზოგადოების წინაშე, რომ მე, მწერალი, ფილოლოგიური განათლებით, ვლაპარაკობ თემაზე, რომელზეც კვალიფიციური ეკონომისტები და ფინანსისტები უნდა ლაპარაკობდნენ.

საქმე ეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდს, რომლის წარმომადგენელმა, როგორც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ამასწინათ განაცხადა, მისი პრემიერობის დროს სთხოვა არ დაეკავებინა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე. ქადაგიძესთან, მის მავნებლურ საქმიანობასთან დაკავშირებით, ფაქტობრივად, ყველაფერი ცნობილია და ამის შესახებ აქ საუბარს არ გავაგრძელებ.

ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილმა, თავისი სკანდალური განცხადებით, გაცილებით სერიოზულ და მნიშვნელოვან საკითხზე მიგვანიშნა, ვიდრე ქადაგიძის დაჭერა-არდაჭერის საკითხია.

ეს განცხადება მყისვე ბადებს კითხვას: რაში ედარდებოდა სსფ-ს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბედი, თუ ამ პრეზიდენტის საქმიანობა რაღაცით არ არის დაკავშირებული მის საქმიანობასთან?!

ეს ერთი შეხედვით გაკვრით, სასახვათაშორისოდ ნათქვამი, სულ რამდენიმესიტყვიანი განცხადება, არ არის გამორიცხული, ძალიან სერიოზული პროცესების ბიძგის მიმცემი გახდეს და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში სერიოზული ცვლილებები შეიტანოს.

რა ორგანიზაციაა ეს სსფ, რომელიც „ნაციონალების“ მმართველობის დროს წინა პლანზე არ ჩანდა, თითქოს ქვეყანაში არც იყო, ახლა კი ისევ გამოყო თავი და ლარის გამოჯანმრთელების მისია იკისრა, თუმცა მკურნალობის დადებითი შედეგები ჯერჯერობით არ ჩანს და, უნდა ვივარაუდოთ, რომ კიდევ კარგა ხანს არ გამოჩნდება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შექმნის იდეა მეორე მსოფლიო ომის წლებში წარმოიშვა.

ფონდის შექმნის მთავარი მიზანი იყო ომში მონაწილე ქვეყნების ეკონომიკის აღდგენისთვის ხელის შეწყობა და ისეთი საერთაშორისო საფინანსო სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ომის შემდგომ მსოფლიოს კრიზისიდან გამოიყვანდა.

იდეის ავტორები და მთავარი ინიციატორები აშშ და დიდი ბრიტანეთი დღემდე აკონტროლებენ სსფ-ს, ამერიკას ეკუთვნის ფონდის აქციების 20



პროცენტი, დიდ ბრიტანეთს, დაახლოებით, 7 პროცენტი. ფონდის წევრი ქვეყნების რაოდენობა 160-ს აღწევს.

მიუხედავად ამბიციებისა, სსფ-ის მონაწილეობა ომის შედეგად დანგრეული ქვეყნების ეკონომიკის აღდგენაში დიდად მნიშვნელოვანი არ ყოფილა.

მაგალითად, ომით ყველაზე მეტად დაზარალებული ევროპის სწრაფ ეკონომიკურ რეაბილიტაციაში მთავარი როლი ითამაშა არა სსფ-ის დოქტრინებმა, არამედ „მარშალის გეგმამ“.

70-იანი წლებიდან სსფ, ფაქტობრივად, უსაქმოდ დარჩა.

სწორედ მაშინ მოიგონა ამერიკის პრეზიდენტმა ფონდისთვის ახალი სამუშაო: სესხების გაცემა „მესამე სამყაროს“ წევრი ქვეყნებისთვის, მაგრამ ისე, რომ ამ ქვეყნებს ვერასოდეს ვერ გადაეხადათ ვალი.

ეს იყო ამ ქვეყნებზე მუდმივი გავლენის, მათზე კონტროლის მუდმივად შენარჩუნების შესანიშნავი საშუალება, რომელიც მოგვიანებით წარმატებით იქნა აპრობირებული სხვადასხვა ქვეყნებში და მათ ეკონომიკაზე დამანგრეველი ზემოქმედება მოახდინა.

ფაქტობრივად, ეს გახლდათ ნეოკოლონიალიზმის, ქვეყნების ეკონომიკური ანექსიის ახალი ფორმა, გაცილებით მზაკვრული და საშიში, ვიდრე ღია და პირდაპირი კოლონიალიზაცია.

ეს ის მდგომარეობაა, როდესაც კოლონიზატორი არ ჩანს, მას არ აქვს კონკრეტული სახელი და ფორმა, მაგრამ ის აქტიურად მოქმედებს ფინანსური და ეკონომიკური ბერკეტების მანიპულირებით და შიგნიდან გჭამს და განგრევს, როგორც მეტასტაზი.

სსფ საქართველოში 1992 წელს გამოჩნდა, თუმცა ოფიციალურად მისი საქართველოში შემოსვლის თარიღად 1994 წელი სახელდება.

მე მგონი, ზედმეტია იმის შეხსენება საქართველოს მოსახლეობისთვის, თუ რა არნახული მასშტაბების კატასტროფა განიცადა ქვეყანამ ამ წლებში.

მინდა შემოგთავაზოთ ინტერვიუ, რომელიც 1998 წელსაა ჩაწერილი. რესპონდენტის ვინაობას შეგნებულად არ ვასახელებ, რადგან ეს ადამიანი დღეს სახელისუფლო გუნდშია და არ მინდა ზედმეტი პრობლემები შეექმნას:

„სავალუტო ფონდი საერთაშორისო მასშტაბის ბანდიტური ორგანიზაციაა, ვთქვი ერთხელ და იგივეს გავიმეორებ ახლაც, რომელიც პირწმინდად აჩანაგებს და ანადგურებს იმ ქვეყნის ეკონომიკას, სადაც ის „მშველელის და მხსნელის“ იმიჯით შედის.

დღეს ისეა საქმე, რომ სავალუტო ფონდის დაუკითხავად ნაბიჯსაც ვერ გადავდგამთ. არადა, ამ ფონდის მოღვაწეობის მიზანი, ისე, როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც ერთადერთია: გააჩანაგოს ადგილობრივი მრეწველობა, ისეთი კაბალური სიტუაცია შეუქმნას ქართველ მრეწველს, რომ გააკოტროს და აიძულოს შეწყვიტოს საქმიანობა და ამით ბაზარი მოუმზადოს უცხოურ პროდუქციას.

როგორც მოგეხსენებათ, მსიფლიოში დღეს ჭარბწარმოებაა, ყველაზე დიდი პრობლემა გასაღების ბაზრის დაპყრობაა. სავალუტო ფონდი, ფაქტობრივად, უსუფთავებს ადგილს „ადგილობრივი წარმოების „ნარჩენებისგან“ უცხოურ პროდუქციას.

არადა, ჩვენ ხომ მიწათმოქმედი, აგრარული ქვეყანა ვართ. პურიც გვქონდა ჩვენი სამყოფი, ღვინოც და ზეთიც.

სანამ მსოფლიოში სახელგატეხილ ორგანიზაციას ჩავებღაუჭებოდით ორი ხელით, იქნებ სჯობდა წინასწარ გაგვეკითხა, რა საგმირო საქმეები „აქვს ჩადენილი მას მსოფლიოში“.

მოგიყვანთ რამდენიმე ფაქტს:

ვენესუელაში სსფ-ს ხელმძღვანელობით რეფორმები დაიწყო 1980 წელს. მაშინ მისი საგარეო ვალი 29 მილიარდ დოლარს შეადგენდა. სავალუტო ფონდის დახმარებით ვენესუელას 10 წლის შემდეგ გადასახდელი გაუხდა 32 მილიარდი დოლარი, ხოლო ადრინდელი ვალი 35 მილიარდამდე ავიდა.

სსფ პერუშიც 1980 წელს გამოჩნდა. გამოჩნდა და 10 წლიწადში პერუს მოსახლეობა მეოთხედით შემცირდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ადამიანები შიმშილით გაწყდნენ.

„შოკური თერაპიის“ ამოქმედებიდან რამდენიმე კვირის განმავლობაში ღატაკთა რიცხვი მოსახლეობის 35 პროცენტიდან 60 პროცენტამდე გაიზარდა.

ქვეყანაში იფეთქა ქოლერის ეპიდემიამ, რის წინააღმდეგ საბრძოლველად სახელმწიფომ მოახერხა მხოლოდ 60 მილიონის გამოყოფა მაშინ, როცა იგი ყოველთვიურად, ვიმეორებ ყოველთვიურად, იძულებული იყო საერთაშორისო კრედიტორებისთვის ეხადა 80 მილიონი დოლარი.

სსფ-ს კონსულტანტმა ჯეფრი საკსმა, ინფლაცია კი „შეაჩერა“ ბოლივიაში, მაგრამ იმის ხარჯზე, რომ ბოლივია, ამ ქვეყანაში სსფ-ის მოღვაწეობის პერიოდში, 1985-90 წლებში კოკაინის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მწარმოებელი გახდა მთელ მსოფლიოში.

სსფ თითქმის ყველა ქვეყანაში ერთი და იგივე მოდელით და პროგრამით მუშაობს. კერძოდ, აჩერებს ინფლაციის პროცესს, ქმნის სტაბილურობის სურათს, მაგრამ ეს სტაბილურობა მოჩვენებითია. ინფლაციის შეკავება ხდება მეორე უბედურების, ადგილობრივი წარმოების შეჩერების და ნგრევის ხარჯზე. მას ემატება ფულადი მასის ზრდის დამუხრუჭება. სოციალური პროგრამების უარყოფა, უარის თქმა კულტურის, მეცნიერების დაფინანსებაზე, ხელფასების, პენსიების გაუცემლობა...

სსფ საქართველოშიც მისთვის კარგად აპრობირებული მოდელით მუშაობს. ლარი თითქოსდა სტაბილურია, ინფლაცია მინიმალური, მაგრამ რის ხარჯზე მივაღწიეთ ამას?

მილიონამდე კაცი გაქცეულია საქართველოდან, მოსახლეობის 30 პროცენტი უმუშევარია, ვინც მუშაობს, იმასაც იმდენად დაბალი ანაზღაურება აქვს, ხელფასს ვერც უწოდებ.

როგორც მოგეხსენებათ, მს-




„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

ოფლიოში ჭარბწარმოებაა. სსფ-ს სტრატეგია სწორედ აქედან ამოდის. რაღა ადგილობრივი წარმოების აღორძინებაში ჩავყაროთ თანხები, ვაქციოთ ეს ქვეყანა მომხმარებლად, ბაზრად, მივცეთ იმდენი, რომ ისუნთქოს, იარსებოს — აი, სსფ-ს დევიზი, რომელიც საქართველოში უკვე რეალობად არის ქცეული.

ჩვენი ბიუჯეტის არსებობა მთლიანად სსფ-ს „გულმოწყალეობაზეა" დამოკიდებული, უკვე მას უდევს ხელი იმ ჟანგბადის ბალიშის მილზე, რომელზეც ჩვენი სიცოცხლეა დამოკიდებული და იმდენ ჟანგბადს გვაწვდის გამოზომილად, რომ მთლიანად არ დავიხრჩოთ.

ელექტროენერგიის, წყლის საფასური გაიზარდა თითქმის სამჯერ. რატომ, თუ იცით? მოსახლეობა იმასაც ვერ იხდიდა, რაც აქამდე იყო დაწესებული და გაზრდილი ფასებით რომ უფრო ვერ გადაიხდის, ამას რაღა მტკიცება უნდა... მაშინ რატომ წამოიჭრა ეს საკითხი? იმიტომ, რომ მე, ქართველ მეწარმეს, პროდუქციის თვითღირებულება გამიზარდონ ელექტროენერგიის და წყლის საფასურის გაზრდის გზით, „შემოვლითი" გზით. აი, ამ ჩანაფიქრის მიზანი.

...ბატონმა შადმან ვალავიმ ერთ-ერთ შეხვედრაზე ბოლომდე გახსნა ბრჭყალები და: — დიახაც, რომ კორიდორი უნდა იყოთ, რისი წარმოება, რა წარმოებაო, — ბრძანა.

ბატონმა შადმანმა „ბრძოლის ველი" დროულად დატოვა, თორემ შეიძლებოდა სავალუტო ფონდი დაობლებულიყო.

შადმანიც, როგორ შადიმანივით ჟღერს, კაცო! ჩვენი შადიმანებისგან ვართ ორ შაურად გაყიდული და ირანელ შადმანს რას ვერჩი...

„კორიდორიო", „კორიდორი" უნდა იყოთო... „კორიდორი" და დერეფანი რომ ვყოფილიყავით, იმისთვის ჩააქცია ამ მიწაში სისხლი და ოფლი ჩვენმა წინაპარმა?

არ მინდა, ბატონო, ჩემი შვილები და შვილიშვილები ოფიციანტები იყვნენ, თავმოყვარე, ღირსეულ ქართველებად მინდა დარჩნენ.

სსფ-ს რეკომენდაციებით შეთხზული საგადასახადო კოდექსის ყველა პარამეტრი რომ შევასრულოთ. ეს წარმოება უნდა დავხუროთ, იმიტომ, რომ გაკოტრებას ვერ ავიცდენ. კარგი ბატონო, დავხურავ მე ამ ქარხანას, სხვებიც დახურავენ თავიანთ საწარმოებს, გამოვიჯახუნებთ კარებს და წავალთ ამ სახელმწიფოდან, მაგრამ იმ ადამიანებმა რა ქნან, ვინც აქ მუშაობენ და ამით არჩენენ ოჯახებს.

ისინიც იძულებული გახდებიან გაიქცნენ ამ ქვეყნიდან. გაიქცნენ და გზაც იქითკენ ჰქონიათ — სსფ-საც ეს უნდა, რაც უფრო მეტი „მუქთამჭამელი" გავა ქვეყნიდან, მით უფრო კარგი მისთვის.

ჩვენმა საგარეო ვალმა 2 მილიარდ დოლარს მიაღწია. ვალი ვალად, პროცენტები პროცენტებად, ვინ უნდა გადაიხადოს ეს უზარმაზარი თანხა?

მომავალმა თაობამ!

ან გადაიხდიან, ან ვერა...

ჩვენ გენეტიკურად ჭკვიანი, გონიერი ერი ვართ. ჩვენ შეგვიძლია ფეხზე დავაყენოთ ჩვენი წარმოება თუ აქედან უნარიან ადამიანებს არ გავაქცევთ.

— ამოგვთხრიან ჩვენ ჩვენი შვილები საფლავებიდან ან კედლებთან მიგვაყენებენ-მეთქი, — ასე ვუთხარი ჩვენი ხელისუფლების მესვეურებს. მე რომ არ ვუთხრა, თვითონ არ იციან? ხომ არ შეიძლება, ერთი დღით ვიცხოვროთ, ხომ არ შეიძლება მომავალი გავუყიდოთ ჩვენს შვილებს, ჩვენს ქვეყანას, იმისთვის, რომ ჩვენ ორიოდე დღით მეტი დავყოთ ხელისუფლებაში?

საქართველოდან სანამ სსფ არ გავა, ეს ქვეყანა წელში ვერ გაიმართება. რაც უფრო ადრე მოხდება ეს, მით უკეთესი.

სად არის გამოსავალიო, — მეკითხებით თქვენ.

ეროვნული ეკონომიკის აღორძინებაშია გამოსავალი, ქართველი მეწარმისთვის, ქართველი გლეხისთვის იმგვარი პირობების შექმნაშია გამოსავალი, როცა მათ თავისი ნიჭიერების და შრომისმოყვარეობის გამოჩენის საშუალება მიეცემა.

ქვეყნის განვითარების ეკონომიკურ პროგრამას ქართველი პროფესიონალები უნდა ქმნიდნენ და არა უცხოური კაპიტალის მსტოვრები."






ამ ინტერვიუს გამოქვეყნებიდან 17 წელი გავიდა, მაგრამ რა შეიცვალა საქართველოში ამ ხნის განმავლობაში?

თითქმის არაფერი, რადგან არ შეცვლილა ის მკაცრად შემოსაზღვრული ჩარჩოები, რომელშიც გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩაგვსვეს.

„ნაციონალურმა მოძრაობამ", რომელიც ზედმიწევნით ზუსტად და პუნქტუალურად ასრულებდა სსფ-ს და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დირექტივებს, ფაქტობრივად, დაანგრია ქვეყნის ეკონომიკის საფუძვლები და საბოლოოდ გაწირა ქვეყანა მარადიული მათხოვრობისთვის.

ვინმეს ხომ არ ჰგონია, რომ „ნაცმოძრაობის" მთავარ იდეოლოგს ეკონომიკაში, კახა ბენდუქიძეს, უცოდინრობისგან წამოსცდა „ისტორიული ფრაზა": — ჩვენ არ გვჭირდება სოფელი და სოფლის მეურნეობაო...

ვინმეს ხომ არ ჰგონია, რომ „ნაციონალები" არაკომპეტენტურობის გამო მოუწოდებდნენ გლეხებს ვაზი აეჩეხათ და ამაში ფულის გადახდას ჰპირდებოდნენ?

ყოველივე ეს ქვეყნის საბოლოო დაკაბალების და ეკონომიკური ანექსიის კარგად გათვლილი და აწონილ-დაწონილი გეგმის ნაწილი იყო.

„ნაციონალურ მოძრაობას" და მის ელიტას სწორედ იმიტომ შეუქმნეს სასათბურე პირობები და მოქმედების სრული თავისუფლება სწორედ იმიტომ მისცეს, რომ ისინი, როგორც ვთქვით, ზედმიწევნით ზუსტად ასრულებდნენ ქვეყნის გარედან მიღებულ ინსტრუქციებს.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძეც იმ ბანდის წევრია, რომელიც საკუთარ ქვეყანას ისე ექცეოდა, როგორც სასტიკი და დაუნდობელი დამპყრობელი.

ქართველმა ხალხმა უნდა დაინახოს და სათანადოდ შეაფასოს 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მოსული ხელისუფლების ქმედებები, რომლებიც დიამეტრალურად საპირისპიროა „ნაცმოძრაობის" მავნებლური ქმედებებისა.

კერძოდ, „ქართულმა ოცნებამ" მთავარი აქცენტი „ნაცმოძრაობის" მიერ დასაღუპად განწირული ქართული სოფლის აღორძინებაზე გააკეთა და უფასოდ დაუხნა გლეხებს მიწები, გამოყო იაფი კრედიტები სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწარმოებლად და ა.შ. და ა.შ.

ახალმა ხელისუფლებამ რევოლუციური გარდატეხა მოახდინა ჯანდაცვის სფეროში და უფასო სახელმწიფო დაზღვევა ყველასთვის ხელმისაწვდომი გახადა, რითაც უეჭველ სიკვდილს გადაარჩინა ათასობით, ათიათასობით ადამიანი.

ეს ყველაფერი კი აშკარად ეწინააღმდეგება იმ კოლონიზატორული შინაარსის ეკონომიკურ დოქტრინებს, რომლებსაც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები და მათ შორის სსფ გვთავაზობს.

სწორედ ამით ხომ არ აიხსნება ის მასირებული შეტევა, ის უწყვეტი ფსიქოლოგიური ზეწოლა, რომელიც მოქმედი ხელისუფლების მისამართით ხორციელდება?

ამ შეტევის ავტორად „ნაცმოძრაობა" სახელდება, თუმცა ეს არ არის მხოლოდ „ნაცმოძრაობა" — ესაა ის საერთაშორისო საფინანსო მაფიის მანქანა, რომლის ერთ-ერთი ჭანჭიკი „ნაცმოძრაობაა".

„საერთო გაზეთმა" არაერთხელ ხაზგასმით თქვა, რომ ლარის გაუფასურებიასთან დაკავშირებული პროცესები ხელოვნურად იყო გამოწვეული და ფაქტობრივად, ეს გახლდათ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, რომელშიც უცხოური საფინანსო ინსტიტუტები და მათი ქართველი ემისრები აქტიურად მონაწილეობდნენ.

ვიღაც-ვიღაცებს არ სურთ ამის დაჯერება, თუმცა ლარის გაუფასურების პარალელურად აგორებულ უაღრესად საგანგაშო მოვლენებს ერთმანეთთან თუ დავაკავშირებთ და მთლიანობაში ერთად თუ გავაანალიზებთ, ამ დასკვნამდე ადვილად მივალთ — დიახ, ეს იყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, რომელიც დღესაც გრძელდება და გაგრძელდება მანამ, სანამ ამ ყველაფერს თავისი ზუსტი შეფასება არ მიეცემა...



# დავით საგანელიძე:

# ჩვენ ვცდილობთ დავარწმუნოთ ჩინეთის ხელისუფლება, რომ საქართველო მათთვის იქნება კარიბჭე ევროპისკენ მიმავალ გზაზე



**ინტერვიუ კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ ლიდერთან, პარლამენტარ დავით საგანელიძესთან**

**— ბატონო დავით, რამდენიმე დღის წინ ჩინეთში ბრძანდებოდით. როგორც ცნობილია, სერიოზული ეკონომიკური ურთიერთობების დაწყება იგეგმება — მრავალმილიონიანი ინვესტიცია უნდა განახორციელოს ჩინეთმა საქართველოში. ეს ჩვენი დიდი პერსპექტივის დასაწყისია.**

— მოგესალმებით. დიდი მადლობა, რომ ამ საკითხით დაინტერესდით.

მიმაჩნია, რომ დღესდღეობით ქართული მედია ბევრ ისეთ თემას აშუქებს, რაც არ არის ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი და პრიორიტეტული მიმართულებები, ხშირად, უკანა პლანზე რჩება. ამიტომ მიხარია, რომ თქვენ ყურადღებას აქცევთ ასეთ საკითხებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობები გაქრა, ფაქტობრივად, დარჩა უბრალო, ფორმალური კავშირები, რაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის უმნიშვნელო იყო.

ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში მოვახერხეთ და დღეს გვაქვს სერიოზული მიღწევები ამ კუთხით. ყოველივე ეს კი ისეთი ტემპებით ხდება, რამდენიმე წლის წინ ამას ვერც დავიჯერებდით.

თქვენ ვიზიტებზე მკითხეთ და მე მოგახსენებთ ამ ვიზიტების შედეგებს. ბოლო ექვსი თვის შედეგები რომ გაგაცნოთ, გეტყვით, რომ სამიოდე კვირის წინ სოფლის მეურნეობის მინისტრი იყო ჩინეთში და 153 ერთეული მძიმე ტექნიკის საჩუქრად გადმოცემა მოხდა ქართული მხარისთვის. შემდეგ ჩინეთის ორ პროვინციაში ქართული დელეგაცია გაემგზავრა. სინ ძიანის და შანსის პროვინციებს ესტუმრენ ჩვენი თანამემამულეები. სხვათა შორის, შანსის პროვინცია იმითაც არის გამორჩეული, რომ შანსიდან არის წარმოშობით ჩინეთის პრეზიდენტი სინ ძინ პინი. შანსის პროვინციიდან, რომლის დედაქალაქია სიანი, სიმბოლურად იწყება ცნობილი „აბრეშუმის გზა — ეკონომიკური სარტყელი“.

ქალაქ სიანში იყო ფართომასშტაბიანი ფორუმი.

სექტემბერში გვესტუმრება ჩინეთის სახალხო კონგრესის, ანუ პარლამენტის ვიცე-სპიკერი, რომელიც ჩინეთის უმაღლესი რანგის პირია.

ჩინეთში სულ რამდენიმე პირს აქვს სახელმწიფო მეთაურის წოდება და ჩვენი სტუმარიც, ვიცე-სპიკერი, ერთ-ერთია მათ შორის, ვინც ჩინეთის მეთაურად ითვლება. მასთან ერთად იქნებიან ჩინეთის პარლამენტის სამი კომიტეტის თავმჯდომარე — იურიდიული, სამართლებრივი და ეკონომიკური კომიტეტების ხელმძღვანელები.

24 ივნისს ჩვენი მხარე კვლავ გაემგზავრება ჩინეთში.

დელეგაციაში ბატონები კახი კალაძე, არჩილ ხაბაძე, დიასპორის კომიტეტის თავმჯდომარე ბატონი თემურ ჭკუასელი და მე ვიქნებით.

შემდეგ გაემგზავრება სოფლის მეურნეობის მინისტრი. პროექტების დაფინანსების და სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით სხვა ღონისძიებების დაგეგმვა-დაზუსტების კუთხით.

იგეგმება პრემიერ-მინისტრის ვიზიტი ჩინეთში, სადაც უნდა გაიმართოს დავოსის ანალოგიური ფორუმი. მიწვევა აქვს პარლამენტის თავმჯდომარესაც, შემდეგ ჩამოვა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. ეს მომავალი ექვსი თვის პერსპექტივებია და ასე დეტალურად იმიტომ მოგითხრობთ, რომ ასეთი ინტენსივობის, ასეთი სერიოზული შეხვედრები და ვიზიტები ჩინურ მხარესთან ჯერ არ ყოფილა.

პოლიტიკოსებს ის ფუნქცია გვაკისრია, რომ გავჭრათ გზები, დავამყაროთ ღია ურთიერთობები ბიზნესის თუ აღმასრულებელი სტრუქტურებისთვის ურთიერთობის თვალსაზრისით.

რამდენიმე დღეა, რაც ჩამოვედი და უკვე მესამე კომპანიას შევხვდი, რომელიც ჩინეთიდან ჩამოვიდა სხვადასხვა სფეროში საქმიანობის გაშლისთვის.

ვვარაუდობთ, ყოველივე ეს ქართულ ეკონომიკას ნახტომისებურ წინსვლას მოუტანს.

თქვენ ინვესტიციები ახსენეთ და მინდა სამი დიდი ჯგუფი გამოვყო კერძო ბიზნესის კუთხით.

კერძო კომპანიების აღორძინების თვალსაზრისით, მაგალითად, ჩაის კულტურის აღორძინების კუთხით, მაგრამ ის მეგა-პროექტები, რაც ეხება, ძირითადად, პორტების მშენებლობას, რკინიგზის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, ავტობანების და მაგისტრალების მშენებლობას, გვირაბების რეაბილიტაციას ძალიან დიდი თანხები სჭირდება და თუ საქართველო არ იქცა ასეთი დიდი პროექტების განხორციელების არეალად, დიდი ინვესტიციები საქართველოში ვერ შემოვა.

ჩვენ ვცდილობთ დავარწმუნოთ ჩინეთის ხელისუფლება, რომ საქართველო მათთვის იქნება კარიბჭე ევროპისკენ მიმავალ გზაზე და აქამდე მომავალი კომუნიკაციები თუ სწრაფად აღდგება და რეკონსტრუირდება, ეს მხოლოდ პოზიტიურ შედეგებს მოიტანს.

ყაზახეთის, თურქმენეთის, კასპიაზე რკინიგზის საქართველოში შემოსვლას ჩვენი რკინიგზის ინფრასტრუქტურის განვითარება ესაჭიროება, ამიტომ უნდა გაკეთდეს ჰაბი, სადისტრიბუციო ლოჯისტიკის ცენტრები, რომლებიც არსებობს ჩინეთში, ანალოგიური, მოსალოდნელია, საქართველოშიც გაკეთდეს.

40 მლრდ-იანი პროექტი სწორედ ამ მიზნებისთვის არის განკუთვნილი. „აბრეშუმის გზა — ეკონომიკური სარტყელის“ პროექტის განხორციელებისთვის. ეს 40 მლრდ. გზებისა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას მოხმარდება.



**— ქართული მხარის წილი რამდენი და როგორი იქნება ამ პროექტებში?**

— მოგეხსენებათ, იქმნება „აზიის განვითარების ბანკი“, რომელშიც 50-ზე მეტი ქვეყანა იღებს მონაწილეობას და, მათ შორის იქნება საქართველოც. ჩვენი მხარე უკვე ითვლება ამ ბანკის ერთ-ერთ დამფუძნებლად. 29 ივნისს საბოლოო დოკუმენტს მოეწერება ხელი, შემდეგ პარლამენტში მოხდება ამ დოკუმენტის რატიფიცირება და საკითხიც გადაწყდება.

ბანკის საწესდებო კაპიტალი თავიდანვე 100 მლრდ. დოლარი იყო, მაგრამ, მას შემდეგ, რაც პროცესს იაპონიაც შეუერთდა, მან 10 მლრდ. შეიტანა და უკვე 110 მლრდ. გახდა ბანკის საწყისი კაპიტალი. ეს არის სადამფუძნებლო თანხა. ბანკი ვარაუდობს, რომ აზიის ინფრასტრუქტურის განვითარებაში 2 ტრილიონ დოლარს ჩადებს.

მე შევხვდი ამ ბანკის პრეზიდენტს და ბევრი მნიშვნელოვანი საკითხიც გამოვკვეთეთ.

საინტერესოა, რომ საქართველო არ არის ამ ბანკის დონორი. დონორები გახლავან ჩინეთი, იაპონია და სხვა დიდი ქვეყნები. ამიტომაც ვუთხარი ამ ბანკის პრეზიდენტს: ჩვენ რეციპიენტები გახლავართ, მაგრამ ვართ ოქროს საწმისის ქვეყანა, ჩვენ მოვიპოვებდით ოქროს და ჩვენს აქ ყოფნას ოქროს ფასი აქვს-თქო. გავიხუმრეთ. თან გადავეცი ოქროს საწმისი, სუვენირი, რაზეც მან თქვა: ეს საჩუქარი ბანკის ახალ შენობაში თვალსაჩინო ადგილს დაიკავებსო.

საბოლოო ჯამში, ჩვენზე ბევრი რამ არის დამოკიდებული და უნდა გამოვიჩინოთ ინიციატივები და დაინტერესებანი.

**— გასაგებია, რომ შედარებით მოკლე გზა ევროპისკენ შავი ზღვით იქნება შესაძლებელი, მაგრამ ასეთი დიდი ეკონომიკური პროექტების საპირწონედ საქართველომ რითი უნდა დააინტერესოს ჩინეთი. რითი დაინტერესდა კიდევ ჩინური მხარე?**

— საქართველო არის და უნდა იყოს ის კარიბჭე, რომლითაც უნდა ჰქონდეთ გასასვლელი ევროპისკენ. ტვირთების მიღება ევროპიდან საქართველოში და მისი ლოჯისტიკა, ტრანსპორტირება ჩინეთში და პირიქით, ტვირთების გადაზიდვა. ყოველივე ეს მოგვცემს შესაძლებლობას, ჩინეთი დაინტერესდეს საქართველოთი ტურიზმით, სარკინიგზო მაგისტრალებით, პორტებით, იმ კონდიციის და მოცულობის, რაც სჭირდება ასეთი ტიპის პროექტების განხორციელებას.

კიდევ ის, რომ საქართველოში მეღვინეობა უნდა განვითარდეს, მეჩაიეობა და ა.შ. ამაშიც დიდ წვლილს შეიტანს ჩინური მხარე.

ჩვენთან ჩაი ითხოვს სერიოზულ აღორძინებას და ნუ უყურებთ ჩაის აღორძინებას საქართველოში, როგორც ეკონომიკირ აღორძინების შესაძლებლობას ჩვენი ქვეყნისთვის, ეს არის თქვენი კულტურის ნაწილი და თქვენ საქართველოში თქვენს კულტურას უნდა მიხედოთ-მეთქი, — ვუთხარი ჩინელებს.

ჩვენი კულტურის ნაწილია ვენახი და ღვინო, რომელიც არ არის პროდუქცია, რომელსაც მხოლოდ ვყიდით. ეს არის ჩვენი ათასწლოვანი კულტურის ნაწილი.

**— ჩინეთში განხორციელდება ქართული ღვინის ექსპორტი? ჩინელები ღვინოს მაინცდამაინც არ ეტანებიან.**

— შარშან ჩინეთში ქართული ღვინის ექსპორტი განხორციელდა. 1 200 000 ბოთლი ქართული ღვინო გაიგზავნა. წელს პირველ კვარტალში უკვე 400 000 ბოთლი ღვინოა შეტანილი და გაყიდული. ეს დიდი პერსპექტივის დასაწყისია. თუ გავხსენით ბაზარი ქართული ღვინისთვის, ეს ნიშნავს, რომ უფრო სერიოზულად უნდა მივხედოთ ქართული ღვინის წარმოებას.

**— ბატონო დავით, ახალი ჩინური ინვესტიციები, „აბრეშუმის გზა — ეკონომიკური სარტყელი“ არა მხოლოდ საკუთრივ საქართველოსთვის, არამედ მეზობელი და რეგიონის ქვეყნებისთვისაც იქნება მნიშვნელოვანი. კონკრეტულად რომელ პრიორიტეტს გამოჰყოფთ?**

— როცა ბაქო-ჯეიჰანის პროექტზე დაიწყო საუბრები, საქართველო საინტერესო გახდა ევროპის ქვეყნებისთვის. ჩინეთის ინიციატივები იქნება მნიშვნელოვანი საქართველოს სერიოზული გეოპოლიტიკური მნიშვნელობისთვის რეგიონში. ქვეყნის ინტერესების დაცვა ისტორიული თუ ეკონომიკური თვალსაზრისით. ყოველივე ეს დიდ მნიშვნელობას სძენს საქართველოს და რეგიონში დომინანტის ფუნქციის განმტკიცების შანსი გვეძლევა.

ჩვენ ვსაუბრობთ „აბრეშუმის

გზა — ეკონომიკური სარტყელის“ შესახებ. ეს იდეა სინ ძიან პინმა წამოაყენა. მაგრამ რომ ნახოთ რუკები, სადაც „აბრეშუმის გზა“ არის წარმოდგენილი, დიდ პავილიონებში არსად საქართველო არ ჩანს.



საქართველო არ არის ერთადერთი გზა. არსებობს ალტერნატიული გზაც — ყირგიზეთი-ყაზახეთი-თურქმენეთი-კასპია-აზერბაიჯანი-სირია-თურქეთი და აფრიკის ქვეყნები, მაგრამ საქართველოზე გადიოდა „აბრეშუმის გზა“, გორში ამის დამადასტურებელი ნაშთებიც არის, თუმცა ასეთი რამ ჩინურ რუკებზე არ არის წარმოდგენილი.

თითქმის ყველა შეხვედრაზე ამაზე მქონდა საუბარი, რატომ არ იყო რუკებზე საქართველო. ბოლოს ჩინეთის კულტურის მინისტრთან შეხვედრისას ვიხუმრე კიდეც: ახლა ისეთი რამ უნდა ვთქვა, რომელიც, ალბათ, დაძაბავს სიტუაციას — ჩვენი ანსამბლის მოცეკვავეები რომ მოგეწონათ, მათ თავიანთი ხმალ-ხანჯლით დავტოვებთ აქ, სანამ რუკებზე საქართველოს არ დააფიქსირებთ-მეთქი. ყველას გაეცინა და თქვეს: პირობას გაძლევთ, საქართველო ამ რუკებზე აუცილებლად გამოჩნდებაო.

ასე რომ, ყოველდღიური, სერიოზული მუშაობაა საჭირო, რადგან ყველა ქვეყანა დაინტერესებულია, რომ ამ გზამ მათ ქვეყანაში გაიაროს და მათი როლი მნიშვნელოვნად გაიზარდოს. შევიდეს ინვესტიციები.

პირველ რიგში, განსაკუთრებული როლი ეკისრება მასმედიას.

ყველა მათი ვიზიტი, ჩვენი ჩასვლა ჩინეთში და სხვა ღონისძიებები სრულად უნდა გაშუქდეს.

მე ინტერვიუ მქონდა „სი-სი-ტვ“-სთან და ყველა საინფორმაციო გამოშვებაში აშუქებდნენ ჩვენს ვიზიტს.

როცა მკითხეს შედეგებზე და ა. შ. მე ღვინის თემაზე მკითხეს, არც კი იცოდნენ, რომ საქართველო ღვინის ქვეყანაა და 530 ჯიშის ყურძენი ხარობს აქ. ისე დაინტერესდნენ, რომ ჩინეთის სახელმწიფო ტელევიზია —სი-სი-ტვ“-მ გადაწყვიტა აგვისტოში ჩამოსვლა და საქართველოზე ვრცელი ფილმის გადაღება.

კარგია, რომ ჩვენ ევროპისკენ მივდივართ, ვცდილობთ სრულ ინტეგრაციას, მაგრამ უნდა ვეძებოთ ალტერნატიული გზებიც და ხელიდან არ უნდა გავუშვათ ის დიდი შანსი, რომელსაც გვაძლევს ჩინეთის სწრაფი ეკონომიკური განვითარება.

**— არსებობს ინფორმაციები, რომ ანაკლიის პორტის მშენებლობა მალე დაიწყება. რა პერსპექტივებია ამ მიმართულებით?**

— ჩვენთვის პრიორიტეტულია „ანაკლია-პორტის“ მშენებლობა მარტივი მიზეზის გამო — ის არის ერთადერთი ადგილი, სადაც შესაძლებელია დიდი წყალწყვის გემების შესვლა. ასეთი შესაძლებლობა არ აქვს ბათუმსა და ფოთს. ანაკლია იდეალური ვარიანტია დიდი წყალწყვის გემებისთვის და ბუნებრივია, დიდია ინტერესი „ანაკლია-პორტის“ მშენებლობის საქმეში მონაწილეობისა.

საქართველოს, სამწუხაროდ, ამ პროექტის დაფინანსების საშუალება არ აქვს, ამიტომ როცა ინვესტიციაზე მიდგა საქმე, გაჩნდა სხვადასხვა ვარიანტები დაფინანსებაზე, განკარგვაზე და ა.შ.

ეკონომიკის სამინისტრომ პროფესიონალურად ჩაატარა ტენდერი. 20-მდე კომპანიას ჰქონდა განაცხადი შეტანილი და დღესდღეობით 6-7 კომპანიაა დარჩენილი. თუმცა უკვე გამოკვეთილია ერთი-ორი კომპანია, რომელსაც ყველაზე კარგი მონაცემები აქვთ. მათ შორის არის „პაუერ-ჩაინა“ და „ანაკლია-ეკო-პარკი“. რამდენადაც ვიცი, ესენი ერთად შემოდიან. არის კიდევ ერთი ჯგუფი „თი-ბი-სი“ ჯგუფი — კონტი-ჯგუფი“ — ამერიკული ჯგუფი და ერთ-ერთი ჩინური პორტი, რომელიც მეორე თუ მესამე ადგილზეა გადაზიდვებით ჩინეთში. ესენიც თავიანთ წინადადებებს აყენებენ. ყოველივე ეს კონკურსის თემაა.




საქმე ისაა, რომ მხოლოდ მშენებლობაზე არაა საუბარი, მთავარია, შემდგომ ვინ გაუკეთებს პორტს ოპერირებას.

ასე რომ, მე მოვლენებს არ გავუსწრებ. ეს ჩემი გადასაწყვეტი არაა და ეკონომიკის სამინისტროს სრულად ვენდობი ამ საკითხში.

**— გასაგებია, მაგრამ, ამ თემაზე საუბარი უკვე ორი წელიწადია მიმდინარეობს. ასეთი მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება საქართველოს ეკონომიკისთვის სულის ჩაბერვასავით იქნებოდა. რა აფერხებს პორტის მშენებლობის დაწყებას?**

— ასე მარტივად არაა საქმე. ასეთ თემებს ერთი და ორი წელი არ ჰყოფნის. როცა ამბობ, რომ შეგიძლია საქმის კეთება, უნდა წარმოადგინო კონცეფცია სრულად და ამომწურავად. ზოგად გათვლებს, გაანგარიშებებს, შესწავლას, ტენდერებს და ა.შ. და თუ ჩვენ ეს საქმე წელს დავაგვირგვინეთ, მიმაჩნია, რომ გაჭიანურებული კი არა, პირიქით, დაჩქარებულ ტემპებში გვექნება განხორციელებული.

წინა ხელისუფლება, რატომღაც, ანაკლიას არ უყურებდა სერიოზულად. ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის შემდეგ დავიწყეთ ამაზე მუშაობა და მოკლე პერიოდში ბევრი რამ გავაკეთეთ.

**— თქვენი ინიციატივაა საქართველოს განვითარების ბანკის მშენებლობის საკითხი. უფრო კონკრეტულად გვესაუბრეთ ამ თემაზე.**

— ჩვენი ინტერესია დღეს ქვეყანაში შემოვიყვანოთ სერიოზული საფინანსო ინსტიტუტები.

საქართველოში არსებობს კომერციული ბანკები, რომლებიც, იმ ფონზე, რაც აქ ხდება — ვითარდება ბიზნესი და ა.შ. საბანკო სექტორი ყველაზე მყარია, დიახ, ეს კარგია, მაგრამ არსებობს ხარვეზი. არსებობს მიმართულებები, რომლებიც ქვეყნის სტრატეგიული განვითარებისთვის არის საჭირო და ეს ვერ ხერხდება. კომერციულიო ბანკები ასეთი ტიპის ოპერაციებს ვერ ახორციელებენ.

კომერციულ ბანკებს აინტერესებთ მოგება, არსებობს რისკები, რასაც კერძო ბანკები, გასაგები მიზეზების გამო, თავს არიდებენ. თანაც არ აფინანსებენ ინოვაციურ პროექტებს. მაგალითად, ხუდონის და ამ ტიპის სხვა პროექტებს კომერციული ბანკები ვერ დააფინანსებენ..

დაბალი მოგების, შეიძლება წამგებიანიც, პროექტი, რომელიც ქვეყნისთვის იქნება მნიშვნელოვანი, სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს და მას უნდა ჰქონდეს განსაზღვრული პრიორიტეტი, მაგალითად, თევზსაჭერი დარგის განვითარება. ვინც არ უნდა მივიდეს ამ დარგის ასაღორძინებლად, კომერციული ბანკი არ მისცემს თანხას. აქ ჩნდება სახელმწიფო ბანკის საჭიროება, რომელიც, თავისთავად ცხადია, სრულიად არ იქნება კომერციული ბანკების კონკურენტი.

სახელმწიფო ბანკები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებშიც — აშშ-ში, ინგლისში, საფრანგეთში, თურქეთში, რუსეთში, საბერძნეთში, ჩეხეთში და ა.შ. ამ ქვეყნებს სჭირდებათ და ჩვენ არა?

ჩინეთის განვითარების ბანკს უზარმაზარი თანხები აქვს ქვეყნის გარეთ გატანილი.

მარტივ მაგალითს მოგიტანთ. როცა ჩინეთის განვითარების ბანკზე მქონდა საუბარი ორი წლის განმავლობაში და ვკითხე ჩინელებს, როგორ აქვთ წარმოდგენილი ინვესტიციების განხორციელების საკითხი, მათ თქვეს, რომ იმუშავებენ სახელმწიფო ბანკთან და ჩამოაყალიბებენ პრიორიტეტებს.

რაც შეეხება ქართულ ფონდებს. მივესალმები მათ არსებობას, ბევრ სიკეთეს აკეთებენ, მაგრამ მათ ბევრი არ შეუძლიათ. ფონდები რეგლამენტით, უფლება-მოვალეობებით ვერ მიდიან მეგაპროექტებზე.

ეს არის ჩემი პოზიცია და ამ შემთხვევაში, მე ვსაყვედურობ ყველას, ვისაც ეხება ეს და კარგად ვერ გაიაზრა ამ თემის აუცილებლობა.

**— თქვენ წელან სახელმწიფო ტელევიზიაზე საუბრობდით და მინდა ამ თემას მივუბრუნდეთ. საქართველოში ბევრი ე. წ. კერძო ტელევიზიაა. მაგალითად, ერთ-ერთი ძლიერი ტელეკომპანია „რუსთავი-2“ საქართველოში ნაციონალების ტელევიზიად ითვლება. ამ კუთხით არც „იმედი“ და სხვა მსხვილი ტელეკომპანიები არიან გამონაკლისი, ყველანი თითქმის წინა რეჟიმის დაკვეთებზე მუშაობენ.**

— კარგია, რომ კერძო ტელევიზიები არსებობს. თავისუფალი აზრის გამოთქმა ყველას უნდა შეეძლოს, მაგრამ ურცხვად და თავხედურად ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლა არავითარ ნორმაში არ ჯდება.

რაც მე მოვისმინე მიხეილ სააკაშვილის ბოლო სატელევიზიო ინტერვიუში, გამაოგნებელი იყო. კაცი, რომელიც ქვეყნიდან წასულია,. მასზე აღძრულია სს საქმე, ქვეყნის გარეთ ყველაფერს აკეთებს, რომ საქართველო დაანგრიოს გარედან. დარბის ყველა ქვეყანაში, ცხვირს ჰყოფს ყველა სტრუქტურაში — საერთაშორისო ორგანიზაციებში, ყველა საშუალებას იყენებს იმისთვის, რომ ლანძღოს და ათახსიროს ქვეყანა, ეძახოს ყველანაირი საძრახისი სიტყვა, დაარწმუნოს ყველა, რომ საქართველო არის გაუბედურებული, დაგლახებული ქვეყანა იმ ფონზე, როცა ჩვენ ვეძებთ, როგორ მოვიზიდოთ ინვესტიციები, როგორ გავაუმჯობესოთ ინფრასტრუქტურა, ხალხის მდგომარეობა. ნებისმიერი ქვეყანა ასეთ ადამიანზე საერთაშორისო ძებნას გამოაცხადებდა, ჩაათრევდა თავის ქვეყანაში და დასჯიდა.

სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ასეთი რამე რომელიმე ტელევიზიას რომ გაეკეთებინა, მაგალითად, აბაშიძე ან მამალაძე დაესვა ეთერში, 15 წუთში იმ ტელევიზიას დაანგრევდნენ, დაარბევდნენ და ა.შ. ჩვენ ამას არ გავაკეთებთ. გამწარებული ვინმე რომ შევარდნილიყო „რუსთავი-2“-ში იმასაც, ალბათ, დავაკავებდით, რადგან მედია უნდა იყოს თავისუფალი. მაგრამ ეს ადამიანი ქვეყნის უსაფრთხოებას ეხება. ყველაფერი ტყუილი თქვა იმ დღეს. ურცხვად და უნამუსოდ ისაუბრა იმაზე, რასაც ვინც ოდნავ მაინც ჩახედულია საქმეში, არ დაუჯერებდა, მაგრამ, გასაგებია, ის ობივატელზე მუშაობს. უშნოდ მსახიობობს, თითქოს ქუჩაში ხვდებიან, ესალმებიან და ა.შ. ყველამ ვიცით, ეს დადგმული სპექტაკლებია. ეს კაცი არის ბანდიტი და ამას ვამბობდი ყოველთვის. 2003 წელს მის გვერდით რომ არ დავდექი, მაშინ ქვეყნის მტრად მაღიარეს. ახლა უკრაინაში დაიდო ბინა. რამდენი წელი უნდა დასჭირდეს უკრაინას, მიხვდეს, დამაქცევარი რომ არის ეს ადამიანი.

ამას რომ ტელევიზია ასე ურცხვად აჩვენებს, რასაკვირველია, შესასწავლია იმ ტელევიზიის დაფინანსების საკითხი. ეს არ არის დემოკრატია. ეს არის ბრძოლა ქვეყნის წიონააღმდეგ. წარმოიდგინეთ, აშშ-ის რომელიმე ყოფილი პრეზიდენტი წავიდეს სხვა ქვეყანაში და ლანძღოს აშშ-ის ხელისუფლება.

რას აკეთებს ეს ტელევიზია, რას ჰგავს, მართლა, ეს?

**— თქვენ მართლა „უნიათო“ მთავრობა ხომ არ ხართ, როგორც სააკაშვილმა გიწოდათ. გამოიყენეთ შესაძლებლობანი, დასაჯეთ დამნაშავეები, დაამყარეთ სამართლიანობა!**

— ყველაფერს საზღვარი აქვს, მე უკვე ვხედავ, რომ ესენი ქვეყნის წინააღმდეგ იბრძვიან და ეს ფინანსდება ძალიან დიდი თანხებით. ეს კრიმინალები — ადეიშვილი, ახალაიები თუ ვიღაცები სხვა ქვეყნიდან უნდა გვლანძღავდნენ?! ვაპირებ შესაბამის ინსტიტუტებს კატეგორიულად მოვთხოვო მიიღონ ზომები, შეისწავლონ „რუსთავი-2“-ის საკითხი.

**— რატომ მიდიხართ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ამ ეთერებში?**

— ზოგადად, არ ვარ მომხრე, ბოიკოტი გამოუცხადოს პოლიტიკოსმა რომელიმე ტელევიზიას. უნდა მიხვიდე და შენი პოზიცია დააფიქსირო, მაგრამ საინფორმაციო საშუალება თუ ქვეყნის ძირგამომთხრელ პოლიტიკას ატარებს. შეფასებები უნდა მიეცეს.

მე მქონდა „ბოიკოტის“ ასეთი ფორმა, როცა ერთი მედიასააგენტო არასწორ ინფორმაციებს ავრცელებდა, ერთი კვირა ყველა საინფორმაციო საშუალება „დავსაჯე“ და არც ერთს არავითარ ინფორმაციას არ ვაწვდიდი, რადგან კოლეგებსაც უნდა ამოეღოთ ხმა კოლეგების უმსგავსობაზე. ეს, შეიძლება, არაა სწორი, მაგრამ როცა ხედავ, კვლავ ვიმეორებ, რომელიმე საინფორმაციო საშუალება ქვეყნის წინააღმდეგ მოქმედებს დადგმული სცენარებით, პასუხი უნდა გაეცეს ამას.

ყველა ტელევიზიას მივმართავ — მოემსახურონ ქვეყნის ინტერესებს და არა რომელიმე ადამიანის მიზნებსა და ამოცანებს.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# საერთაშორისო სავალუტო ფონდი რომ არა, ჩვენი ქვეყანა უკვე დიდი ხანია იქნებოდა ერთ-ერთი ეკონომიურად განვითარებული სახელმწიფო



**მიმდინარე ეკონომიკურ პრობლემებზე ვესაუბრებით ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ლია ელიავას.**

**— ქალბატონო ლია, ბოლო ხანებში აშკარა გახდა ის, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის მიმართება ჩვენს ქვეყანასთან, ძალიან საეჭვოა ეკონომიკური კუთხით. ფაქტობრივად ხდება ჩვენი ეკონომიკის სრული განადგურება, ინფლაცია, ქვეყანაში ფულის მასის შემცირება და გადინება, რის შედეგადაც მსოფლიო ბანკს ჩვენი სავალუტო რეზერვების დიდი ნაწილი აქვს გადაცემული და ქვეყნიდან კაპიტალი გაედინება, ეს გახლავთ მიზეზთა მიზეზი, რომლის გამოსწორებასაც ჯერჯერობით ხელისუფლება ვერ ახერხებს, ამან კი შეიძლება ქვეყანაში უმართავი პროცესები გამოიწვიოს.**

— საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის მუშაობაზე ჩვენს ქვეყანაში მე ვწერდი 2008 წლიდან სამეცნიერო სტატიებში, მაგრამ დღეს ხომ მეცნიერება არავის აინტერესებს? ვიდრე ეს საკითხი არ გახდა პოლიტიზირებული, მას ყურადღება არავინ მიაქცია. ჩემს სამეცნიერო სტატიებში ვასაბუთებდი, რომ სავალუტო ფონდის რეკომენდაციებს დიდი ზიანი მოაქვს ეკონომიკის განვითარებისათვის, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ ყველგან, სადაც კი შევიდა საერთაშორისო სავალუტო ფონდი. ყველა ამ ქვეყანაში ცხოვრება ბევრად გაუარესდა ვიდრე მათ შესვლამდე, ასე მოხდა ჩვენთანაც. **სხვათა შორის, ახლახან ჩინეთმა შექმნა საერთაშორისო ბანკი, რომელიც იქნება პირდაპირი საპირწონე საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და ის სწორედ იმიტომ შეიქმნა, რომ მათი საქმიანობით, ე. ი. საერთაშორისო სავალუტო ფონდით ბევრი ქვეყანა უკმაყოფილოა,** რადგანაც მათი ფუნქცია, დანიშნულება და ქმედებები — ერთმანეთს დაშორდა. ჩინეთს სურს, რომ შეიქმნას სწორედ ისეთი, რომელიც თავის ფუნქციას ზუსტად შეასრულებს ანუ დაეხმარება ქვეყნებს თავისი ეროვნული ეკონომიკის აღორძინებაში. ისიც მინდა ვთქვა, რომ ევროც სწორედ ამ დანიშნულებით შეიქმნა, ქვეყნებს სურდათ დოლარისგან განთავისუფლება. ამ ყველაფრიდან ცხადად ჩანს, რომ მსოფლიოს ბევრი საფინანსო ორგანიზაციები ფიქრობენ ამ პრობლემებზე, საერთაშორისო სავალუტო ფონდით უკმაყოფილება უკვე გლობალური მასშტაბითაც განიხილება.

**— რა ფუნქციას ასრულებს დღეს ეს ფონდი საქართველოში?**

— **დღეს ისინი წარმოადგენენ ე.წ. ეკონომიკურ ლუზას, რომელიც ჩაძირვისკენ გვექაჩება და მეტი არაფერი, არ გვაძლევენ არსებული მდგომარეობიდან ამოტივტივების საშუალებას და იცით რატომ? იმიტომ, რომ თუ თქვენ წაიკითხავთ მათ წესდებას, იქ არსად არ წერია, რომ მათი მოვალეობა და მიზანი გახლავთ განვითარებადი ქვეყნებისათვის ეკონომიკური დახმარება, ხალხის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ა. შ. მათი მიზანი ერთია, რომ ქვეყნებში იყოს კაპიტალისა და იმპორტის თავისუფალი მოძრაობა ანუ საიმპორტო ბარიერები იყოს ნულოვანი**. წესდებაში ისიც უწერიათ, რომ **თუ განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა საფრთხეს შეუქმნის რომელიმე განვითარებული ქვეყნის ეკონომიკას, ეს საფრთხეები ამ მისიის საშუალებით თავიდან უნდა იქნას აცილებული**. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, მათ შეუძლიათ გადაუარონ იმ ქვეყანას, რომელიც საფრთხის შემცველია მათთვის. კერძოდ, საქართველოში, სავალუტო ფონდის მისიის რჩევები დღეს აბსოლუტურად არ არის მიმართული ქვეყნის საკეთილდღეოდ, მათი რეკომენდაციები მიმართულია **მხოლოდ და მხოლოდ მათი მიზნების რეალიზებისკენ, ანუ იმაზე, რომ კაპიტალზე არ იქნას დაწესებული კონტროლი,** ეს ფრაზა ძალიან კარგად გაიმეორა, სხვათა შორის, პარლამენტის სხდომაზე მიწვეულმა **ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ქადაგიძემ,** ჩვენთან არ არსებობს კაპიტალზე კონტროლიო, პირდაპირ თქვა, არ დაუმალავს, ღმერთმა ნუ ქნას, ოდესმე იყოსო. არ არის ეს სწორი, ვინაიდან ყველა განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნები მკაცრად აკონტროლებენ იმას, თუ რა კაპიტალი შემოდის ქვეყანაში და რა გაედინება. ეს აქსიომაა ყველასათვის, ჩვენს გარდა, თანაც თამამად გვიცხადებენ, არ არის ამის ცოდნა საჭიროო. ეს არსად არ ხდება, აბა, მიდით აშშ-ში, თქვენ იქ არავინ არ შეგატანინებთ თავისივე ქვეყნის ვალუტას, დოლარს მილიონობით რაოდენობით, რატომ? ამაზე დაფიქრებულან ეროვნულ ბანკში? იმიტომ, რომ ისინი უფრთხილდებიან თავის ეკონომიკას, ჭარბი ფულის მოწოდებას. ჩვენთან კი ეს საქმე უკონტროლოდაა, ვისაც რამდენი უნდა, იმდენს შემოიტანს, ან გაიტანს. ზუსტად ამ მიზეზმა განაპირობა ის, რომ შარშან ნოემბრიდან ლარმა დაიწყო ვარდნა და მოხდა კაპიტალის მასიურად გადინებები ქვეყნიდან. ამის გაკონტროლების ფიზიკური და იურიდიული უფლება ეროვნულ ბანკს გააჩნია, უბრალოდ, არ აკეთებს. მათ ასევე შეუძლიათ იმის დადასტურება, ადგილი ჰქონდა თუ არა ქვეყნიდან კაპიტალის არაეკონომიკურ გადინებას, რატომ არ გააკეთეს? ჩვენგან განსხვავებით, სხვა ქვეყნებმა ეს საკითხი სწრაფად მოაგვარეს! ჩვენგან კი სახელმწიფო რეზერვები არამიზნობრივად დაიხარჯა. ეს გახლდათ სახელმწიფო სესხები, პრივატიზაციიდან შემოსული თანხები და სხვ. ეს იყო სიმდიდრე, რომელიც გამოდგებოდა საქართველოში კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის უზრუნველსაყოფად. რომ არა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის რეკომენდაციები, ჩვენი ქვეყანა უკვე დიდი ხანია იქნებოდა ერთ-ერთი ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფო.

**— რამდენად შესაძლებელია დღეს სავალუტო ფონდის ქვეყნიდან გასვლა, ბევრ ქვეყანაში მისი მისია საერთოდ არ არსებობს, მაგრამ ძალიან კარგად ცხოვრობენ, აქ რა ხდება?**

— დღეს, სავალუტო ფონდის საქართველოდან გასვლა წარმოუდგენელია, ისინი არ წავლენ, ვერც ხელისუფლება ვერ გაუშვებს იმიტომ, რომ ყოველთვის სჭირდებათ მათი რჩევები და ფული, 90-იანი წლების მერე ასე ცხოვრობს ქვეყანა. პირველი მსესხებელი ჩვენი ქვეყნისათვის, ესენი არიან, ამიტომ ეს გახლავთ დახშული წრე, ჩვენ ამ წრეზე დავდივართ ისე, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია ამ წრიდან გამოსვლა. **ერთადერთი ვარიანტი ის იქნება, თუ გვეყოლება იმდენად უშიშარი, გაბედული, ჭკვიანი და დამოუკიდებელი ხელისუფლება, რომელიც მართლა იფიქრებს ქვეყნის მომავალზე და მოსპობს სავალუტო ფონდის დიქტატურას ქვეყანაზე**. დღეს ეს სიტუაცია არა გვაქვს. რუსეთი ჩვენზე მდიდარი და დიდი ქვეყანაა, მაგრამ მათ არ გაიკარეს სავალუტო ფონდი იმიტომ, რომ 90-იან წლებში ნახეს თუ რა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მას შემდეგ, რაც რუსეთმა გაისტუმრა უზარმაზარი ვალი პარიზის კლუბისა, ინსტრუმენტი გამოეცალა სავალუტო ფონდს მათზე ზეწოლისა. **დღესდღეობით, რუსეთი იღებს მათ რეკომენდაციებს მხოლოდ და არ ახორციელებს პრაქტიკულად, ამიტომ მათი ფუნქცია იქ ნულის ტოლია**. ამას საქართველო ვერ აკეთებს, პატარა ქვეყანა ვართ.




**— ვალზე გამახსენდა, საქართველომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვალი, რომელიც 2017 წლამდე იყო გაწერილი, ამ ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, წინასწარ გადაუხადა ეროვნულმა ბანკმა, რატომ?**

— ეს არავინ არ იცის, თუ რატომ, ფაქტია, რომ 230 მილიონი დოლარი მართლაც წინასწარ გადაიხადეს და **ეს იყო ქადაგიძის პირადი გადაწყვეტილება**, ამაზე პასუხს არავინ არ სთხოვს მას, ის დამოუკიდებელია გადაწყვეტილებებში. შეიძლება მოსთხოვეს გადახდა, შეიძლება პირადი ინიციატივა გამოიჩინა და ასიამოვნა მათ, ყველაფერი შეიძლება. რეალურად კი ეს გახლავთ ეროვნული ბანკის მხრიდან არაადეკვატური საქციელი, როცა ქვეყანაში ასეთი გასაჭირია, ისინი დიდ ზიანს აყენებენ ამით საქართველოს, ამას წყალი არ გაუვა, ეს ნათლად ჩანს.

**— ყველაფერთან ერთად საქართველოს ის უბედურებაც სჭირს, რომ ქვეყანაში ტრიალებს უამრავი რაოდენობის გაუკონტროლებელი შავი ფული, აყვავებულია სამორინეები და ტოტალიზატორები, სადაც ფულის გათეთრება ხდება?**

— ცხადია, რომ შავი ფულის ბრუნვა ქვეყნის ეკონომიკას არ წაადგება, ის ანგრევს მას. ჩვენთან კი ამ ბიზნესს ჰყავს ძლიერი ლობი ხელისუფლებაში, ამიტომ მისი აკრძალვის ან შორს გადატანის თაობაზე კანონი არ არსებობს, არც განიხილავენ. ჭორებიც არსებობს ისეთი, რომელიც სიმართლესთან ახლოს არის, კერძოდ, ამბობენ, რომ **ბევრი მაღალჩინოსანი იქ დადის იმისთვის, რომ ფული კი არ მოიგოს, არამედ „მოგების“ სახით ქრთამი აიღოს, ეს არც თუ ისე უსაფუძვლო ჭორია** და მეტად დამაფიქრებელი. ეს სფერო სრულიად უკონტროლოა და შეუსწავლელი, რაც საბოლოო ჯამში ქვეყანას აზარალებს. ხელისუფლებას არ ჰყოფნის იმდენი სითამამე, რომ ეს მახინჯი პრაქტიკა აღკვეთონ.

**— ბოლო დღეებში ბიძინა ივანიშვილის მიერ გაჟღერდა ის ინფორმაციაც, რომ ქადაგიძის არდაჭერის საკითხზე საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მას პირადად სთხოვა, ჰქონდათ კი ასეთ შიდა პოლიტიკურ საკითხებში ჩარევის უფლება?**

— დღეს ეროვნული ბანკი ვის დავალებებსაც ასრულებს და თვალებში შესციცინებს, ეს გახლავთ სავალუტო ფონდი, თვითონ კი აბსოლუტურად დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომელსაც სახელმწიფო ვერ აკონტროლებს, ეროვნული ბანკი გახლავთ ამ მისიის პოლიტიკის უსიტყვო გამტარებელი და შემსრულებელი ქვეყანაში და ცხადია, ისინი მას ყოველთვის დაიცავენ.

**ეთერ კასრელიშვილი**
599 110 200

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



დიმიტრი ხუნდაძე:

# როცა ვხედავ, რომ არაფერი კეთდება, ვერ გავჩუმდები...

რამდენიმე დღის წინ მცხეთა-მთიანეთის რეგიონის გუბერნატორის მოადგილემ კობა არაბულმა პრესაში ისაუბრა რეგიონში არსებული კორუფციული სქემებისა და დარღვევით ჩატარებული ტენდერების შესახებ, ტენდერში გამარჯვებული კომპანიისთვის გამოყოფილი თანხები აღემატება შესასრულებელი სამუშაოების ხარჯებს და სამუშაოები არასათანადოდ არის შესრულებულიო. არაბულის აზრით, ტენდერებზე ზეგავლენის მოხდენა შეეძლოთ მცხეთის, დუშეთის და თიანეთის მაჟორიტარ დეპუტატებს: დიმიტრი ხუნდაძეს, ირაკლი ტრიპოლსკისა და ზაქარია ქუცნაშვილს, თუმცა კობა არაბულმა მალევე უარყო თავისი განცხადება პარლამენტარებთან დაკავშირებულ ნაწილში, თითქოს არასწორად იქნა გაგებული მისი განცხადება. მოგვიანებით „ქართული ოცნების" ოფისში გამართული პარტიული შეკრების შემდეგ კი მან საერთოდაც ბოდიში მოუხადა ხსენებულ პარლამენტარებს, თუმცა აღნიშნა, რომ თავს დამნაშავედ არ თვლის. მედიით გამოთქმულ ბრალდებებს დაუყოვნებლივ გამოეხმაურა „ბრალდების" ერთ-ერთი ადრესატი, მცხეთის მაჟორიტარი დიმიტრი ხუნდაძე, რომელმაც პირიქით, გუბერნიის ადმინისტრაცია დაადანაშაულა მუშაობის შეფერხებაში. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ეს დაპირისპირება ახლა არ დაწყებულა, რამდენიმე თვის წინაც გაკეთდა გარკვეული განცხადებები, მაგრამ ემოციები გარკვეული პერიოდი მინელდა, მაგრამ როგორც იტყვიან, შუბი ხალთაში არ იმალება. „საერთო გაზეთს" არაერთხელ მიაწოდეს ინფორმაცია მცხეთა-მთიანეთის მხარეში მიმდინარე არც თუ მთლად ჯანსაღ მოვლენებთან დაკავშირებით (ამის შესახებ დაიწერა კიდეც ჩვენს გაზეთში), მცხეთელების განსაკუთრებულ უკმაყოფილებას ის გარემოება იწვევდა, რომ ის ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში ებრძოდნენ სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გარიყულები აღმოჩნდნენ, თანამდებობებზე ისევ ნაციონალების ის კადრები ინიშნებოდნენ, რომლებიც თავის დროზე თავგამოდებით ებრძოდნენ თუნდაც „ქართულ ოცნებას". ხალხმა ჩათვალა, რომ ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა, რამაც მათში ერთგვარი ნიჰილიზმი გააჩინა. ალბათ ამის შედეგიც იყო ამომრჩევლის დაბალი აქტიურობა ადგილობრივ არჩევნებზე და პარალელურად „ქართული ოცნების" რეიტინგის შემცირებაც.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, გვესაუბრება მცხეთის მაჟორიტარი დეპუტატი, პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე **დიმიტრი ხუნდაძე.**



ირაკლი ყიფიანი

- ძველ ისტორიულ (სატახტო) ქალაქ მცხეთას, ფაქტობრივად ქალაქ-მუზეუმს, რომელსაც უამრავი ტურისტი სტუმრობს (საბედნიეროდ ტურისტების ნაკადი გაიზარდა) არ აქვს მუზეუმი. თავიდან მცხეთის მუზეუმი სვეტიცხოვლის ტერიტორიაზე იყო განთავსებული, მოგვიანებით მცხეთის ყოფილი რაიკომის შენობაში გადაიტანეს, რომელიც 2011 წელს (ცეზარ ჩოჩელის გუბერნატორობის პერიოდში) „წყალკანალზე" გასხვისდა. ახალმა მფლობელმა მუზეუმის 25.000 ექსპონატი გარეთ გამოყარა და კონტროლის პალატის სარდაფში გადაამისამართეს, სადაც ისეთი ნესტია, დიდხანს რომ გაჩერდეთ, რევმატიზმი დაგემართებათ, იქვეა მოთავსებული მუზეუმის „ოქროს ფონდიც". არ არის გამორიცხული, რომ ექსპონატები, რომლებზეც თაობები გაიზარდა, დაზიანებული იყოს. ამ ოდენობის ექსპონატი ბევრ ქვეყანას არ აქვს, არათუ ერთ ქალაქს. **მე, როგორც ძირძველ მცხეთელს გული მწყდება (ამავე აზრისაა ყველა მცხეთელი), რომ ჩვენი ქალაქი მხოლოდ რესტორნებთან, ლობიოსა და ხინკალთან ასოცირდება.** მცხეთას არ აქვს ბაზარი, ადგილობრივი მოსახლეობა საყიდლებზე თბილისში დადის. ბაზრის პროექტი გამზადებული გვქონდა, თუ არ ვცდები 21.000 ლარი, ადგილობრივი რესურსი იყო გამოყოფილი და გვქონდა გათვლა, რომ 800.000 ლარის ფარგლებში ყოფილიყო ეს პროექტი რეალიზებული, მაგრამ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ შემდგომ წარმოადგინა ხარჯთაღრიცხვა, რომლის მიხედვითაც თანხა 800.000 ლარს აღემატებოდა, სადღაც მილიონამდე ჯდებოდა, რადგან ეს ტენდერის წესებს ეწინააღმდეგებოდა (რა პირობებითაც გაიმარჯვა, სამუშაოები იმ პირობებით უნდა შეასრულოს) უარი ვთქვით. მერე საერთოდ აღარ უფიქრიათ ბაზრის აშენება იმ მიზეზით, რომ თურმე მცხეთას ბაზარი არ ჭირდება. ამ დეტალებზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ტენდერებზე ზეგავლენის მოხდენას მედავებიან. სანამ გუბერნიის ხელმძღვანელობა არ იყო ჩვენი პოლიტიკური გუნდის წევრი, რაღაც ფუნქციებს მართლა ვითავსებდი, მაგრამ, როცა ახალი გუბერნატორი დაინიშნა, ვიფიქრე შემოგვეშველებოდა, ჩემთვის ერთგვარი შვებაც იყო, რადგან პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარეც ვარ და უამრავი საქმე მაქვს, თუმცა ყველაფერი პირიქით მოხდა, **ახალმა გუბერნატორმა ისეთი ხალხი შემოიკრიბა, რომ ჩემთვის ცოტა გაუგებარი იყო ამგვარი საქციელი. ადგილობრივი არჩევნების შემდეგ ჩემი არათუ ასე ვთქვათ, გვერდით გაწევა, დისკრედიტაციაც დაიწყეს, რაშიც შესაბამისი სამსახურებიც აქტიურად მონაწილეობდნენ**. ჯერჯერობით მეტი დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ, რადგან ჩემი სტრატეგიული გეგმა მაქვს, ყველა რესურსი ამოვწურე, რომ გუნდის შიგნით გამერკვია ყველაფერი, რვა თვე ვსაუბრობდი არსებულ პრობლემებზე, მაგრამ უშედეგოდ. მე პოლიტიკაში სამსახურის საძიებლად არ მოვსულვარ, ეკონომიკურად მანამდე უფრო კარგად ვიყავი, ჩემი მთავარი ამოცანაა, ჩემს ამომრჩეველს დანაპირები შევუსრულო. მცხეთელებს თანამედროვე სტანდარტების კლინიკის მოწყობას დავპირდი, შენობის რეაბილიტაცია უკვე დაწყებულია, კერძო ინვესტიციით ხდება, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია სუფთა ბიზნესი იყოს, ხელისუფლების მხრიდან მხოლოდ კანონიერი ხელშეწყობა უნდა იყოს და არა ჩარევა. ეს იქნება რეგიონული მნიშვნელობის თანამედროვე სტანდარტების მრავალპროფილური კლინიკა (104 საწოლზე), სადაც დაახლოებით 400 თანამშრომელი დასაქმდება. მე ისიც მიხარია, რომ ქართველი ინვესტორები გვყავს, რომლებიც სამედიცინო ბაზარზე დიდი ხნის შემოსულები არიან და ახლაც კარგად მუშაობენ.

ბატონი ბიძინა ივანიშვილი და მე მცხეთას სპორტულ კომპლექსსაც დავპირდით, რაც მცხეთელების ყველაზე დიდი ოცნება იყო. თავიდანვე დავიწყე ხსენებულ კომპლექსზე ზრუნვა, მაგრამ 2013 წელს მცხეთის კულტურის სახლი დაიწყო და, თანაც გუბერნიამ გადაიბარა ეს საქმე, ერთი სიტყვით, რაც ეხებოდათ და არ ეხებოდათ ყველაფერს ხელი დაადეს, თუმცა იმედს ვიტოვებ, რომ ამ აურზაურის შემდეგ მაინც მიიყვანენ საქმეს ბოლომდე. 2014 წელს კომპლექსის პროექტის განსახორციელებლად საწყის ეტაპზე უკვე გათვალისწინებული იყო 700. 000 თუ 800.000 ლარი, გუბერნიის ხელმძღვანელობას ვთხოვე, რომ ახალ წლამდე პროექტი დაესრულებინათ, რადგან მერე მშენებლობაზე უნდა გამოცხადებულიყო ტენდერი, თუმცა ასე გადააგორეს გასული წელი და მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ძლივს მოიტანეს კომპლექსის პროექტი. წელი უკვე გასული იყო და

ვა, მარტო დანაპირების შესრულებით ხომ არ შემოვიფარგლებოდი, მით უმეტეს, რომ მცხეთისთვის ძალზე მნიშვნელოვანია კულტურის სახლი. ამ პროექტის რეალიზებაც მოხდა, პირველი ეტაპი დასრულებულია, შენობა უკვე დგას, მაგრამ დროულად უნდა დასრულდეს, რომ მცხეთას ჰქონდეს 400-ზე მეტ ადგილიანი კულტურის სახლი. ცნობილი სატელევიზიო დაპირისპირების შემდეგ ეს პრობლემაც უკვე მოგვარდა, მაგრამ ასეთი მეთოდები არ უნდა გამხდარიყო საჭირო, ჩემთვის ხომ არ ვითხოვ, მცხეთას ჭირდება კულტურის სახლი და მუზეუმი. ამიტომ დავაჩქარე კულტურის ცენტრის მშენებლობა და ისევ მივუბრუნდი სპორტულ კომპლექსს. ეს არის 4,5-მილიონიანი პროექტი (ორი აუზი, ფიტნესკლუბი, კალათბურთის დახურული დარბაზი, კორტები), რომელსაც ცენტრალური ბიუჯეტი აფინანსებს, მოვიძიეთ კომპლექსის ასაშენებელი ადგილი, გამოვაცხადეთ ტენდერი პროექტთან დაკავშირებით, გამარჯვებულმა მუშაობა დაიწყო, მაგრამ პროექტის შესრულება გაჭიანურდა,



კობა არაბული

რადგან სპორტის სამინისტროდან იყო შემოთავაზება, რომ უფრო დიდი აუზი გაგვეკეთებინა, სადაც ჩემპიონატები ჩატარდებოდა. რადგან ეს პროექტსაც აძვირებდა და მომსახურების ხარჯებსაც (ყოველწლიურად ნახევარი მილიონი ჭირდება, რისი საშუალებაც მცხეთის ბიუჯეტს არ აქვს) უარი ვთქვით. ამასობაში ორი თვე დაიკარგა, მაგრამ პროცესი კვლავ ჭიანურდებო-

ხსენებული თანხა ფაქტობრივად დაიკარგა, ხელახლა გახდა მოსაძიებელი. მოგვიანებით მივხვდი, რატომაც ჭიანურდებოდა სპორტული კომპლექსის მშენებლობა.

- **რას გულისხმობთ?**

- საგურამოში კერძო ინვესტიციით 6-მილიონიანი მსგავსი კომპლექსი შენდება, რაც თავისთავად კარგია, მაგრამ, როგორც ჩანს, ვიღაცას გაუჩნდა ინტერესი, რომ მსგავსი ობიექტი სიახლოვეს არ იყოს, რადგან კონკურენციას გაუწევს ხსენებულ კომპლექსს. რამდენადაც ვიცი, ამ კომპლექსს გუბერნიის ხელმძღვანელობასთან დაახლოებული პირი აშენებს, თუმცა იმ ადამიანს რას ვერჩით? ეჭვი მაქვს, რომ მას უბრალოდ შეპირდნენ, კონკურენტს სიახლოვეს არ გავაჭაჭანებთო. ჩემი ეჭვები კიდევ უფრო გააღრმავა ერთმა გარემოებამ – სპორტული კომპლექსის საკითხზე მთავრობასთან ერთად ვიმუშავეთ, გამოვაცხადეთ ტენდერი, დიდი თხოვნით, ზემოხსენებულ თანხაზე ნახევარი მილიონი ლარი კიდევ დავამატებინე ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებს, ბოლო-ბოლო საქმე წინასაარჩევნო დაპირებას ეხებოდა, ხომ ხედავთ ხელისუფლებას მუდმივად იმას უკიჟინებენ, დანაპირებს არ ასრულებთო. 7-8 დღე აკლდა შესაბამისი სამუშაოების დასრულებას, რომ ტენდერი გააჩერეს, რის მიზეზად ექსპერტის დასკვნა დაასახელეს. შეიძლება იყოს ეს რეალური მიზეზი, მიზეზის მოძებნა ყოველთვის შეიძლება, მაგრამ რატომ ეწყობა ყველაფერი ერთმანეთს? მცხეთის არჩეული მერი **ავთანდილ ნემსიწვერიძე** საკმაოდ აქტიურად იყო ჩართული ამ საქმეში, ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ჰქონდა პროექტი შეთანხმებული, ანუ თავის ნებაზე არაფერი გაუკეთებია, ამდენი კონსულტაცია გაიარეს, ამ დონეზე შეთანხმეს და მაინც გაჩერდა ტენდერი, აქედან გამომდინარე, ხომ მაქვს უფლება ეჭვები მქონდეს? როგორც გითხარით, ბაზრის პროექტიც გააჩერეს, ერთი ჰკითხონ მცხეთელებს ჭირდებათ თუ არა ბაზარი, რომელსაც ტურის-

8 gv.

# როცა ვხედავ, რომ არაფერი კეთდება, ვერ გავჩუმდები...



7 gv.

ტული თვალსაზრისითაც აქვს დატვირთვა, უცხოეთის ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი და კულტურულ პროგრამაში ხშირად იყო შეტანილი ბაზარი. მუზეუმი თურმე საჭირო ყოფილა, მაგრამ გუბერნატორი ბრძანებს, მცხეთას სხვა რამეც ჭირდებაო, ნეტავი გამაგებინონ ეს სხვა რა არის და გააკეთონ ისიც, ვინ უშლით. სიმართლე გითხრათ, ამათი გაკეთებული ჯერ არაფერი მინახავს, მხოლოდ ის ვიცი, რომ ფეხბურთის გუნდი დააფინანსეს მგონი, 200.000 ლარით. მცხეთის მერი და გამგებელი (**ზურაბ აბესაძე**) წესიერი ხალხია, მაგრამ მუშაობის საშუალება არ აძლევენ, რა თქმა უნდა შესაბამისი სამსახურებიდან კონტროლი უნდა იყოს, მაგრამ 24-საათიან რეჟიმში წარმოუდგენელია. მერსა და გამგებელს უკვე ქვეცნობიერად შიში აქვთ, ფაქტობრივად იძულებულს ხდიან არაფერი გააკეთონ, რომ არაფერი გაფუჭდეს. იმიტომაც არის ბოლო ერთი წელი რაიონში სტაგნაცია, თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ მანამდე ორი სრულიად ახალი სკოლა აშენდა (წილკანსა და მუხრანში), სადაც უკვე ტარდება მეცადინეობა. ქსნისა



ზურაბ აბესაძე

და ციხისძირის ე.წ. საზღვარზე საბავშვო ბაღის მშენებლობაც დასრულების პროცესშია. ჩემი პირდაპირი მოვალეობა არ არის, რომ გამგეობის ფუნქცია შევითავსო, არც მაქვს ამის პრეტენზია, მაგრამ ჩემთვის საზედამხედველო ფუნქცია არავის ჩამოურთმევია, როცა ვხედავ, არაფერი კეთდება, მერი და გამგებელი შეშინებული თვალებით იყურებიან, რომ არაფერი გაუფუჭდეთ, ვერ გავჩუმდები. მთავარია გამიზნულად არ ფუჭდებოდეს საქმე, არ იყოს კანონდარღვევა, თორემ შეცდომები ყველას მოსდის, მით უმეტეს, რომ სატენდერო სისტემა ჩვენს ქვეყანაში ჯერ არ არის იმ დონეზე დახვეწილი. **კობა არაბული კორუფციულ სქემებსა და დარღვევით ჩატარებულ ტენდერზე საუბრობდა, რაშიც ოთხ მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად მინისტრებსაც დასდო ბრალი, თურმე მინისტრებთან ქრთამი მიდიოდა, დაასახელონ, რომელ მინისტრთან მიდიოდა ქრთამი?** გუბერნია უფუნქციოდ ვართ, მხოლოდ ის ფუნქცია გვაქვს, რომ პრემიერ-მინისტრი საქმის კურსში ჩავაყენოთო, ე.ი. მთავრობის მეთაური საქმის კურსში იყო ჩვენ რომ ფულს „ვაკეთებდით" და მინისტრებს ვუნაწილებდით, იმის თქმაც ხომ არ უნდათ, რომ პრემიერთანაც მიდიოდა „წილი"? გუბერნიის ხელმძღვანელობა მედიის საშუალებით კი არ უნდა მართავდეს პაექრობას, მათი პირდაპირი მოვალეობაა, რომ თუკი კანონდარღვევა აღმოაჩინეს, სამართალდამცავებს აცნობონ. ქსოვრისის 1,3-მილიონიანი ტენდერი (წყლის სათავო ნაგებობის მშენებლობა, რაც მართლაც უხარისხოდ გაკეთდა), რომელზეც აქცენტს აკეთებდა კობა არაბული 2010 წელს არის ჩატარებული, რა შუაშია აქ დღევანდელი ხელისუფლება და გამგეობა? სანამ რაიმე განცხადებას გააკეთებენ, წაიკითხონ მაინც როდის რა არის მომხდარი, რომ სასაცილოდ არ გაიხადონ თავი.

**- ბატონო დიმიტრი, მცხეთელების განცხადებით, რაიონის საჯარო სამსახურებში ნაციონალების აქტივისტები და ის ზონდერები ინიშნებიან, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმის დროს საპროტესტო აქციებს არბევდნენ. კადრების შერჩევა-დანიშვნას თურმე გუბერნატორის მოადგილე არაბული კურირებს, ყოველ შემთხვევაში, მუშაობის დაწყების მსურველთ მასთან ამისამართებენ. ისიც გვითხრეს, რეგიონს რეალურად ისევ ცეზარ ჩოჩელი მართავსო, მცხეთელებს იგი არაერთხელ შეუნიშნავთ „შუამავლებითურთ" გუბერნიის ადმინისტრაციულ შენობასთან, ექსგუბერნატორი თურმე ახალ პოლიტიკურ პარტიასაც ქმნის.**

- დასანიშნი ხალხის შერჩევა შემდეგი პრინციპით ხდება - მთავარია იგი მცხეთის მაჟორიტარის მოწინააღმდეგე იყოს, ჩემმა მომხრემ სამსახურზე არც უნდა იოცნებოს. ერთ-ერთმა მათგანმა შემდეგ საჯაროდაც თქვა, რომ თუ ჩემს წინააღმდეგ კრიტიკულ სატელევიზიო განცხადებას გააკეთებდა, ნებისმიერ თანამდებობაზე დანიშნავდნენ. **კობა არაბული გუბერნატორის მოადგილის თანამდებობაზე ჩემი, ირაკლი ტრიპოლსკისა და მიშა წიკლაურის** (სტეფანწმინდის მაჟორიტარი) **რეკომენდაციით დაინიშნა, იგი თავის დროზე „ქართულ ოცნებაში" იყო, არჩევნების დროს რეგიონის კოორდინატორი გახლდათ, აქტიურად მუშაობდა, მაგრამ მერე რაღაც გარიჟული აღმოჩნდა, შეგვეცოდა და რეკომენდაცია გავუწიეთ. სხვათა შორის, არაბული განათლებული კაცია, ამიტომაც გამიკვირდა, რომ საქმის არსში გარკვევის გარეშე გააკეთა განცხადება. ვფიქრობ, ის საკმაოდ დიდ თამაშში ჩაითრიეს და შეცდომაში შეიყვანეს.** ბევრ საკითხზე ახლა ღიად ვერ ვისაუბრებ, რადგან, როგორც გითხარით, ჩემი მოქმედების გეგმა მაქვს, ძალიან ბევრი მაქვს სათქმელი, მაგრამ როცა საჭიროდ ჩავთვლი, მაშინ ვიტყვი. ტყუილად არ დამიწერია ამ 7-8 თვის წინ, რომ მცხეთაში ხალხის უკმაყოფილება იზრდება, ხალხს არჩევნები მოპარესთქო, მაგრამ არავინ მიაქცია ყურადღება. ადგილობრივი არჩევნები ფაქტობრივად მოიპარეს, რადგან ხალხმა ერთ კანდიდატს მისცა ხმა, მაგრამ სხვა დანიშნეს (მერსა და გამგებელს არ ვგულისხმობ). კანონმდებლობით, გუბერნიას მუნიციპალიტეტის მუშაობაში ჩარევის უფლება არ აქვს, მაგრამ ესენი მცხეთის საზიანოდ ასე ვთქვათ, თვითშემოქმედებას ეწევიან. თავის დროზე რეკომენდაცია მქონდა, რომ გუბერნატორის ერთი მოადგილე მაინც ყოფილიყო მცხეთის რაიონიდან, ადგილობრივს მაინც სხვა პასუხისმგებლობა ექნება, ამაზეც უარი მივიღე, აღარაფერს ვიტყოდი კარგი კადრები, რომ მაინც დაენიშნათ. **ჩვენს ძალიან ღირსეულ ქვეყანას სათავეში ღირსეული ხალხი უნდა ედგეს, იგივე რეგიონის და რაიონის მასშტაბითაც. თანამდებობა იმისთვის კი არ არის, რომ მარტო სკამი შეავსო. ამათ საქმის კეთება არ უნდათ და სიმართლე გითხრათ, არც იციან. მე ბრძოლის შეწყვეტას არ ვაპირებ, ნუ ავიწყდებათ, რომ პროფესიით ქირურგი ვარ, მშიშარა კაცი საოპერაციოში არ შედის, მით უმეტეს, რომ ჩემი წარსულისაც არ მეშინია, რამე ლაქა რომ მქონდეს ამხელა ბრძოლას წამოვიწყებდი?**

თვითონაც კარგად იციან ჩემი წარსულის შესახებ, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, რომ უამრავი რამ დაებრალებინათ. **ირაკლი ღარიბაშვილს კარგად ვიცნობ, ძალიან განათლებული, ღირსეული და წესიერი ადამიანია, ამას იმიტომ არ ვამბობ, რახან პრემიერ-მინისტრია. მცხეთაში ისიც თქვეს (ცხადია, გუბერნიიდან წამოვიდა ეს ჭორი), რომ თითქოს მე და ბატონ ირაკლის კონფლიქტი გვქონდა, მერე ვითომ ბატონ ბიძინასთან მქონია კონფლიქტი. სულ ახლახანს ისიც თქვეს, რომ თურმე ნაგვის ურნის ბორბლებში ფულს „ვათეთრებ". სპეციალურად აგორებენ ბინძურ კომპანიას, რომ ჩემი დისკრედიტაცია მოხდეს.** ჩემი ბრძოლა ქვეყნის და ჩემი პარტიის ღირსებას ემსახურება, მე ბიძინა ივანიშვილს ძალიან კარგად ვიცნობ, დარწმუნებული ვარ, მისთვისაც ძალზე მიუღებელია, რაც ხდება, ასე რომ, მისგან მწარე რეაქცია მოყვება ამ ყველაფერს.



ავთანდილ ნემსიწვერიძე

რაც შეეხება საჯარო სამსახურებში დანიშვნებს, ჩვენ ვართ მმართველი პარტია და პირველ რიგში ჩვენ ვართ პასუხისმგებელი, რაც ქვეყანაში ხდება. მოგეხსენებათ, თანამშრომლებს კონკურსის წესით ღებულობენ, ვფიქრობ, უპრიანი იქნება თუ საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე მმართველი პარტიის წარმომადგენელი იქნება, თუმცა მცხეთაში ამ კომისიის თავმჯდომარე კი არა, რიგითი წევრიც არ არის „ქართული ოცნების" წარმომადგენელი. ვის აარჩევს და დანიშნავს ეს კომისია მითხარით, ვინ გააკეთა ეს ყველაფერი, რაზეც მცხეთელებს პრეტენზია აქვთ? სწორედ გუბერნიის ხელმძღვანელობასთან დაახლოებულმა პირებმა, ესეც არის ზუსტად იმ მოპარული არჩევნების ერთი რგოლი, რაზეც გესაუბრეთ. ისე, არ მგონია ისევ ჩოჩელი მართავდეს მცხეთა-მთიანეთს, პარტიის შექმნის ამბავიც ტელევიზიით შევიტყე, თუმცა მან უარყო ეს ინფორმაცია. სხვათა შორის, ჩოჩელთან ჩვენი ხელისუფლების ზოგიერთი ცნობადი სახეც მინახავს, რაც ცოტა არ იყოს გამკვირვებია. მათი ვინაობის გამხელისგან თავს შევიკავებ. მოგეხსენებათ, ჩემს საჯარო განცხადებებს მთავრობის მხრიდან რეაგირება უკვე მოყვა, გუბერნატორს მანამდე სხვა პოზიცია ჰქონდა, რაზეც სატელევიზიო სიუჟეტში ისაუბრა, თურმე მცხეთელებისთვის უნდა გვეკითხა სად განთავსებულიყო მუზეუმი, თუმცა მოგვიანებით განაცხადა, „ორივე ხელით" ვეთანხმები ყოფილი კინოთეატრის („კარიბჭე") შენობაში მუზეუმის მოწყობასო, საზოგადოებამ განსჯოს, თუ რას ნიშნავს გუბერნატორისა და მისი მოადგილის პოზიციების მყისიერი ცვლილება. ამ შენობის პირველი სართული თავადაც მუზეუმია, დასავლეთის მხრიდან მცხეთაში შემოსასვლელი სწორედ აქედან იყო, ნაშთიც არის შემორჩენილი, სწორედ ამიტომ დაარქვეს კინოთეატრს თავის დროზე „კარიბჭე". ძალზე საინტერესო პროექტია, მსოფლიო ბანკმა ორი მილიონი დოლარი გამოყო მუზეუმის მოსაწყობად, აქვე განთავსდება ოქროს ფონდი, ლაბორატორია. რა საჭირო იყო ამხელა აჟიოტაჟის ატეხვა, ისედაც იცოდნენ, რომ კულტურის სამინისტრო თანახმა იყო ხსენებულ შენობაში განთავსებულიყო მუზეუმი, ამას რად უნდოდა რეფერენდუმი, რომელი მცხეთელი იქნებოდა იმის წინააღმდეგი, რომ ქალაქს მუზეუმი ჰქონოდა, თანაც „კარიბჭის" შენობაში, რომელიც ამდენი წელი უპატრონოდ იყო მიტოვებული და გავერანებული. რატომ იკავებდა თავს გუბერნიის ხელმძღვანელობა იქ მუზეუმის განთავსებისგან, შეიძლება რაღაც ეჭვები მქონდეს, თუმცა ამ საკითხზე საუბრისგან თავს შევიკავებ.

**P.S. წინამდებარე ინტერვიუ „ქართული ოცნების" ცენტრალურ ოფისში ჩატარებულ იმ შეკრებამდეა ჩაწერილი, რომელიც მცხეთა-მთიანეთში განვითარებულ მოვლენებს უკავშირდებოდა. აქედან გამომდინარე, ჩვენ დაზუსტებით ვერ ვიტყვით, იქ კონკრეტულად რა საკითხებზე იყო საუბარი. თუ ჩვენს რესპოდენტს და ინტერვიუში მოხსენიებულ პირებს სურვილი აქვთ თავიანთი აზრი გამოხატონ, ჩვენ სიამოვნებით მოვუსმენთ და დავაფიქსირებთ მათ პოზიციას.**

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

ჩემი ბრძოლა ქვეყნის და ჩემი პარტიის ღირსებას ემსახურება, მე ბიძინა ივანიშვილს ძალიან კარგად ვიცნობ, დარწმუნებული ვარ, მისთვისაც ძალზე მიუღებელია, რაც ხდება, ასე რომ, მისგან მწარე რეაქცია მოყვება ამ ყველაფერს.



## რამაზ საყვარელიძე:

# სახელმწიფოსგან გათავისუფლებული მედია თავისუფალს არ ნიშნავს...

**„საერთო გაზეთის“ სტუმარია ფსიქოლოგი, პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე:**

**— ბატონო რამაზ, ქვეყანაში უამრავი პრობლემა დაგროვდა, რომელთა დიდი ნაწილის გამძაფრებას მედიაც უწყობს ხელს. სამწუხაროდ, ჯანსაღი მედია, ჩვენთან, ვერ შეიქმნა, თუმცა ამას ყურადღებას არავინ აქცევს.**

— თანამედროვე დემოკრატიული კანონმდებლობით მედია საშუალებები სახელმწიფოს გავლენისგან დაცულია, მაგრამ კომერციული გავლენისგან — ვერა. მედიაში ვინ რა თანხას გადაიხდის, ამის კონტროლი შეუძლებელია. კონტროლის მიზნით, მედია-საშუალება ვალდებულია თავის გამოცემას ტირაჟი მიუთითოს და მერე შესაბამისმა სტრუქტურებმა გადათვალონ შემოსავლები რამდენად შეესაბამება ტირაჟს. ანალოგიურად, ღია იყოს ინფორმაცია შემოსულ რეკლამებზე და ეს შემოსავალიც გადაითვალოს. საქართველოში, ასეთი ნაბიჯების გადადგმა, ძალიან გაძნელდა. გაზეთები ტირაჟს არ აქვეყნებენ, არც კანონმდებლობა ეჭიდავება. როგორც ჩანს, ეს პოლიტიკოსებსაც აწყობთ და მედიასაც. მივიღეთ სიტუაცია — ხელი ხელს, რაც ნიშნავს, რომ დაფინანსების თემა მიშვებულია. ამიტომ, რეალურად, სახელმწიფოს დოტაციური დაფინანსება მხოლოდ საზოგადოებრივ მაუწყებელს აქვს, ბეჭდვით პრესას ეს საერთოდ აღარ ეხება. მაგრამ არასახელმწიფო დაფინანსება, რომელიც რა წარმოშობისაა კაცმა არ იცის, უამრავია. გადავხედოთ სატელევიზიო არხების რაოდენობას, ახალი არხები რეგულარულად ჩნდება. იმდენი არხია რომ წესით, თუ მარტო სარეკლამო ბაზრით არსებობენ, ჩვენი ეკონომიკის მქონე ქვეყანამ ეს ოდენობა ვერ უნდა წარმოშვას. ელექტრონული მედია ხომ სარეკლამო ბაზარმა უნდა შექმნას? სარეკლამო ბაზარზე თუ არ ვცდები მხოლოდ 8 მილიონი ტრიალებს. გამოდის, ვიღაც ამ სიამოვნებისთვის იხდის. ასე, რომ რეალურად, ელექტრონული მედიის დიდი წილი დოტაციურია. ადრე, სახელმწიფო დოტაციაზე მყოფთაგან ვიგებდით რა უნდოდა სახელმწიფოს და საით მიჰყავდა ის ტელევიზია. საბჭოთა პერიოდში, საერთოდ, მაყურებლები თავადვე ვშიფრავდით რეალურად, რა მოიაზრებოდა ამა თუ იმ ნათქვამს უკან. შემუშავებული გვქონდა დაცვითი მექანიზმები, როგორ აგვეცილებინა თავიდან პროპაგანდა. ახლა ასეთი სიტუაცია აღარაა, რამდენადაც აღარ იცი ვინ დგას ამა თუ იმ ტელევიზიის უკან და რაღაცას რომ გეუბნება, ამას რა მიზანი აქვს, საით უნდა რომ წაგიყვანოს. როცა არ იცი საით მიჰყავხარ, წინააღმდეგობის გაწევა ძნელია. ვიმეორებ, რადგან ამ სიტუაციას არავინ არ ეკარება, ე.ი. ქვეყანაში ასეთი მედია-სივრცე და ხალხის ასეთი ცნობიერება ყველას აწყობს, რა თქმა უნდა, მოსახლეობის გარდა.

**— ხელისუფლებისგან მუდმივად გვესმის, მედია გავათავისუფლეთო, რისგან გათავისუფლდა იგი?**

— სახელმწიფოსგან უდაოდ თავისუფალია. ისეთი ნიშნები, რაც „იმედში“ შეჭრა იყო, აღარ არის. მაშინაც კი როდესაც ხელისუფლება მედიას ტენდენციურობას საყვედურობს, მადლობა ღმერთს, ამას ძალისმიერი ზეწოლა არ მოჰყვება. ეს სტილი ივანიშვილმა დაამკვიდრა. მაგრამ სახელმწიფოსგან გათავისუფლებული მედია თავისუფალს არ ნიშნავს იმიტომ, რომ თუ არსებობს ვიღაც, ვინც ამ მედიას თავის ჭკუაზე მართავს, ე.ი. ის თავისუფალი არაა. მაშინ, რა განსხვავებაა სახელმწიფო შეზღუდავს თუ რომელიმე პოლიტიკური ან კერძო პირი? ჟურნალისტი ამისგან რომ დაიცვა, უპირველესად, ძალიან სერიოზული საკანონმდებლო სისტემაა საჭირო. ანუ, თავისუფლების დაცვა არანაკლებ რთული მოვლენაა. შევადაროთ ადამიანის ბედ-იღბალს — მხოლოდ ის, რომ ადამიანის წამება არ შეიძლება, განა მისი თავისუფლების დაცვაა? მას ხომ უამრავი სხვა მექანიზმი სჭირდება საიმისოდ, რომ მონობაში არ იყოს. ვიცი საზოგადოებები, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება არჩევნებით მოდის, პრაქტიკაში, დღესაც აქვთ მონობის ფარული ფორმები. ანუ, ყველა ტიპის თავისუფლებას თავის კანონი სჭირდება. ერთ დროს, ასეთ კანონზე ვმუშაობდი და საკმაოდ ბევრი ნორმა და მექანიზმი მქონდა ჩადებული. მაშინ მედია ამიმხედრდა, პირველ რიგში კი, „რუსთავი-2“, ასევე, მოკამათეები იყვნენ გიგა ბოკერია და ლევან რამიშვილი. ისინი ამბობდნენ, რომ ნორმა საერთოდ არ უნდა იყოს. მართლაც, მერე, ჟვანიას პარლამენტს, თვითონ მიაღებინეს სიტყვის თავისუფლების სამ-გვერდიანი დეკლარაცია. ახლაც ეს ნორმა გვაქვს, რომელიც პრაქტიკულად, არაფერს ნიშნავს გარდა იმისა, რომ სიტყვა უნდა იყოს თავისუფალი. ეს იმის კარგი მაგალითია, რომ კანონების არქონა მედიის დამორჩილების საშუალებას იძლევა და ეს სწორედ მას აწყობს, ვისაც მედიის დამორჩილება აქვს განზრახული. როცა საზოგადოებრივ მაუწყებელს ვაძლიერებდი — შემომქონდა მექანიზმები, სადაც საზოგადოებრივი მაუწყებელი ჟურნალისტების ორგანო ხდებოდა, ბორდი მათ მიერ არჩეული პირებისგან იქმნებოდა, რაც პოლიტიკურ სტრუქტურებს საერთოდ არ ეკარებოდა — ცხონებული ეროსი კიწმარიშვილი მეუბნებოდა — რად მინდა ძლიერი კონკურენტი, შენ, გინდა მხარი დავუჭირო იმას, რომ კონკურენტი გამიძლიერდესო? ვკითხე, რატომ არის პირველი არხი შენი კონკურენტი, იგი არაკომერციული იქნება, რეკლამა არ უნდა ჰქონდეს-მეთქი. მაყურებელს თუ წაიყვანს, მერე მე ვინ მიყურებსო — მიპასუხა. სწორიც იყო. ასე, რომ ამ ტიპის ამოცანები პოლიტიკოსებმა თავის თავზე თუ არ აიღეს და სულ ეცადნენ, მედია ყოველთვის ეცდება საზოგადოებრივი მაუწყებელი სუსტი იყოს. რატომ




უნდა იყოს საზოგადოებრივი მაუწყებელი ძლიერი? — იმიტომ, რომ იგი კომერციული ინტერესისგან დამოუკიდებელი მაუწყებელია. იგი, როგორც არაკომერციული მაუწყებელი, თუ იტყვის ეს თეთრია და ეს შავიო, ამის მკვეთრად საპირისპირო ინფორმაციას სხვა არხები ვეღარ გაავრცელებენ. ამიტომ, ასეთი ტელევიზია არ აწყობთ. თქვენ ზომბირება ახსენეთ. ისეთი მედია-საშუალება, რომელსაც ზომბირების მიზანი არ ექნება, ხელსაყრელი არაა.

**— ზომბირების თემა მართლაც მნიშვნელოვანია. დღეს, რიგი ტელევიზიები პროპაგანდას უწევენ იმ აზრს, რომ „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში უნდა დაბრუნდეს. ისეთი სურათი იქმნება, თითქოს, ის 9 წელი არც ყოფილა. ხალხი ძებნილი სააკაშვილის ინტერვიუებს დღეგამოშვებით ისმენს და იძახის, ხედავ, რა კარგად ილაპარაკა მიშამო. უკვე დაავიწყდათ 9 წელი ცოცხი რომ ჰქონდათ უკან გარჭობილი თუ ეს იმ ფსიქოლოგიური ზეწოლის გამო ხდება, რასაც ტელევიზია საზოგადოებაზე ახორციელებს?**

— საზოგადოება, ხმა ერისაო ვიძახით, მაგრამ უპირველესად, ფსიქოლოგი ვარ და ფსიქოლოგია გვეუბნება, რომ ხალხის გადაწყვეტილება თითქმის არასოდესაა სწორი — ან ძალიან თამამია იმიტომ, რომ პასუხისმგებლობა არავის აქვს, ან ზედმეტად ფრთხილი. აქ, აზროვნებაზე უფრო ემოციაა წამყვანი — თუ შიშია წამყვანი, ხალხი ფრთხილია, თუ სითამამე — მაშინ რისკიანი. ამიტომ, ის რომ ხალხის გადაწყვეტილება სწორად განსაზღვრავს რაღაცას, ამის იმედი არ შეიძლება გვქონდეს. შეიძლება ბრბო სწორად ფიქრობდეს? ბრბო უკვე მიუთითებს, რომ იქ, რაღაც ემოციების სტიქიაზეა ლაპარაკი. ბრბოს ელემენტი, მეტნაკლებად, ყველა დიდ მასიურ პროცესშია ჩართული. ამერიკას ხალხის იმედი რომ ჰქონოდა და არა კონსტიტუციის მამების, ის კონსტიტუცია არასოდეს შეიქმნებოდა. მამები დასხდნენ, ყველა სარისკო მომენტი გადათვალეს და იმიტომაცაა, რომ მათი კონსტიტუცია დღემდე, პრაქტიკულად, შესწორების გარეშე მუშაობს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია, რომელიც სამწუხაროდ, საქართველოში ან კარგად არა, ან სპეციალურად არ ხდება მისი გაცნობიერება.

**— ჩვენი მამები სად არიან, არ გვყავს?**

— ჩვენ, მაგ მხრივ, ობლები ვართ. ერის მამას ილიას ვეძახდით. იგი ძალაუფლებისგან, სახელმწიფო სტრუქტურებისგან გვერდზე იდგა და ქვეყნის ავ-კარგზე ფიქრობდა. ახლა, ქვეყნის ავ-კარგზე მოფიქრალი ხალხი, როგორც ჩანს, საქრთველოში, იშვიათობაა. ეს არცაა გასაკვირი. არისტოკრატია ყოველთვის ფიქრობდა ერზე და არა მუცელზე, რაც მათ აღზრდაში იყო ჩაქსოვილი. ეს არისტოკრატია ნაკადებად გაწყვიტეს. ილიაც არისტოკრატი იყო, რომელსაც შესაბამისი განათლება, იმის სურვილი და უნარი შესწევდა, რომ ქვეყანაზე ეფიქრა. გასაკვირი არაა, რომ ასეთი ხალხი ნაკლებად გვყავს, რაც საბჭოთა პერიოდმა მოიტანა. მაგრამ ის, რომ ასეთი ხალხის შექმნაზე, გამოწრთობაზე, გამოძებნასა და წინ წამოწევაზე არ ზრუნავენ, ეს უკვე საკვირველია.

**— ამიტომაცაა, რომ ტელევიზიებით „მოწოდებული“ დაპირისპირებების, შუღლის გაღვივების მახეში ხალხი ადვილად ებმება. დესტაბილიზაციის გამძაფრება სახელმწიფოს დაშლის წინაპირობაც შეიძლება გახდეს. მსოფლიოში მიდის დისკუსიები, რომ ელექტრონულ მედიას ეროვნული ხასიათი ჰქონდეს. ჩვენთან რა ხდება ამ მხრივ?**

— კი, საზოგადოებრივ მაუწყებლებს ეს ფუნქცია აკისრიათ. ადრე, აქ, ფრანგები იყვნენ ჩამოსულნი და გვითხრეს საზოგადოებრივი არხი აუცილებლად უნდა გააკეთოთო. რატომ-მეთქი, ვკითხე — პატარა ქვეყანა ხართ, თუ მარტო კომერციული არხები გექნებათ დიდი ქვეყნები თავიანთი ფულით თქვენს საინფორმაციო სივრცეს წაიღებენ, ჩვენ, გერმანიაც და სხვა პატარა ქვეყნებიც ამერიკულმა მასმედიამ რომ არ წაგვლეკოს, ამისთვის გვჭირდება ჩვენც და თქვენც საზოგადოებრივი ტელევიზიაო. ასე, რომ ეს უფრო დიდი ხნის წინ დაწყებული ფიქრია, მაგრამ გადამწყვეტი საშუალებები ნაპოვნი არაა.

**— ანტიეროვნული განწყობებით, ტელევიზიები, დაზომბებულ მასებზე სერიოზულ გავლენას ახდენენ. ჩემი რესპონდენტებისგან ხშირად მესმის, თავმოყვარე ერი თუ ვართ „რუსთავი-2“ საერთოდ ამოვრთოთ ჩვენი საინფორმაციო სივრციდანო.**

— იმ პირობებში, რაც ჩამოვთვალეთ, პროტესტი გამოსავალი არაა. რატომ? — ასეთი გამორთვა და მაყურებლის პროტესტი მუშაობს იქ, სადაც ტელევიზია რეკლამით იკვებება. როცა დოტაციაზეა, სულ ფეხზე არ ჰკიდია, გამორთე და იყავი. თუმცა გეთანხმებით, არც პროტესტის უნარის მქონე არ ვართ, „რუსთავი-2“-ს გაცილებით უფრო ხშირად უყურებენ, ვიდრე სხვა ტელევიზიებს. იმიტომ, რომ ხარისხიანი ტელევიზიაა და მისი პოლიტიკური და ეთიკური მხარე ნაკლებად აინტერესებთ.

**— მძიმე საყურებელია ჩვენი ქართული პოლიტ.თოქ-შოუებიც. ტელევიზიები გარდა პოლიტიკური ზეწოლისა, საზოგადოებაზე მენტალურ ზეწოლასაც ახდენენ — ცდილობენ შეუცვალონ ღირებულებები, ფასეულობები, ზნეობრივი ტრადიციები. ლანძღვა-გინებას ოფიციალურად ამკვიდრებენ, უცენზურო სიტყვებს ტაბუ აქვს მოხსნილი. ამ ანტიეროვნული პროპაგანდით სადამდე შეიძლება მივიდეთ?**

— ამის უმარტივესი მიზეზი დასაბამს უფრო შორიდან იღებს. ანტიკური პერიოდიდან გვახსოვს გლადიატორების ბრძოლა. ხალხისთვის გლადიატორები სანახაობა იყო, ერთობოდნენ. ანალოგიურ გლადიატორების ბრძოლას აწყობენ შოუებში ჟურნალისტები, რათა ხალხი მიიზიდონ. ხალხიც უყურებს იმას თუ როგორ ბრძოლობ და სულ არ აინტერესებს იმ პოლიტიკური ღირებულებების ბედ-იღბალი, რაზეც საუბარია. სხვაგან, ანტიეროვნულ პროპაგანდას ვერსად ნახავთ, იმიტომ, რომ დედის შეგინებაზე მაყურებელი იჩივლებს, არ მსიამოვნებსო. ანუ, ჩვენ ევროპულობა იმის თავშეწუხების გარეშე გვინდა, რასაც ევროპელობა გულისხმობს. ევროპელობა, გარედან შემოტანილი, ლანგარზე მორთმეული კომფორტის სახით გვინდა. ევროპელობა მოსახლეობის ჩართულობის გარეშე არ არსებობს. რეკლამაზე დამოკიდებული ტელევიზიები, საზოგადოების პროტესტს ყურს უგდებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, აღარ უყურებს ხალხი და მას რეკლამის შემოსვლა დაუვარდება. ეს ცალკე პოლიტიკოსებმა უნდა უზრუნველყოს. ახლა, თქვენთან რომ ვლაპარაკობ, რა თქმა უნდა, მარტო თქვენთან არ ვლაპარაკობ, არამედ საზოგადოების ნაწილმა რომ გაიგოს, რათა შესაბამისი კანონების შექმნა მოვთხოვოთ პოლიტი-

14 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ომი საქართველოს და ჩვენი მოსახლეობის წინააღმდეგ, საუბედუროდ, კვლავ გრძელდება. ომია, როდესაც ხალხს ებრძვი პროპაგანდით. ასეთი ბრძოლა ცხელ, სისხლისმღვრელ ომზე უარესია. პირდაპირ ვთქვათ, რაც დღეს ხდება. ბოლო დროს ქართული პრესა-ტელევიზიის გარკვეული ნაწილი მსჯელობს მარიხუანას დეკრიმინალიზაციაზე. ამასთან, პირდაპირ თუ ირიბად გვიმტკიცებენ, მარიხუანა თურმე ახალგაზრდებისთვის მავნებელი სულაც არ ყოფილა. ამ ნივთიერების ზემოქმედების შედეგებზე დაწვრილებით ამჯერად არ ვისაუბრებთ, რადგან ამას ჩვენზე უკეთესად ექიმ-სპეციალისტები გააკეთებენ. ერთს კი ვიტყვით, რომ მარიხუანას უწყინარობაზე საუბარი ჩანასახშივე მცდარია. რებს. სხვა სახელს ვერ მოუგონებ, რადგან პირადი ანგარებისთვის სხვას რომ სასიკვდილოდ, ავადმყოფობისთვის იმეტებს, მტერია!

საქართველოში დღეს უამრავი ძველი და ახალი პრობლემებია დაგროვებული. სამწუხაროდ, ჩვენი ქართული პრესა-ტელევიზიები გაურბიან ზოგიერთ პრობლემაზე საუბარს. სამაგიეროდ, ზოგიერთი ჟურნალისტი ლგბტ-თა დროშით ხელში პარლამენტში დადის და არკვევს, თუ რომელი დეპუტატი თანაუგრძნობს მათ. ბევრს არ აინტერესებს თუნდაც ქვეყანაში განათლების არსებული სისტემა, რომელიც ერთიანმა ეროვნულმა გამოცდებმა მძლავრად შეარყია. არავის აინტერესებს, რატომ არ იცის ზოგიერთმა სტუდენტმა ჩვენი




# „სასაცილო პაპიროსი“

ამას თუნდაც „პროფესიონალი“ მომხმარებლები დაგვიდასტურებენ.

ციხეში გასასტუმრებლად, მარიხუანას მომხმარებელი კი არა, არავინ გვემეტება, მაგრამ საკითხავია, ვის აწყობს მსგავსი პროპაგანდა, თითქოს ამ ნივთიერების მოწევა უვნებელიაო. კი ბატონო, შევიდეს კანონში, რომ მომხმარებელი არ დავაკავოთ, მსუბუქად დავსაჯოთო, მაგრამ რა შედეგი შეიძლება მივიღოთ, ამის შესახებ, სამწუხაროდ, ნაკლებად საუბრობენ. წარმოიდგინეთ, როგორი სანახავი იქნება ქუჩაში, აუდიტორიებში, ან თუნდაც ნებისმიერ ადგილზე „დაბოლილი“ გოგო-ბიჭების ნახვა.

ერთ-ერთი მთავარი საკითხია, თუ სად შეიძენენ მომხმარებლები მარიხუანას. ჩვენთან მოქმედი კანონით ნარკოტიკების გავრცელებისთვის საკმაოდ მძიმე სასჯელია დაწესებული. სავარაუდოდ, დეკრიმინალიზაციის შემდეგ მარიხუანას ლეგალიზაციის საკითხიც დადგება დღის წესრიგში, თორემ თუ გამსაღებლებს დაიჭერენ სამართალდამცველები, ასეთ დეკრიმინალიზაციას რა აზრი ექნება.

„საცილო პაპიროსის“ პროპაგანდა ჩვენი ქვეყნის, ხალხის წინააღმდეგ არის მიმართული. სწორედ ეს გახლავთ ომის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს.

ომია, როდესაც მოსახლეობას ნელ-ნელა, წვეთ-წვეთ კვლავ გონებრივად აჩლუნგებ. ნურავინ იტყვის, ნარკოტიკი, თუნდაც მსუბუქი სახის, ადამიანის ფსიქიკაზე, გონებრივ განვითარებაზე უარყოფითად არ მოქმედებსო. სავარაუდოდ, სწორედ ეს ჩანაფიქრი აქვთ საქართველოს შინაურ თუ გარეშე მტერს. დიახ, ქვეყნის მტერია, ვინც ყიდის ნარკოტიკს, ვინც მათ ლობი- მწერლების თუნდაც გვარ-სახელები, არაფერს ვამბობ მათი ნაწარმოებების წაკითხვაზე.

ქვეყანაში, პრობლემები, იცოცხლეთ, უამრავია, რომლებიც ჩვენი, ამ ქვეყნის მაცხოვრებლების გადასაჭრელია. სხვის იმედად ყოფნა კარგს არაფერს მოგვიტანს, მტერს კი გაახარებს. თუმცა, ერთიც არის, საკუთარ ქვეყანაზე რომ იფიქრო, სამშობლო უნდა გიყვარდეს ადამიანს. შემონახულ ტრადიციებს მოვლა და გაფრთხილება სჭირდება. ჩვენთან კი ზოგიერთი ჩვენი კოლეგა-ჟურნალისტისთვის ქართული იდეოლოგია რა არის, მათივე თქმით, გაუგებარია. სიახლის წინააღმდეგი არავინ არის, კაცობრიობა ყოველდღიურად ვითარდება, მაგრამ იქნებ კარგი შევითვისოთ და არა ცუდი. ჩვენი საკუთარი ისტორიის და ტრადიციების იგნორირებით სამშობლოს დავკარგავთ. გადავხედოთ გარშემო მეზობლების ქმედებებს და დავრწმუნდებით. მალე, ალბათ, ჩვენი ქვეყნის „კეთილმოსურნენი“ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებასაც მოგვთხოვენ და, ალბათ, ამ კანონსაც გამოუჩნდებიან მხარდამჭერები. „ევროპის ქვეყნებში ასეაო“, — მოგვიყვანენ მაგალითებსაც.

ნარკოტიკებზე, კერძოდ, მარიხუანაზე საუბარი აუცილებელია, მაგრამ არა პროპაგანდა. ხომ არ აჯობებდა ამ ფაქიზ, მსოფლიოსთვის პრობლემურ საკითხებზე პროფესიონალმა სპეციალისტებმა ისაუბრონ, თორემ რამდენი ადამიანიც არის ქვეყნად, იმდენი აზრია. საერთოდაც, საქართველოში სიგარეტის მოწევის საწინააღმდეგო აგიტაცია მიმდინარეობს და ამ დროს ჩვენ მარიხუანაზე ვსაუბრობთ. მართლაც რომ უცნაურია.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# სახელმწიფოსგან გათავისუფლებული მედია თავისუფალს არ ნიშნავს...

13 gv.

კოსებს და მერე უკვე ამ კანონების გამოყენება და ამუშავება თავად საზოგადოებას უნდა მოეთხოვოს. ვისაც „რუსთავი-2“ არ სიამოვნებს, მხოლოდ სხვა არხზე გადართვა გამოსავალი არაა. დღეს მოსახლეობის ნახევარზე მეტი რუსულ არხებს უყურებს. კი არ უნდა გადართო, ასეთი გადართვით, ის ხომ ისევ ისეთი დარჩება, არამედ უნდა იჩივლო კიდეც — რაშიც ფულს იხდი ისე არ გაწოდებენ, რომ ტელევიზორთან კომფორტულად ვიყოო. ჩვენს კეთილდღეობაზე თავად უნდა ვიზრუნოთ, სხვა, ამას, არავინ გაგვიკეთებს.

**— ჩვენ ამის უნარი არ შეგვწევს თუ რატომ ვტრიალებთ უკვე 25 წელია ერთ წრეზე?**

— რას ნიშნავს უნარი არ შეგვწევს? — მაშინ რა ჯანდაბად გვინდა ეს ასოცირების ხელშეკრულებები, ნატოები, ევროკავშირები თუ იმის უნარი არ გვაქვს, რომ საკუთარ ქვეყანას მოუაროთ. ქვეყანას ვინღა ჩივის, თუ საკუთარ ცხოვრებას, ეკრანს ვერ ვუვლით, მაშინ რატომ მივრბივართ ევროპაში? ის ევროპა ხომ მაგითაა ევროპა? — თუ შენ ეს პრინციპი არ გადმოიღე, რომ ქვეყანა მისმა მოქალაქეებმა უნდა გააკეთონ, მაშინ იმ ევროპაში სულ მაჩანჩალა და მათხოვარი იქნები. ევროპაში მათხოვრობა რით განსხვავდება აზიაში ან სხვა რეგიონში მათხოვრობისგან?

**— ხალხი დაიბნა, ვერ გაუგია რა არის ევროპა, ჩვენი ტელევიზიებით ლგბტ-ს პროპაგანდა მიდის. საზოგადოებას ევროპა გეი-პარადები ჰგონია.**

— დიახ, ტელევიზიაზეც ბევრია დამოკიდებული თუ რას წამოწევს წინა პლანზე. თორემ, რატომ იმაზე არ აკეთებენ აქცენტს სიტყვის თავისუფლების გამო მილიონიანი საპროტესტო აქციები რომ იმართება?

**— ნამდვილი, ევროპული ღირებულებების პროპაგანდირება რატომ არ ხდება?**

— ვინ ითხოვს? ლგბტ-ის თემას სკანდალისთვის იყენებენ. ეს გაუბედურებული ადამიანები, ფაქტობრივად, იმავე ფუნქციითაა წინა პლანზე წამოწეული, რითაც დაპირისპირებული პოლიტიკოსები. მათგანაც გლადიატორების ბრძოლას აწყობენ.

**— მავანმა, თავის დროზე, მძიმე მრეწველობა გაგვინადგურა, ახლა კი სანამ ტელევიზიები ხალხს „გლადიატორების ბრძოლას“ სთავაზობენ, ამასობაში, მათივე ხელშეწყობით, კულტურა, სულიერება დაგვინგრიეს.**

— კულტურას დაგინგრევენ თუკი არ დაიცავი, არ შექმენი. ინდოეთმა ჰოლივუდზე უფრო ძლიერი კინოწარმოება შექმნა. სხვა მოტივი გარდა იმისა, რომ ამ პროდუქციით ამერიკული გავლენა შეეჩერებინა, არ ჰქონდა. ინდოეთმა იდარდა იმაზე, რომ მისი კულტურა შეენარჩუნებინა და ჩვენ, არაფერზე არ ვდარდობთ. ყველაზე დიდი კრიტიკას ვიწყებთ, გლობალისტები რაღაცას ცდილობენო. რა თქმა უნდა, ეცდებიან. შენ რას აკეთებ ამ დროს? ანუ, ისინი ცუდები არიან თუ კარგები, ამით შენი დაუდევარი დამოკიდებულება არ მართლდება.

**— რადგან კინოწარმოება ახსენეთ, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ეთერი გაივსო თურქული, ინდური სერიალებით, სადაა ქართული ფილმი?**

— კი, ეთერი სავსეა თურქული, ინდური ფილმებით. შევქმნათ ახალი — ფილმი, მეცნიერება გაჩერებულ მდგომარეობაში, არ არსებობს. განა შემთხვევითია, რომ რუსეთმა ახლა, უზარმაზარი პროდუქციის შექმნა დაიწყო, რათა თავის მაყურებელი თვითონ ჰყავდეს — ვისაც დეტქქტივის ყურება უნდა რუსულ მასალას უყუროს და ამერიკულისკენ არ გადაერთოს, ანუ ის კონკურენციაში შევიდა. ანალოგიური ჩვენც უნდა გავაკეთოთ. ჩვენ მიზეზი გვაქვს — ფული არ არისო. რას ვაკეთებთ იმისათვის, რომ ამის ფული იყოს? არის ქვეყნები, სადაც ბიზნესმენებს, ხელოვნებაში ინვესტიციის განხორციელება, გადასახადებისგან ათავისუფლებს, ანუ, გარკვეული კანონებით რეგულირდება ის, რომ ამ ზონაში ფული გაჩნდეს. ჩვენთან არის ეს კანონები? რა უნდა ამ ტიპის კანონის შექმნას, მითუმეტეს, რომ ანალოგიური დასავლეთში დევს. ჩვენებმა არ მოისურვეს თავის შეწუხება, თორემ ამ ზონაში ფული გაჩნდება, მერე, შემოქმედებიც გაჩნდება, შესაბამისად, გაჩნდება ქართული პროდუქცია, რომელიც მეტ-ნაკლებად მიუახლოვდება ჩვენსავე ენას, თვალთახედვას და ა.შ. ანუ შეგივსებს ქართულს. დღეს, ჩვენთვის, საინფორმაციო სივრცეში, საქართველო თითქმის არ არსებობს. მალაზიაშიც ვერ შეამჩნევ საქართველოს, მარტო რძის და ლუდის ნაწარმზეა ქართული ეტიკეტი, დანარჩენი ყველაფერი უცხოურია. საინფორმაციო სივრცეში მარტო ქართულ ინფორმაციაზე გაქვს ქარ-




თული ეტიკეტი, დანარჩენი ხომ ყველაფერი უცხოურია? თუ არაფერი აწარმოე, ისე საინფორმაციო სივრცე ხომ ვერ შეივსება? არადა, ცარიელიც ვერ იქნება, რაღაც უნდა შეიტანო და შემოაქვთ უცხოური სერიალები, რადგან იაფია. ჩვენ გადავიღოთ იაფად ქართული სერიალები. ადრე ხომ გვქონდა და იყიდებოდა კიდეც. რომელი დიდი კინოს გამქირავებელი თურქეთი იყო, მაგრამ გახდა? გააკეთა პროდუქცია და მყიდველიც ჰყავს. ამ კუთხით, ძალიან დაუდევარი ხალხი ვართ.

**— ეს იმიტომაც ხომ არ გვჭირს, რომ ქვეყანაში გაუნათლებლობა მატულობს? გაუნათლებელი ხალხი კი ადვილი სამართავია.**

— კი, აუცილებლად. განათლებას, ძირითადად, სამი წყარო აქვს: ოჯახი, სკოლა და მასმედია. სკოლა — ცხოვრების რაღაც ნაწილს ფარავს, ოჯახიც რაღაც პერიოდამდეა, მასმედია ადამიანზე მუდმივად მოქმედებს და მუდმივად აწვდის ინფორმაციას. დღევანდელი ოჯახი, სამწუხაროდ, განათლების მიცემის მხრივ, ძალიან ცუდ დღეშია, სკოლაც მოგეხსენებათ რა დღეშია, მასმედია როგორც განათლების წყარო, პრაქტიკულად, არ არსებობს. შესაბამისად, რა სურათს მივიღებთ? როდესაც ამერიკელებმა შეამჩნიეს, რომ მათთან განათლება პრობლემა იყო, მას მერე დაფუძნდა ისეთი ტიპის არხები, როგორიცაა „დისქავერი“ და „ნეშენალ-ჯეოგრაფიკი“, ოღონდ სანამ მაყურებელი ამ არხს არ შეაჩვია, ფულს სახელმწიფო იხდიდა. როცა აღმოჩნდა, რომ მაყურებელი ამ არხებს უყურებს, დაფინანსებიდან გამოვიდა და დღეს ეს არხები საკუთარ თავსაც ირჩენენ და საკმაოდ ძლიერი საერთაშორისო არხებიცაა. ანუ რაღაც პოლიტიკა შეიმუშავა იმაზე, რომ განათლება გაეუმჯობესებინათ.

**— ამერიკელებმა „დისქავერს“ და სხვა საგანმანათლებლო არხების ყურებას შეაჩვიეს მაყურებელი, ჩვენ კი რას ვაჩვევთ — ლანძღვა-გინების, დაპირისპირების ყურებას?**

— ვინმემ შეიმუშავა მასმედიის პოლიტიაკა? ჩვენ მასმედიას ვეკამათებით, არადა წესით იმას უნდა ვეკამათოთ, ვინც მასმედიის მექანიზმებს წყვეტს, რადგან სწორედ ის იქცევა დაუდევრად, თითქოს, სხვის ქვეყანაში იყოს. სხვის ქვეყანაში ყოფნა კი გვჩვევია, მაგრამ საკუთარს როგორც უცხოს ისე რომ ექცევით, ესაა პრობლემა. სულ ასეთები ვიყავით. თითზე ჩამოსათვლელი არიან ის ადამიანები, ვისაც სახელმწიფოზე ფიქრი ეხალისებათ და შეუძლიათ. მათგან, სხვა ქვეყნებში, ე.წ. სინქთენქებია გაკეთებული. საქართველოში, ეს ადამიანები, ლექციების საკითხავად დარბიან, რომ თავი ირჩინონ. დიდი იმედი მქონდა, ივანიშვილი პოლიტიკიდან რომ გადადგა, ქართული ინტელექტის ინკუბატორს შექმნიდა. მან გადაწყვიტა ამის შექმნა, ოღონდ არა არსებული რესურსით, არამედ წიწილები თვითონ გამოეჩეკა, რათა ამ ინტელექტს მერე ის ელაპარაკა, რაც მას როგორც პოლიტიკოსს აწყობდა. ეს ისევ პოლიტიკის ჩარევაა. ასე ვერც ინტელექტს გავაკეთებთ და ვერც პოლიტიკას. მაგალითისთვის ავიღოთ კონსტიტუციური წყობა, რომელიც უარესობისკენ შევცვალეთ. ჯერ შეხედონ, ევროპული ისტორია თუ გვაქვს? ევროპამ დემოკრატია რომ შემოიტანა, ამის უკან ვოლტერების, რუსოების უზარმაზარი ტალღა მოდიოდა, რამაც პოლიტიკური აზროვნების კულტურა შექმნა. მერე შეიქმნა პარტიები, რომლებიც უპირისპირდებოდნენ მეფეს, რაღაცის მომხრე იყვნენ და ა.შ. შენ, დღეს, პარტია არ გაქვს, რით უნდა შექმნა საპარლამენტო რესპუბლიკა? ქვეყანაში სადაც პარტიები ფეხებზე ჰკიდიათ, შეიძლება საპარლამენტო რესპუბლიკა არსებობდეს? ეს იმიტომ ხდება, რომ კონსტიტუცია პოლიტიკოსების გადასაწყვეტი გახდა, გააკეთეს ის, რაც თვითონ აწყობთ. დღესაც გვყავს პარტიები, რომლებიც სხვა შემთხვევაში ქუჩაში იქნებოდნენ. ყველას ვგულისხმობ. ივანიშვილმა დაბალრეიტინგული პარტიები შეიყვანა პარლამენტში. ამ პარტიებს, როცა საკუთარ თავზე ზრუნავდნენ, მაშინ არ ჰქონდათ უნარი ხალხისთვის აეხსნათ რას ფიქრობდნენ. თემიდან გადავუხვიე, მაგრამ ასეთი საღერძო საკითხი მოუგვარებელია და მოსახლეობაც ამას ცხვარივით გაჰყვა. რამდენადაც მოსახლეობა პასიურია, აკეთებენ იმას, რაც მოსახლეობას ცუდად დაუბრუნდება, მათ შორის, მასმედიაშიც. თუ ვინმეს დანაშაულზე შეიძლება ლაპარაკი, ეს მოქალაქეებიდან იწყება.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



# როგორ იკეთებენ სომხები თავის საქმეს საქართველოს ხარჯზე?!

*რამდენიმე დღის წინ ინტერნეტსივრცეში გავრცელდა სტატია სათაურით, „როგორი მეგობრები არიან სომხები ქართველებისთვის“ (kavkazplus.com). სტატიაში აღნიშნულია: „დეკლარირებული მეგობრობის მიუხედავად, იმის მაგივრად, რომ სომხებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ეღიარებინათ, გამოდიან აფხაზებისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის აღიარების მოთხოვნით.*

*2015 წლის 12 მაისს ევროკავშირის უცხო ქვეყნების მინისტრთა კომიტეტის 1227-ე შეკრებაზე, სადაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხებზე იყო საუბარი... 43 ქვეყანამ, მათ შორის აზერბაიჯანმაც მხარი არ დაუჭირა ევროკავშირის დოკუმენტს, ე. წ. “შეთანხმებას“ რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთს შორის. მხარდამჭერთა შორის, სერბეთსა და შვეიცარიასთან ერთად სომხეთიც აღმოჩნდა“.*

*შეგახსენებთ, რომ სომხეთის მხრიდან ბოლო წლებში მსგავს ინციდენტებს არაერთხელ ჰქონია ადგილი.*

*2008 წელს ჯერ კიდევ აგვისტოს ომამდე დევნილების დაბრუნების რეზოლუციას, რომელიც აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკას ეხებოდა, 14 ქვეყანამ დაუწირა მხარი სომხეთის გამოკლებით.*

*2009 წელს იგივე ტიპის რეზოლუციას დევნილების საკითხთან დაკავშირებით 48 ქვეყანა მიემხრო სომხეთის გარდა.*

*2010 წელს რეზოლუციას მხარი დაუჭირა 50 ქვეყანამ, სომხეთი კვლავ წინააღმდეგი იყო. ცნობისთვის, 86 ქვეყანამ საერთოდ თავი შეიკავა ამ საკითხზე კენჭისყრისაგან.*

*2011 წელს 57 ქვეყანა მიემხრო საქართველოს სომხეთის გარდა.*

*2014 წელს მაშინ, როცა თვით რუსეთის მოკავშირე სერბეთი, რომელიც წლების განმავლობაში წინააღმდეგ აძლევდა ხმას, თავი შეიკავა, სომხეთი კვლავ საქართველოს წინააღმდეგ გამოვიდა...*

*სტატიაში აღნიშნულია: „სომხური ტრანზიტი საქართველოზე გადის. ამ ქვეყანამ რომ გზა გადაკეტოს, სომხეთს კატასტროფა ემუქრება. სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით, სომხეთს მხარი უნდა დაეჭირა საქართველოსთვის, მისი სტაბილურობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის, მისი განვითარებისა და აყვავებისთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, სომხეთის ხელისუფლებას მეგობრობა სხვანაირად ესმის“...*

*რამდენიმე კვირის წინ „საერთო გაზეთში“ გამოქვეყნდა სტატია სომხური მხარის მიერ საქართველოს ხელისუფლებისთვის ოთხასამდე ეკლესია-მონასტრის, მის გარშემო ტერიტორიების და სასაფლაოების სომხეთის სახელმწიფოს კუთვნილებად გამოცხადების მოთხოვნის თაობაზე.*

*ჰაოსიანელები არ ივიწყებენ „დიდი არმენიის“ იდეას და საქართველოს კოჭებში უყურებენ — ჰა და ჰა, ახლა ჩამოიქცევაო. მანამდე არ დაიძინოს არც ერთმა სომეხმა და ისე არ „აუდგეთ გვერდები“, სანამ ეს ნატვრა არ აიხდინონ, მაგრამ ასეთი „ნატვრა„ რომ აქვთ, ესაა უბედურება მაშინ, როცა საქართველოში 248 900 სომეხი ცხოვრობს და თავს არცთუ ისე ცუდად გრძნობენ.*

*ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრე არმენოლოგ, ბატონ* **ალექსანდრე აბდალაძეს**. *გთავაზობთ ინტერვიუს.*

— 1968 წლიდან ვმუშაობ არმენოლოგიის საკითხებზე და ახალი პრეტენზიებით სომხები ვეღარ გამაკვირვებენ, მაგრამ ფაქტებით ვისაუბროთ.

ისტორიას ახსოვს პერიოდები, როცა თბილისში ქართველებზე მეტი სომხები ცხოვრობდნენ, მაგრამ ამას თავისი მიზეზები აქვს და ეს არ ნიშნავს იმას, რომ თბილისი სომხური ქალაქი იყო, ან საქართველო სომხებით ყოფილიყოს დასახლებული.

მას შემდეგ, რაც სომეხთა მეფე ტიგრან II-ის იდეა „დიდი სომხეთის“ შესახებ განადგურდა. სომხებმა მიზნად დაისახეს მთელი კავკასიის დაპყრობა რელიგიური კუთხით. სომხური ეკლესიის თავკაცები შეეკრნენ სპარსეთს და უკვე მე-7-მე-8 ს-ებში განხეთქილება ჩამოვარდა სომხურ და ქართულ ეკლესიებს შორის. სომეხმა კათალიკოსმა აბრაჰამმა მოუწოდა სომხებს:



ამიერიდან ქართველებთან გაწყვიტეთ ყოველგვარი ურთიერთობა, გარდა ვაჭრობისა. იყავით ისეთ დამოკიდებულებაში, როგორშიც ხართ ებრაელებთანო.

დავით აღმაშენებლის დროს ცნობილი სომეხი საეკლესიო მოღვაწე წერდა: არ ჭამოთ ქართველის მიერ დაკლული საქონლის ხორცი, შიმშილით იძულების გარდაო.

X ს-ში სომხეთის მეფემ სომხური ეკლესიის და ჯარის თანხლებით ქვემო ქართლი დაიკავა, შეიქმნეს იქ საერისთაო და დედაქალაქად სამშვილდე გამოაცხადეს. მაგრამ ამით დამთავრდა სომეხთა აშკარა დომინირება საქართველოში, თუმცა ამბიციები დღემდე არ გაჰქრობიათ.

როგორც ზემოთ გითხარით, სომხებს ყოველთვის სურდათ კავკასიის დაპყრობა და პირველ რიგში, საქართველოსი, რადგან საქართველო მდებარეობს კავკასიის ცენტრში.

ქართველი მეფეები კი ყოველთვის ცდილობდნენ შეეხიზნათ გაჭირვებული სომეხი მოსახლეობა საქართველოს ტერიტორიაზე. მაგალითად, დავით აღმაშენებელმა გორში თვითონ დაასახლა სომხების დიდი ნაწილი. ქვეყნის მმართველები ლტოლვილებს ეკლესიების ნანგრევებსაც ჩუქნიდნენ, რასაც შემდეგ ესენი არემონტებდნენ. როგორც აღმაშენებლის დროს, გიორგი ბრწყინვალეს დროსაც საქართველომ შეძლო მთელი ამიერკავკასიის გაერთიანება და მიზნად დაისახა წარმართული ჩრდილოეთ კავკასიაში მართლმადიდებლობის შეტანა. მაშინ ქრისტიანული იყო სომხეთიც და მეზობელი ალბანეთიც, რომლის მემკვიდრედ ახლა აზერბაიჯანი სახელდება. ამიტომ ქართულ მხარეს ყოველთვიე ეგონა, სომხები მხარდამჭერები იქნებოდნენ მუსულმან მტრებთან ბრძოლაში და იახლოვებდნენ მათ. იგივე პოლიტიკას ატარებდნენ შემდეგ ვახტანგ VI და ერეკლე II.

**— ანუ ეკლესიებია მოთხოვნა სომხების მხრიდან სამართლიანია?**

— სამართლიანი კი არა თავხედობა და უმადურობაა. მაგრამ მოგახსენებთ თვით ამ ეკლესიების შესახებაც. მათი დიდი ნაწილი აშენებულია XIX ს-სა და XX ს-ის დასაწყისში და ჩემი აზრით, ყველა მათგანი უკანონოდ არის აშენებული რუსების წაქეზებით, ქართველებისგან ნაძარცვი ფულით.

დიდ პატივს არ ვცემ ნოე ჟორდანიას პოლიტიკას, მაგრამ მის სიტყვებს მოვიშველიებ: XIX ს-ში და XX ს-ის დასაწყისამდე თბილისში რუსი ბატონობდა პოლიტიკურად, ხოლო სომეხი ეკონომიკურადო. რუსებს ქართველების დასაპყრობად მოკავშირედ სომხები ჰყავდათ და ორივენი გაერთიანებულნი ჩაგრავდნენ საქართველოს. იმ პერიოდს ეკუთვნის ჯავახეთში ქართული ეკლესიების გადაკეთება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჯავახეთში სომხების ჩასახლება ქართველთა ნების საწინააღმდეგოდ მოხდა.

ივ. ჯავახიშვილი ამბობს, მე-19 საუკუნემდე ჯავახეთი მთლიანად ქართველებით იყო დასახლებულიო. შემდეგ რუსებმა იქ სომხები მასიურად ჩაასახლეს.

**— ახლა რა განწყობაა ამ კუთხით ქართველებსა და სომხებს შორის?!**

— მოგითხრობთ ამაზეც.

1997 წელს ორკვირიანი მივლინებით ერევანში ვიყავი. უკან ავტობუსით დავბრუნდი. გვერდით მეჯდა თბილისელი სომეხი. მან თვითონ გაიხსენა 1918 წლის დაშნაკური სომხეთის შემოსევა საქართველოზე და თქვა: იმ ომში ინგლისი და საფრანგეთი რომ არ ჩარეულიყო, სომხები თბილისს ავიღებდითო. გაითვალისწინეთ, ამას ამბობს თბილისელი სომეხი, რომელიც აქ ცხოვრობს, მაგრამ სურს, რომ ეს ქალაქი სომხური იყოს.

ესენი არიან მოღალატეები და საქართველოს მოღალატეს საქართველოში სალოცავი არ უნდა ჰქონდეს, ეს არის ჩემი აზრი.

**— გრიგორიანული ეკლესიები დავანგრიოთ?**

— არა, რა თქმა უნდა.

თუ დამტკიცდება, რომ რომელიმე ეკლესია ნამდვილად სომხების აშენებულია, ის ეკლესია უნდა დაიკეტოს და გამოცხადდეს საქართველოში არსებული სომხური კულტურის ძეგლად. მოქმედი ეკლესიები, ცხადია, უნდა დავუტოვოთ, რომ ილოცონ. ორი მოქმედი ეკლესია აქვთ, თუ არ ვცდები, თბილისში. ჯავახეთში უფრო მეტი.

13 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ოდესა და „მიშა ადესსკი“, იგივე პოლიტიკური „ბომჟი“

საქართველოს ექს-პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი (ვითომ!) პირი, რომელმაც სწორედ ციხის კედლებში მოხვედრის შიშით უარი თქვა საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობაზე, ოდესის გუბერნატორად დაინიშნა. მიხეილ სააკაშვილისგან ვის და რა ქმედება უნდა გაუკვირდეს, უბრალოდ, საინტერესოა, სად – ოდესა, სად ცხვირმოსახოცი მიშა?!

საზოგადოებისთვის ცნობილმა პირებმა საქართველოში, რუსეთსა თუ თვით უკრაინაში, უკვე ღიად დააფიქსირეს თავიანთი პროგნოზი, რომ სააკაშვილის დანიშვნა აღნიშნულ თანამდებობაზე მხოლოდ ერთს ნიშნავს, ოდესა რუსეთს შერჩება. რა თქმა უნდა, პირი, რომელმაც საკუთარი ქვეყანა არ დაინდო, ნაგლეჯ-ნაგლეჯ გაასხვისა, სხვისას დაინდობს? – ნაცადი კადრია!...

ამ შემთხვევაში საინტერესოა მხოლოდ ერთი რამ, რატომ დაიწყო საუბარი მის ორმაგ აგენტობაზე ერთ-ერთმა მხარემ, კონკრეტულად რუსეთმა, მიშა ხომ სწორედ მათ ტერიტორიებს აფართოვებს, მიშა ხომ სწორედ მათი საბჭოთა „კგბ-ს“ კადრია? მეორეს მხრივ, მიშა ხომ „ცრუ-ს“ აგენტობაშიცაა ეჭმიტანილი? მოკლედ ასე დაისმის კითხვა: რა შემთხვევაში შიფრავენ საკუთარ აგენტს? უფრო ზუსტად, რა შემთხვევაში წირავენ საკუთარ აგენტს?

სხვა რა ვიკითხოთ, როდესაც „მაესტროს ცხრიანთან“ საუბარში რუსეთის დუმის დეპუტატმა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ სიტყვა სიტყვით ასე თქვა: – „იანუკოვიჩმა თავისი საქმე გააკეთა. შექმნა ქაოსი, რამაც საშუალება მოგვცა რუსეთს ყირიმი დაებრუნებინა. ახლა სააკაშვილიც იგივეს იზამს, შექმნის საფრთხეს ოდესაში რუსული მოსახლეობისთვის, მაქსიმალურად დაძაბავს სიტუაციას, მერე, შეიძლება, ის მოიშორონ როგორც მოგოვოი მოიშორეს. მერე, სიტუაცია უფრო დაიძაბება და ა.შ მთელი დასავლეთ და სამხრეთ უკრაინა რუსეთს დარჩება, ოდესაც... სააკაშვილი ქართველი „ბომჟია“ (პირი, რომელსაც არ გააჩნია განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილი), ირბინოს მსოფლიოში და გააღვივოს ომები. ის მოსკოვისა და ვაშინგტონის საქმეს აკეთებს...“

რა თქმა უნდა, რუსეთს ერთი ნაპერწკალი უნდა და ისევე დაიცავს რუსებს ოდესაში, როგორც დაიცვა ყირიმში...

ჟირინოვსკის „კრემლის რუპორს“ უწოდებენ და როდესაც „რუპორმა ჩაიხვია“ სააკაშვილის ოდესის გუბერნატორობასა და მის ორმაგ აგენტობასთან დაკავშირებით, კარგს არაფერს უნდა მოასწავებდეს, არც ოდესისთვის და მითუმეტეს, არც პირადად სააკაშვილისთვის.

**ჟირინოვსკი, რადიოსადგური „გოლოს როსიი“:** – „დარწმუნებული ვარ, სააკაშვილი ორი ბატონის, ვაშინგტონის და მოსკოვის მსახურია. მე ეს მაშინ შევამჩნიე, როდესაც 15 წლის წინ სტრასბურგში პარლამენტარის სტატუსით ჩამოვიდა. ისეთი თავხედი იყო, სულ ინგლისურად ლაპარაკობდა. ის მაშინ გადაიბირეს, როდესაც ამერიკულ უნივერსიტეტში სწავლობდა, როგორც ჩვენი ნავალნი. ის ამბობს, რომ უკრაინაში სიტუაციის დაწყნარებას ცდილობს, თუმცა მე ვფიქრობ, რომ მოსკოვიდან მიღებულ დავალებას ასრულებს და სიტუაციას ძაბავს...“

**კვლავ „კრემლის რუპორი“ ჟირინოვსკი, ტელეკომპანია „დოჟდ“:** – „ყველაფერს სწორად აკეთებდა საბჭოთა მთავრობა. რუსი მეფეც ყველაფერს სწორად აკეთებდა. დღესაც ქვეყანა ყველაფერს სწორად აკეთებს. დონბასს დაბომბავთ? კიევს დავბომბავთ! დივერსიებს მოაწყობთ? ჩვენ ყველა გუბერნატორს ჩავცხრილავთ – სააკაშვილით დავიწყებთ! მაშინ მათ შეეშინდებათ, მაშინ სხვა ვითარება იქნება ევროპაში და უკრაინაშიც. აბა, შოიგუ, მოიყვანეთ სარაკეტო დანაყოფები სრულ მზადყოფნაში და დაუმიზნეთ ბერლინს, ბრიუსელს, ლონდონს, ვაშინგტონს...“

პარალელურად, ნატო-ს სამხედრო კომიტეტის ახალი თავმჯდომარე, გენერალი, რომელიც ამა წლის 1 ივნისიდან შეუდგა მოვალეობის შესრულებას, წინსწრებით აცხადებდა, რომ „რუსეთს შეუძლია ორ დღეში მოახდინოს ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და უკრაინის დედაქალაქის ოკუპაცია და ნატო-ს ამ შემთხვევაში არ ძალუძს ადექვატური რეაგირების მოხდენა...“

რა დიდი თამაშია წამოწყებული, ვინმეს შეუძლია ახსნას? მარტივად ამ თამაშს მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების დაწყება ჰქვია, მაგრამ მსოფლიო მხოლოდ აშშ-ითა და რუსეთით რომ არ განისაზღვრება და თავის მხრივ სხვანიც „რალაცებს“ ინაწილებენ?

ამ მასშტაბებში რა ჩასაჩხე- „დემოკრატიულ შენებას“, .ანუ, თუ დაბომბვას გადაურჩა, ერთი ისტორიული ნაგებობა აღარ დარჩება, გიფსოკარდონის „კედლებიან“ ჭყეტელა შენობებად და დიდ-მცირე, მრგვალ თუ ოვალურ აკვარიუმებად გადაიქცევა ყველა მათგანი... მაგრამ გადაურჩება დაბომბვას? კიდევ




უკეთესი (უარესი) – თვით მიხეილ სააკაშვილი თუ გადაურჩება დემოკრატიის ნანგრევებში სასიკვდილო მოყოლას?



რია ვინმე ნანუკა ჟორჟოლიანი, მაგრამ ისეთი ფრაზა თქვა, შეიძლება, ისტორიული გახდეს: „იმედია, არქივი შეინახავს ოდესა როგორ გამოიყურება ახლა, იმიტომ, რომ ზუსტად ვიცი, როგორი იქნება მალე“. კი, თუ დასცალდა მიხეილ სააკაშვილს დავალების სისრულეში მოყვანა, ჩვენც ვიცით როგორი გახდება მცირე ხანში, ნატორობის და მეორე – ოდესა მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოსთან, თუ ოდესა დაეცა, საქართველოც დაეცემა, წაიშლება მსოფლიო რუკიდან და ამას არ დავუშვებო. დე-ჟავიუ მემართება, ვიღაც ადგილობრივმა ქართველმა „კანონიერმა ქურდებმა“ გარჩევაც კი მომიწყვეს აქ და მივხვდი, ასეთი ამბები აქ მუდამ ხდება, მაგრამ ეს ჩვენ უკვე გავიარეთო; და სულაცო, ოდესა ძალიან ჰგავს თბილისს იმდენად, რამდენადაც ორივე ქალაქი გრაფმა ვორონცოვმა გააშენაო... რა სახის დურაქია ეს კაცი, ძნელია დიაგნოზის დასმა...

## მიხეილ სააკაშვილი ოდესის ოლქის გუბერნატორობაზე

„სააკაშვილი – ოდესის ოლქის მეთაური. შაპიტო-შოუ გრძელდება. უბედური უკრაინა!“ – მოკლედ გამოხატა სათქმელი რუსეთის პრემიერ-მინისტრმა დიმიტრი მედვედევმა.

დაბოდიალობს მართლაც „ბომჟი მიშა“, მავანთათვის დროებით, მაგრამ ჯერ კიდევ „საჭირო კაცი“ და უშურველად არიგებს ინტერვიუებს. ხან BBC–ის ეთერში არატრატებს უძვლო ენას, ხან – „მე-5 არხთან“, ხან – ვისთან და ხან – ვისთან მიედ-მოედება. ოდესას ამ ეტაპზე კორუფციული ჯგუფების ინტერესებთან ბრძოლა და სწორი გზით სიარული სჭირდება და აგერ ვარ მე, ამ საქმეებში დიდად გამოცდილი – ეს ერთი მიზეზია ჩემი გუბერ-

## ძალზე მოკლედ ოდესის შესახებ

ქალაქის აყვავება ფრანგი ჰერცოგ რიშელიესა და გრაფ ალექსანდრე ლანჟერონის დამსახურებაა. როდესაც ოდესის განაშენიანება შეჩერდა, ოდესელებმა 3000 ფორთოხალი მიართვეს პავლე I-ს რომელიც ისე მოიხიბლა ძღვენით, რომ წამიერად გასცა ბრძანება ხაზინიდან გამოყოფილიყო მშენებლობის გაგრძელებითვის საჭირო თანხა. ოდესა ერთადერთი ქალაქია ალბათ, სადაც ქრთამს ძეგლი დაუდგეს, უკაცრავად, ფორთოხალს...

ოდესა ის ქალაქია, სადაც ტურისტები სამამულო ომისდროინდელი გმირობის ადგილებზე მეტად, ცნობილი კრიმინალების სახელთან დაკავშირებული ადგილებით ინტერესდებიან: „სონკა ზოლოტაია რუჩკა“, „მიშკა-იაპონჩიკი“, მოიში ოკსა – „კაილიჩი“... ქუჩა „მალაია არნაუტსკაია №82“, რომელიც მთელი რუსული იმპერიის იატაკქვეშა კონტრაბანდის დამამზადებელი იყო... ბოლო-ბოლო, ოდესის ციხეა გამოცხადებული „ბლატნოი შიფრის“, კედელზე კაკუნით საუბრის „ფენიას“ დაბადების ადგილად... ოდესა – „Äî äæ-3/4“ და „×åð-í àÿ êî ø êà“ კრიმინალური ბან-



**ოსტაპ ბენდერი:** დამშვიდდით, ჩემი პროექტი თქვენი ქალაქის საწარმოო ძალებს გაუგონარ გაფურჩქვნას უქადის. აბა, ერთი დაუფიქრდით, რა იქნება, ტურნირი რომ გათავდება და სტუმრები წავლენ. მოსკოვის მცხოვრებნი, საბინაო კრიზისი რომ აწუხებთ, თქვენს დიდებულ ქალაქს მოასკდებიან. დედაქალაქი ავტომატურად ვასიუკში გადმოინაცვლებს. მთავრობაც აქვე გადმოვა. ვასიუკს ნიუ-მოსკოვს დაარქმევენ, მოსკოვს კი - ძველ ვასიუკს. ლენინგრადელები და ხარკოველები კბილებს აალრჭიალებენ, მაგრამ ვერაფერს გახდებიან. ნიუ მოსკოვი ევროპის, მალე კი მთელი მსოფლიოს ელეგანტური, სწორუპოვარი ცენტრი გახდება“.

დების „სამშობლო“ – ყველას და ყველაფერს, რაც ოდესასთანაა დაკავშირებული, რა ჩამოთვლის...

XXI საუკუნიდან ოდესის სახელი, როგორც კრიმინალური ქალაქისა, მიინავლა, რადგან რუსეთისთვის „საზღვარგარეთ“ აღმოჩნდა (შესაბამისად, „ტიტულიც“ „æâì ÷óæèí à ó ì î ðÿ“ დაკარგა), მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ქურდული გაგება“ გაქრა, მითუმეტეს, რომ „ქურდულში“ ეროვნების ცნება არ არის. მხოლოდ ოდესაში კი არა, სრულიად უკრაინაში გაიფანტნენ ყოფილი სსრკ-ელი ქურდები და „მომავლები“. ბოლო გახმაურებული ე.წ „დაჭერები“ კონკრეტულად ოდესაში, კონკრეტულად „მალაია არნაუტსკაიაზე“ კვლავაც ქართველ „კანონიერ ქურდებს“ უკავშირდება, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მათ ოდესიდან ასახლებენ, მაგრამ ვერ ასახლებენ, მაინც ერთად არიან ოდესელი და ქართველი ქურდები განმეორებითი დაკავებებისას... საინტერესოა, ვინ მოუწყო „გარჩევები“ ბაქია ბაჭია-სააკაშვილს, რეზიდივისტმა ქურდმა გოჩა ჯინჭარაძემ, „სედოიმ“, „ყურშამ“ თუ სხვა ვინმემ, საიდუმლოა და ვერ გაამხილა?



#### ოდესელების რეაქცია მიხეილ სააკაშვილის გუბერნატორად დანიშვნაზე

მას შემდეგ, რაც დანამდვილებით გაირკვა, რომ ოდესის გუბერნატორად მართლა მიხეილ სააკაშვილი დაინიშნა, ოდესელებმა ე.წ ფლეშმობი მოაწყეს, ოდესის სხვადასხვა რაიონში „მიშასთვის“ წარწერით, ჰალსტუხები ჩამოკიდეს ძეგლებზე, ხეებსა თუ ბოძებზე, ხოლო ინტერნეტსა თუ ქუჩებში ტრიალებს ლეონიდ უტიოსოვის ცნობილი სიმღერა „Òû îäåññèò, Ì èø êà“

ეს კიდევ არაფერი, ორგანიზაცია „ოდესის იატაკქვეშეთის“ თავმჯდომარემ მიხეილ დოლგოვმა გაავრცელა ვიდეო-მიმართვა.

ამონარიდი: – „მიხეილ სააკაშვილი ამერიკის იდეური მარიონეტია, რომელიც მზადაა ერთგულად ემსახუროს თავის პატრონს იქ, სადაც დანიშნავენ. ის უნიჭო პოლიტიკოს-ავანტიურისტია რომელსაც სრულებით არ ანაღვლებს მისი საქციელის შედეგები...

სააკაშვილი ოდესელებისთვის მუდამ იქნება მტერი და მტრის ნაცვალი. ჩვენთვის ის უკრაინელი ნაციონალისტების ოკუპაციური ხელისუფლებისა და და მათი ამერიკელი პატრონების გაულაიტერია...

როდესაც ოდესაში შემოვა ნოვოროსიისკის არმია, ბატონი სააკაშვილი მიიღებს რასაც იმსახურებს – ერთი ადგილით ჩამოკიდებას, შეიძლება, არა მხოლოდ ერთითაც!“

უკრაინის პრეზიდენტ პოროშენკოსა და უკრაინის რადას სპიკერის ვლადიმერ გროისმანის საუბრის ფარული ჩანაწერი, რომელიც უკრაინულ მედიაში გამოქვეყნდა და მიხეილ სააკაშვილს ეხება.

ტექსტი (მცირე შემოკლებით):

**პოროშენკო:** – შემოდი, შემოდი, მე ოდესაში უნდა წავიდე... გინდა, ერთად წავიდეთ...

**გროისმანი:** – ჩემთვის აჯობებს აქ დავრჩე პეტრე ალექსეევიჩ... მინდა გითხრათ, რომ ძალიან შეშფოთებული ვარ ამ დღესთან დაკავშირებით. იცით, ღამე დამირეკა ვიქტორია ნულანდმა საკანონმდებლო პაკეტთან დაკავშირებით და მომილოცა მიხეილ სააკაშვილის ოდესის გუბერნატორად დანიშვნა, ნახევრად ხუმრობით მითხრა, სააკაშვილი ისეთ რეიტინგს მიიღებს, რომ უკრაინის პრეზიდენტი გახდებაო. ვფიქრობ, ეს უკვე აღარ არის ხუმრობა პეტრე ალექსეევიჩ!

**პოროშენკო:** – დაიცადე... ჩვენ ბაიდენთან უკვე განვიხილეთ... შენ ხომ იცი ეს პრობლემა, უნდა მოვსპოთ „ბენიას“ (იგორ კოლომოისკის) და მისი ხალხის გავლენა. მე თუ ვინმე რიგით „კაზიოლს“ დავნიშნავდი ოდესაში, პალიცეი (ოდესის ყოფილი გუბერნატორი) პრობლემებს შეგვიქმნიდა. ახლა ამერიკელები დააწყნარებენ „ბენიას“ და მის ბანდას.

**გროისმანი:** – პეტრე ალექსეევიჩ, თქვენ კარგად გესმით ჩემი – სააკაშვილი არაფრის გამკეთებელი არ არის, გაპიარდება მთელ მსოფლიოში და არა მხოლოდ ჩვენთან. ნულანდის მინიშნება საყურადღებოა, ვფიქრობ, განიხილეს სახელმწიფო დეპარტამენტში, ისე, უბრალოდ, არ იტყოდა. სააკაშვილს ჩვენ ვერ შევეხებით, ყველაფერს ამერიკის საელჩო და ელჩი პაიტეტი გააკონტროლებს...

**პოროშენკო:** – მისმინე, ამ პაიტეტმა თავი მომაბეზრა, ყველგან ცხვირს ყოფენ, წავიდეს ერთი მაგისაც!... ბინძური კურდღელიც (პრემიერი იაცენიუკი) მხარს უჭერს... ჩვენ პირდაპირ უნდა ვიურთიერთოთ ვაშინგტონთან და მას ნაკლები უნდა უსმინონ... 10 წუთში გავდივართ! ჩაის დალევ?

**გროისმანი:** – არა, მადლობა! პეტრე ალექსეევიჩ, ძალიან მაწუხებს ეს საკითხი, ეს სახიფათო გადაწყვეტილებაა და მოქალაქეობა მას უკვე მიეცით... მე ვიცნობ მას, ჩაუღრმავდება მის ფესვებს და განაცხადებს, რომ მის წინაპრებში გეტმანის სისხლი ჩუხჩუხებდა და სტეპან ბანდურის ნათესავები არიან. მე პირდაპირ გეტყვით, სააკაშვილი თავს ნამდვილ უკრაინელად გამოაცხადებს...

**პოროშენკო:** – კარგი, მოეშვი, ძალიან აჭარბებ, ყველაფერი კარგად იქნება. თუ ძალიან გათავხედდა, ოდესაში ჩვენი ხალხი გააკონტროლებს და რუსებიც ჰალსტუხებს მიუგდებენ შესაჭმელად.“

მიხეილ სააკაშვილს, რომელსაც საკუთარი ჩრდილისაც კი ეშინია, გაძლიერებული სპეცდანიშნულების რაზმი იცავს, ის კი, მუდმივად ნარკოტიკულ თრობაში ჩაფლული, ხარობს, ფეისბუქ-გვერდის მოწონება (ლაიქები) ნახევარ მილიონს უახლოვდება, ეს რეკორდია მთელ რეგიონშიო – რა მძიმე შემთხვევა ჰყავს გამჩენს...

**გიორგი ჩხეიძე**

# როგორ იკეთებენ სომხები თავის საქმეს საქართველოს ხარჯზე?!

11 gv.

**– ბატონო ალექსანდრე, ისიც აღსანიშნავია, რომ სომეხი მოსახლეობა ჩვენი ქვეყნის შენებაშიც იღებდა გარკვეულ მონაწილეობას.**

– რადგან კითხვა ასე დასვით, ავიღოთ კონკრეტული დარგი, მაგალითად, ვაჭრობა. სომეხი ვაჭრობდა, ქართველი ვაჭრობას თაკილობდა. ეს ჯერ კიდევ რუსთველიდან მოდის – „თქვენ ვაჭარნი ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეცარნიო“, ხომ გახსოვთ?! ქართველს უნდა ეომა 15 წლიდან 80 წლამდე. დიახ, ზოგიერთი 80 წლისაც მიდიოდა ომში, თუკი ბრძოლა შეეძლო. მებრძოლები თვლიდნენ, რომ ყიდვა-გაყიდვა მათი საქმე არ იყო.

ქართულ ჯარში სომხები არასდროს იბრძოდნენ მაშინ, როცა მემატიანე, მაგალითად, დიდგორის ომში ოსებსაც კი ჩამოთვლის მებრძოლებად.

**– მიუხედავად ყველაფრისა, სომეხი მოსახლეობა მაინც შემოდიოდა და მკვიდრდებოდა საქართველოში.**

– კი, ბატონო, ერეკლე II-მაც შემოიყვანა ისინი და დაასახლა, მაგალითად, გორში, სიღნაღში, თელავში, ველისციხეში.

ერეკლე II-მ თავისი მეფობის პერიოდში რამდენიმეჯერ დაიქვემდებარა ერევნის ხანი. მას ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი, რომ საქართველო შეძლებდა კავკასიის გაერთიანებას და ამ საქმეში სომხებსაც გამოიყენებდა.

სომხები და სომხური ეკლესია კი თვლიდა, რომ მთელი კავკასია უნდა ყოფილიყო სომხების მორჩილებაში, დიდი სომხური ეკლესიის მორჩილებაში, რომელსაც ალიანსი ექნებოდა სპარსეთთან, არაბებთან და ა.შ. სომეხი საზოგადო მოღვაწეები წერდნენ: სომხები შემოქმედი ხალხი ვართ. ქართველი ერი კი სხვისი კულტურის მიმთვისებელი და გადამღებიო.

ქართველი მეფეებიც ბაგრატუნიანები იყვნენო და ა.შ. მაგრამ ტყუილია ყოველივე ეს.

მოკლედ, ამ იდეოლოგიით, კულტურას კავკასიაში მხოლოდ სომხები ქმნიდნენ. ამ ლოგიკით, მთელი ქართული კულტურა სომხური კულტურის ნაწილად და განშტოებად ცხადდება და თვით ჩვენი ქართული ანბანიც სომხური ყოფილა. არსებობს მოსაზრებაც, რომ სომხებს ანბანი სირიელმა შეუდგინაო. მაგრამ სომხები იჩემებენ, მესროპ მაშთოცმა არა მხოლოდ სომხური, არამედ ქართული და ალბანური ანბანიც შექმნაო. თუმცა, ახლა უკვე დამტკიცებულია, რომ მესროპ მაშთოცმა ქართული საერთოდ არ იცოდა და ის ვერ შექმნიდა ქართულ ანბანს.

მაგრამ საინტერესო სხვა რამეცაა: საქართველოში ნებისმიერ სომეხს რომ შეეკითხო, თუნდაც მეწაღეს, ის სომხეთის პატრიოტია, მაგრამ ქართველი, ზოგჯერ პროფესორიც კი, კოსმოპოლიტი და ინტერნაციონალისტი გახლავთ.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, სომხებმა ქართველებს წარგვტაცეს ლორე-ტაშირი 1921 წელს. ის ნამდვილად ქართული ტერიტორიები იყო და ზღვა სისხლი აქვთ იქ ქართველებს ჩაღვრილი. დავიბრუნებთ ოდესმე ლორე-ტაშირს? რალაც არ მგონია. სომხები წართმევას და ძალადობას კვლავ აგრძელებენ. ჯავახეთი, ფაქტობრივად, გაასომხეს, ახლა ტაძარ-მონასტრებს უმიზნებენ. თავის საქმეს იკეთებენ საქართველოს ხარჯზე და ეს, რატომღაც, დღემდე გასდით.



სომეხი კინტო სალის აივანზე

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ვინ და როდის გამოიძიებს „ქართულ ოსვენციმში" განხორციელებული გენოციდის ფაქტებს?



უკრაინულმა მედიამ მიხეილ სააკაშვილის შესახებ უკრაინის რადას სპიკერის ვლადიმერ გროისმანისა და პრეზიდენტ პოროშენკოს ფარული ჩანაწერი გაასაჯაროვა. გროისმანი შეშფოთებულია სააკაშვილის ოდესის ოლქის გუბერნატორად დანიშვნით და ვიქტორია ნულანდთან საუბრის დეტალებს პოროშენკოსთან განიხილავს.

— „სააკაშვილი ისეთ რეიტინგს მიიღებს, რომ უკრაინის პრეზიდენტიც გახდება".

სააკაშვილი რომ არაფრის გამკეთებელია, ორივემ კარგად იცის, თუმცა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს და სხვა ჩინოსნებს ისინი მონურ მორჩილებაში ჰყავთ. პოროშენკო შთამბეჭდავად აწყნარებს სპიკერს: „კარგი, მოეშვი, ძალიან აჭარბებ. ყველაფერი კარგად იქნება. თუ ძალიან გათავხედდა, ოდესაში ჩვენი ხალხი გააკონტროლებს და რუსებიც ჰალსტუხებს მიუყრიან შესაჭმელად. შენ ხომ იცი, მიშამ მაკკეინთან ერთად ყველას ტვინი გაუბურღა და იარაღი მათი მეშვეობით შემოდის. მისი ცოლი ორგანოებით ვაჭრობს ბინძური მაქინაციების მთელი ბუკეტია. ნებისმიერ დროს შეგვიძლია ვამხილოთ დანაშაულებში და გადავცეთ ქართველებს. დაიმახსოვრე! ჩერნოჟოპები უკრაინას თავზე ვერასდროს დააჯდებიან. მე ვფიქრობ, რომ შენი ვარაუდები აქამდე არ მივა. მოდი, ვაცალოთ და იმუშაოს, სანამ გვჭირდება".



საინტერესოა, სადამდე უნდა მივიდეს სააკაშვილი, რომ თავისმა „უფროსმა ძმებმა" პოროშენკოს უფლება მისცენ კრიმინალი საქართველოს გადასცენ. ვფიქრობ, უკრაინაში იქნება მისი „ბოლო გაჩერება". მიუხედავად იმისა, რომ საჩივრების არცთუ მცირე რაოდენობა არსებობდა მიშას იარაღით ვაჭრობის ყბადაღებულ თემასთან დაკავშირებით, შედეგი არ ჩანს. არაერთი წერილი დაიწერა იარაღით ვაჭრობის დანაშაულებრივ სინდიკატზე, რომლის მეთაურიც თვით მიშა გახლდათ, თავის ელიტგარეწრებთან ერთად. სქემაც ცნობილი იყო, მაგრამ ისევ ოკეანეგაღმელების დახმარებით, ყველაფერი ჩაიფარცხა. რაც შეეხება მის ქართველთმოძულე მეუღლეს სანდრა რულოვსს, ჩვენ რომ შემდგარი სახელმწიფო გვერქვას, დიდი ხნის წინ უნდა გამოეკეტათ ციხეში. მაგრამ აშშ-ის შეშფოთებას და ევროპის აღშფოთებას ერიდებიან, ალბათ და არც ეს საკითხი განიხილება. სულ მაინტერესებდა, რა სანიტრის კურსები გაიარა ასეთი სანდრა რულოვსმა, ჯანდაცვის ყველა პროგრამას რომ ხელმძღვანელობდა, ტელესივრცეში სანიტრისთვის შეუფერებელი იმიჯით დიდხანს პოზირებდა. მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა საზოგადოებამ, რისთვის შეიცვალა პირველმა ლედიმ „პროფესია". გულუბრყვილო ადამიანები, ალბათ, კეთილგანწყობით უმზერდნენ ჯანმრთელობის დაცვის ეგიდით კამერების წინ მოკეკლუცე სანდრას. არ იყო ადვილი, გადამთიელი და საქართველოს დასაქცევად გამოზრდილი, ცხვრის ქურქში „გამოტკვარცული" ქალბატონის ავი ზრახვების გამოცნობა.

. სანდრა, 2014 წლამდე ერთპიროვნულად ხელმძღვანელობდა და აკონტროლებდა გლობალური ფონდის შიდსისა და ტუბერკულოზის პროგრამებს. აღნიშნულ ფონდთან საქართველო 2002 წლიდან თანამშრომლობდა. ხოლო საგრანტო პროგრამები 2010-2013 წლებში ხორციელდებოდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. ასეული მილიონობით ევრო ვის ჯიბეში ილექებოდა, ძნელი გამოსაცნობი არ არის. „გულისხმიერი და კეთილი" პირველი ლედი ხშირად სტუმრობდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებს, სადაც უიმედო, ნაწამები, ღირსებაშელახული პატიმრები სულაც არ ელოდნენ მისგან შველას. ტელევიზიები კი ყველა საინფორმაციო გადაცემაში დიდხანს აშუქებდნენ მოამაგე სანდრას. ჯანდაცვის პროგრამებით, განსაკუთრებით ტუბერკულოზის პროგრამით, ისევ თვითონ იხეირეს, პატიმრებს მიზანმიმართულად აავადებდნენ ან ატყუებდნენ, თითქოს ტუბერკულოზის მძიმე ფორმა ჰქონდათ და ასმევდნენ უმძიმეს ქიმიურ პრეპარატებს, რაც, ხშირ შემთხვევაში ფატალური შედეგით სრულდებოდა. მე, პირადად ვარ შემსწრე, როგორ მოატყუეს ათი პატიმარი ქალი, თითქოს ტუბით იყვნენ დაავადებულები. ეჭვის საფუძველიც ჰქონდათ, გააპროტესტეს და სამედიცინო დეპარტამენტი აიძულეს შედეგები გადაემოწმებინათ. არც ერთ ქალბატონს არ აღმოაჩნდა ტუბი. თვითონ მე ისეთი ფორმა დამიდგინეს XDR, რომელიც, ვფიქრობ, ჯერ საქართველოში არც არავის ჰქონია. თან ადმინისტრაციამ ოპერატიულად ხმები გამივრცელა, თითქოს 2-3 დღეში მოვკვდებოდი და ჩემი დამარხვაც კი არ შეიძლებოდა, მხოლოდ უნდა დავეწვი. სრული იზოლირებისთვის მშვენიერ ხერხს მიაგნეს, ბინძურ თამაშებში ბადალი არ ჰყავდათ! სხვათა შორის, აღნიშნულის შესახებ არაერთი საჩივრით მივმართე შესაბამის ორგანოს, პროკურატურაში საქმეც აღიძრა, მაგრამ შემდეგ, რატომღაც, სად-ის საგამოძიებოს გადააწერეს, ანუ ვისაც ვუჩიოდი, მასთან გამიშვეს სიმართლის მოსაძებნად. აღნიშნული ჯადოსნური წრე დღესაც მოქმედებაშია. პროკურატურა და ვერც სხვა სამართალდამცავი ორგანოები დამოუკიდებლად რომ ვერ იღებენ გადაწყვეტილებებს და იგივე წრეზე ტრიალებენ, ფაქტია. საინტერსოა, როდის დაეხვევათ თავბრუ და როდის გაწყდება ეს ჯადოსნური რკალი, ყურადღების მიღმა დარჩა სანდრა რულოვსის სკრინინგპროგრამით გამოკვეული და დაზარალებული უამრავი ქალის საჩივარი თუ განცხადება, რომელიც ხშირად ხვდებოდა პრესის ფურცლებზეც. წერილებში აღნიშნული იყო, რომ პატიმარ ქალებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, გაურკვეველი მიზნით აჭრიდნენ საშვილოსნოს, ხშირ შემთხვევაში ეს ქალბატონები ჯერ ქორწინებაშიც არ იყვნენ და შვილებიც არ ჰყავდათ. ვფიქრობ, გენოციდის შესანიშნავი ფორმა იყო მოძებნილი და კარგად შენიღბული. ახალგაზრდა მამაკაცები მორალურად თუ ფიზიკურად გაანადგურეს. ციხეში თუ კოლონიებში უამრავი პატიმარი დაიღუპა...



სასტუმრო „რედისონში" აშშ-ის ელჩი ჯონ ბასი საქართველოს ჯანდაცვის მინისტრს ზურაბ ჭიაბერაშვილს და საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორს ნატა ავალიანს შეხვდა. საქართველოს ტუბერკულოზის მკურნალობისა და პრევენციის ახალი პროგრმის გახსნას 2012 წლის მაისში დაესწრნენ. ალბათ, იმ იმედით, რომ გენოციდს უფრო დიდი წარმატებით გააგრძელებდნენ. 2012 წლის ჩატარებულ ექსპერტიზის დასკვნით თუ ვიმსჯელებთ, დიდი ხნის მკვდარი უნდა ვიყო. ექსპერიმენტებს, რომელსაც პატიმრებზე ატარებდნენ, უშედეგოდ არ ჩაუვლია, ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლით ასეულობით ყოფილი პატიმარია გაწამებული. შესაბამისი სამსახურები არც დაინტერესებულან, მოიკვლიონ და გამოიძიონ გენოციდის ფაქტები, რომელიც თითქმის 9 წელი მიმდინარეობდა. უამრავი ბრალდება გაჟღერდა ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის ფაქტებზე. პირდაპირ მიუთითებდნენ სანდრას გლდანის ციხის მორგში ხშირ სტუმრობაზეც. სამწუხაროდ, არ იყო პოლიტიკური ნება და უამრავი კითხვა, რომელიც საზოგადოებას დღესაც აწუხებს, პასუხგაუცემელია. ყველა პატიმარი, რომელიც სად-ის სისტემაში გარდაიცვალა, შინაგანორგანოებამოცლილი ტოვებდა მორგს. ჩემი თვალით მინახავს, ნაგვის ურიკაზე დადებული, ბინძურ პლედში გახვეული მიცვალებული პატიმარი. მიცვალებულის უპატივცემულობაზე კი არა ცოცხლებზე აღარავინ ფიქრობდა მაშინ... სანდრა რულოვსი კი აშშ-ს ელჩთან ერთად ახალ-ახალ სამკურნალო ცენტრებს ხსნიდა, თუმცა ის ცენტრი სამკურნალო იყო თუ საექსპერიმენტო, ეგ საკითხავია. აშშ-ს მიერ გამოყოფილ მილიარდ დოლარს სინამდვილეში სად და რაში ხარჯავდნენ, ვფიქრობ, დღესაც საინტერსოა. თუმცა, ალბათ, არც ესაა პოლიტიკური ნება და პასუხსაც ვერ მივიღებთ. უამრავი ყოფილი პატიმარი, რომელიც რეჟიმს ცოცხალი გადაურჩა, ექსპერიმენტების შედეგებით დღესაც იტანჯება. ხელისუფლება კი დუმს, არც დამნაშავეების დასჯას ჩქარობს და არც სამართლიანობის აღდგენას.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

**რატომ შეიქმნა საქართველოში მოსამართლეების დეფიციტი, რატომ ზარალდებიან გაჭიანურებული სასამართლო პროცესის შედეგად სამართლის მაძიებელი ადამიანები, როგორ მოქმედებს მოსამართლეთა სიმცირე მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხსა და ვადებზე და რატომ არის აუცილებელი სასამართლო სისტემის რეფორმირება? ამ და სხვა თემებზე ადვოკატი ირაკლი უტიაშვილი გვესაუბრა:**



# როგორ მოქმედებს გაჭიანურებული სასამართლო პროცესები მართლმსაჯულების ხარისხზე და რატომ მოითხოვს ადვოკატი მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდას?

– თემა, რომელზეც მინდა გესაუბროთ, ეხება სასამართლოში სამოქალაქო საქმეების გაჭიანურებას და პრობლემებს, რომლებიც აქედან მომდინარეობს. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, დადგენილია საქმის განხილვის ვადები, რომლითაც მოსამართლეებმა კონკრეტული საქმის განხილვისას უნდა იხელმძღვანელონ. ჩვეულებრივ, ესაა საქმის განხილვის ორთვიანი ვადა, რომელიც რთული კატეგორიის საქმის შემთხვევაში, სასამართლოს დასაბუთებული განჩინებით, შეიძლება ხუთ თვემდე გაიზარდოს, მაგრამ რეალურად, სრულიად სხვა ვითარება გვაქვს. პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოები საქმეს არა ნაკლებ 8-10 თვისა და ხშირ შემთხვევაში 1 წლის განმავლობაში იხილავენ, რაც არსებითად არღვევს იმ პირთა უფლებებს, რომლებიც თავისი უფლების სასამართლო წესით აღდგენას ითხოვენ და მართლმსაჯულების განხორციელებას ელიან. აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ ირღვევა ადვოკატის უფლებებიც, რადგან გვიწევს კლიენტისთვის იმის ახსნა, რომ პრობლემა სასამართლოდან მომდინარეობს და არა ადვოკატის მიერ თავისი მოვალეობის განხორციელებასთან.

**– რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს საქმის განხილვის გაჭიანურებას და შესაძლებელია თუ არა, რომ დროში უსასრულოდ გაგრძელებულმა პროცესებმა მოგებული მხარე დააზარალოს? ადვოკატის განმარტებით, ასეთი რამ სრულიად შესაძლებელია და ამის კონკრეტული მაგალითებიც არსებობს.**

– ყველა საქმე, რომელიც მქონია, 10 თვის და მეტი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა. რაც შეეხება კითხვას, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს საქმის განხილვის გაჭიანურებას, კონკრეტული მაგალითით გიპასუხებთ. მე ვიყავი ფიზიკური პირის, ფერმერის წარმომადგენელი, რომელიც სააქციო საზოგადოებისგან თანხას ითხოვდა. სააქციო საზოგადოებამ სარჩელის უზრუნველყოფის წესი გამოიყენა და ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ფერმერის ქონებას ყადაღა დაადო. ამ ადამიანს საკუთარი მეურნეობის განვითარებისთვის, ბანკიდან ყოველწლიურად სესხი გამოჰქონდა. ყადაღის დადების შემდეგ კი არც ერთმა ბანკმა სესხი არ მისცა. საბოლოოდ, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფმა საქმე მოიგო, მაგრამ იმის გამო, რომ სასამართლო პროცესები და შესაბამისად, მის ქონებაზე დადებული ყადაღა ერთ წელზე მეტი დროის განმავლობაში გაგრძელდა, უზარმაზარი ზარალი ნახა და ფაქტიურად, გაკოტრდა. სასამართლო პროცესები რომ დადგენილი წესით და გონივრულ ვადებში ჩატარებულიყო, ვიდრე ბანკამდე მივიდოდა, ჩემი მარწმუნებელი ორივე ინსტანციის გავლას მოასწრებდა და არ დაზარალდებოდა.

**– გაჭიანურებული სასამართლო პროცესები შესაძლოა, განსაკუთრებით მძიმე შედეგების მომტანი აღმოჩნდეს შრომითი დავების დროს.**

– „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის თანახმად „სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო. თუმცა, იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო მოსამსახურეს მიეცემა არა უმეტეს, 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით“. ბუნებრივია, სამსახურიდან გათავისუფლებულ ადამიანს შრომითი ანაზღაურება უწყდება. სასამართლოში სარჩელის შეტანა კი ამ აქტის მოქმედებას არ აჩერებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ შრომითი დავების განხილვა წელიწადნახევრის და ზოგჯერ ორი წლის განმავლობაშიც მიმდინარეობს, უკანონოდ გათავისუფლებული საქმის მოგების შემთხვევაშიც დაზარალებული რჩება, იმიტომ, რომ სამ თვეზე მეტ კომპენსაციას ვერ მიიღებს. ისეც ხდება ხოლმე, რომ სასამართლო პროცესის დასრულებამდე, სამსახურის რეორგანიზაცია ტარდება. შეიძლება გათავისუფლების ბრძანება უკანონოდ იქნას ცნობილი, მაგრამ ადამიანის სამსახურში აღდგენა ველარ ხერხდება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ის ორგანიზაცია ან შტატი აღარ არსებობს. ასეთი ხელოვნური ბარიერების წყალობით, უკანონოდ გათავისუფლებულის უფლებები კიდევ უფრო მეტად ილახება. 2010 წლამდე, სანამ სამთვიანი ლიმიტი დაწესდებოდა, უკანონოდ გათავისუფლებული პირი კომპენსაციას ანუ განაცდურ ხელფასს სრულად იღებდა, მაგრამ ახლა სრულიად განსხვავებული ვითარებაა და ისედაც დაზარალებული ადამიანისთვის ყოველ დღეს დიდი მნიშვნელობა აქვს.

**– მოსამართლეთა დეფიციტის შექმნის უმთავრეს მიზეზად ადვოკატს რაიონული სასამართლოების გაერთიანება მიაჩნია. უტიაშვილის თქმით, სასამართლოების გაერთიანების შემდეგ, სამი რაიონის საქმეს ერთი რაიონის მოსამართლეები იხილავენ.**

– როგორც გითხარით, სასამართლოში საქმის განხლვის გაჭიანურების უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ საქართველოში საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში, დაახლოებით, 8-ჯერ ნაკლები მოსამართლეა. პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში მთლიანად არის 258 მოსამართლე. აქედან მეორე ინსტანციის, ანუ სააპელაციო სასამართლოში დაახლოებით 60, პირველ ინსტანციაში კი დაახლოებით 200, რაც რვაჯერ ნაკლებია საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ ნორმასთან. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, 10 000 მოსახლეზე გათვალისწინებულია 1 მოსამართლე. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო, საქართველოს მოქალაქეები ევროპის განვითარებული ქვეყნების მოქალაქეებთან შედარებით, გაცილებით ხშირად მიმართავენ სასამართლოს. საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში, მოსამართლეთა მინიმალური რაოდენობაც რომ გვქონდეს, გვექნებოდა სწრაფი მართლმსაჯულება, რაც არსებითად გააუმჯობესებდა მისი განხორციელების ხარისხს და გაზრდიდა საზოგადოების ნდობას სასამართლო სისტემისადმი. რაც შეეხება მოსამართლეთა დეფიციტის მიზეზებს, აქ რამდენიმე ასპექტია გასათვალისწინებელი. მოგეხსენებათ, რომ 2010 წლამდე თბილისის ყველა რაიონს ცალკე სასამართლო ჰქონდა. ფაქტია, რომ რაიონული სასამართლოების თბილისის საქალაქო სასამართლოში გაერთიანების შედეგად, გაცილებით ნაკლები მოსამართლე გვყავს, ვიდრე გაერთიანებამდე იყო. იგივე მოხდა რეგიონებშიც. მაგალითად, დღეს ოთხ მოსამართლიანი გურჯაანის რაონული სასამართლო ემსახურება გურჯაანის, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონებს, როცა გაერთიანებამდე თითოეული რაიონის სასამართლოს ორი და ზოგჯერ მეტი მოსამართლე ჰყავდა. ფაქტიურად, სამი რაიონის საქმეს ერთი რაიონის მოსამართლეები იხილავენ. მოსამართლეებს საქმე გაუსამმაგდათ და არაფერია გასაკვირი იმაში, თუ მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხმა იკლო და სასამართლო პროცესები უსასრულოდ ჭიანურდება.



**– პედაგოგთა უფლებების დამცველი, რომელიც თავადაც უკანონოდ გათავისუფლების მსხვერპლია, შრომითი დავების დროს, კომპენსაციისთვის სამთვიანი ლიმიტის დაწესებას უკანონოდ გათავისუფლებულთა დიდ რაოდენობას უკავშირებს. საქართველოს პედაგოგთა და მშობელთა სოციაციის თავმჯდომარის ლია ნიკოლაიშვილის თქმით, ნაციონალებს მათ მიერ სამსახურებიდან გამორეკილი ადამიანებისთვის სრული კომპენსაცია რომ არ მიეცათ, კანონში ცვლილება შეიტანეს და უფლებაშელახულ ადამიანებს სამართლის პოვნის ბოლო იმედი წაართვეს.**

– როგორც იცით, 2009 წელს სკოლიდან პოლიტიკური ნიშნით გამათავისუფლეს. სკოლის დირექტორის უკანონო ბრძანების გაუქმებისა და სამსახურში აღდგენის მოთხოვნით სასამართლოს მივმართე. მიუხედავად უზარმაზარი წნეხისა, რომელსაც იმდროინდელი სასამართლო განიცდიდა, სამივე ინსტანცია რვა თვეში გავიარე და საქმე მოვიგე. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ცხრა თვენახევრის, ანუ სრული განაცდურის ანაზღაურება მივიღე. ჩემმა მაგალითმა ბევრი მასწავლებელი აიყოლია და სამსახურში აღდგენის მიზნით სასამართლოში სარჩელი შეიტანეს. ერთ მოგებულ პროცესს მეორე მოჰყვა. ნაციონალებმა რომ დაინახეს, რომ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული ადამიანებისთვის სოლიდური თანხების გადახდა უწევდათ, კანონში ცვლილება შეიტანეს და კომპენსაციის ვადად სამი თვე დააწესეს. ამ საკანონმდებლო ცვლილებას კიდევ ერთი მიზანი ჰქონდა: მასწავლებლებმა ჩათვალეს, რომ გაჭიანურებული სასამართლო პროცესების პირობებში, ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა და სარჩელები უკან გაიტანეს. ამის შემდეგ, სასამართლოში უკანონოდ გათავისუფლებული პედაგოგების სარჩელების შეტანა თითქმის სრულიად შეწყდა. შეიძლება ამ თემას არ ეხება, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ჩემდა სამწუხაროდ, დღევანდელმა ხელისუფლებამ 900-მდე მასწავლებლიდან მხოლოდ 23 ადამიანს მიანიჭა პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულის სტატუსი. მე კატეგორიულად მოვითხოვ განათლების სამინისტრომ და მისმა სპეციალურმა კომისიამ გაასაჯაროოს ამ ადამიანების ვინაობა და დაასაბუთოს, რის საფუძველზე მიანიჭეს მათ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულის სტატუსი. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩავთვლი, რომ ისინი „ჩაწყობით“ და ნეპოტისტური მოსაზრებებით შეარჩიეს. სამწუხაროა, რომ ჩემი ეჭვი, განათლების სისტემაში დამკვიდრებული ნეპოტიზმის შესახებ, დღითი-დღე მყარდება და უფრო სამწუხაროა, რომ პოლიტიკური ნიშნით თუ უკანონოდ გათავისუფლებული მასწავლებლები არც სასამართლოს ანაღვლებს, არც სამინისტროს და არც სხვა სახელმწიფო სტრუქტურებს.

**ნელი თორდია**
571 35 36 88

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ციურიხის გენეალოგიური ცენტრის სენსაციური დასკვნა:

## ტუტანჭამონი და სხვა ეგვიპტელი ფარაონები კოლხები იყვნენ?!



გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი" №8-20

„ანხი" ძველ კემიტურ ენაზე „სიცოცხლეს" ნიშნავს და როგორც სიმბოლო, ასოცირებულია არა მხოლოდ ღმერთებთან, არამედ ჰაერთან, მზესთან და წყალთან, რადგან ეგვიპტელები თვლიდნენ, რომ მათი მეშვეობით სიცოცხლის რეგენერაცია ხდებოდა. ანხი გამოსახულია გაბანვის რიტუალშიც, ორ ღმერთს შორის მდგომ ფარაონს, რომელთაგან ერთ-ერთი თოთია, ანხების ჯაჭვით გამოსახული წყალი ესხმება.

ანხი, როგორც სიმბოლო, იმ იეროგლიფების ჯგუფშია შედის, რომელთა მნიშვნელობა ჯანმრთელობა და ბედნიერებაა. ახლო წარსულში ანხი გამოიყენებოდა ნაყოფიერებასთან დაკავშირებულ რიტუალებში, ამავე დროს, ანხი ოსირისისა და ისიდას, ცისა და მიწის კავშირს ასახავს. მისი მარყუჟი მდედრის, ხოლო დაბოლოება მამრის გამომხატველი სიმბოლოებია, ძირითადი მნიშვნელობა კი ნაყოფიერება და კვლავწარმოებაა. (ახალი სამეფოს პერიოდის ზოგ ანხში მარყუჟი თითქმის სამკუთხედად იქცა და ბოქვენს დაემსგავსა, ზოგ მარყუჟში კი სულაც სამკუთხედია ჩახატული.

შუმერული მითოსის მიხედვით, „ანქი" სამყაროა, ადამიანის სახის მქონე ღვთაებათა — ცის ღვთაება „ან-ის" და მიწის ღვთაება „ქი-ს" კავშირი;

ვანში ნაპოვნი მდედრი და მამრი ღვთაებების ბრინჯაოს გამოსახულებები ერთ სარიტუალო სივრცეში, შესაძლოა, ასევე ცისა და მიწის კავშირს გამოხატავდეს;

კრეტის მეფე მინოსი, ასევე მთვარის ღვთაებასთან მიმართებაში რაღაც მსგავსი ფუნქციის მქონეა — დედოფალი ფასიფეა (ხართან შეუღლებული) და მათი კავშირი, როგორც ცისა და მიწის შერწყმის სიმბოლო;

„ანოუკ" - ეგვიპტური სიცოცხლის ღვთაება, აქედან „ანკ" — სიცოცხლე (ებრაულად).

მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ „ანხი" სიცოცხლის ხეა. რომ დავაზუსტოთ, შესაძლოა, ანხი მისი ერთ-ერთი გამოვლინებით ფოთლით დაბოლოებული სტილიზებული ხის რტოა. ამარნას პერიოდის რელიეფზე რამდენიმე ანხი მზის სხივთა დაბოლოებებზე გამოხატულ ხელის მტევნებს უპყრია და ეხნათონისკენ არის გაწვდილი, თავის მხრივ, ეხნათონიც ანხს იწვდის მზისკენ.



ეგვიპტე. შვეულმფრენი, თვითმფრინავი და ტანკი

ეხნათონის შემდგომ პერიოდში დიდი ძალისხმევა განხორციელდა რეფორმატორი ფარაონის ნაღვაწის ამოსაძირკვად, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით ანხის მნიშვნელობასაც შეეხო, ანუ მზის როლმა კვლავ უკანა პლანზე გადაიწია. შედარებით უფრო ძველ ნიმუშებში ანხის ბოლო ორად გაიყო (ნახ 7) და სიმბოლო ადამიანის სტილიზებულ გამოსახულებას დაემგვანა. მთვარის სიმბოლოს ჰუმანიზაციამ ინდურში მიიღო სწორედ ანხის მსგავსი ნიშანი, რომელიც თავის მხრივ ჩამოჰგავს ნარამ-სუენას სტელაზე



ეგვიპტური ფრაგმენტი

გამოსახულ მეფეს (სუენა-სინა-მთვარე), რადგან მას ხარის რქებიანი მუზარადი ახურავს. (სხვათაშორის, ასეთივე მუზარადი ეხურა ალექსანდრე მაკედონელს).

რაც შეეხება სვანურ მასალას — უპირველესად აღსანიშნია, რომ სქესიდან გამომდინარე, ფალოსი ვერ ჩაითვლება „ლამარიას" ნაწილად, ამდენად, სავარაუდოა, რომ საცერი (წრე) და ფალოსი ასახავს მდედრისა და მამრის ერთობას, როგორც სიცოცხლის გაგრძელების აუცილებელ პირობას.

რაც შეეხება დაშნას — იგი გვიანდელი ელემენტია თუნდაც იმიტომ, რომ რიტუალი რკინის ხანაზე უხნესია. სავარაუდოა, რომ თავდაპირველად ანგ-ის ელემენტი იყო არა დაშნა, არამედ უძველესი მცირე მახვილი, აკინაკი, რომელიც განზრახ ფალოსის ფორმის იყო და სახელად „ყელე" ერქვა.

ბუნებრივია, რომ უძველესი ცივილიზაციის ნაკვალევი უცხო არ არის სვანეთისთვის, ვთქვათ, რამდენიმე ათასწლეულის წინანდელი შუმერული ღვთაებებისა და ტოპონიმების არსებობა: ენგური, ლახაში, ლახამულა, ლამარი და ა.შ (ცნობისათვის, „ანქ-იზე" ერქვა ტროას სამეფოს, ლეგენდარული ენევსის მამას, „ანქ-იალე" ერქვა ა.წ II საუკუნეში მაკრონ-ჰენიოხთა გაერთიანებული სამეფოს მეფეს).

საინტერესოა, მსოფლიოს გასაგონად რატომ არ ყვირიან ქართველი მეცნიერები და მკვლევარები, რომ დღემდე უცვლელად შემორჩენილი სვანური რიტუალი შეიძლება დაითქვას ეგვიპტური „ანხ-ის" მნიშვნელობის გასაღებად, რომელიც ნათელს მოჰფენს ერთ-ერთ საიდუმლოს? მითუმეტეს, რომ სვანურ „ანგ-სა" და ეგვიპტურ „ანხ-ს" შორის კავშირის დადგენამ შესაძლოა, სვანური მურყვამის ასაკის განსაზღვრასაც შეუწყოს ხელი.

### ციდან მოსულები

აღდგომის კუნძულელების ლეგენდა პირდაპირ ამბობს, რომ უზარმაზარი ქვის კაცები (კოლხური თავსაბურავით) ზეციდან ჩამოსულმა ღმერთებმა ააგეს — საუბარი აღარ არის მნათობთა და ღმერთების შთამომავლებზე, რადგან ყველა შემთხვევაში „ციდან მოსულებთან" მივდივართ.

ზოგი მკვლევარი იშველიებს არქეოლოგიურ მემკვიდრეობას, ეგვიპტის პირამიდებს, აღდგომის კუნძულის ქანდაკებებს, ნასკას ხაზებს, ბიბლიის აპოკრიფულ ტექსტებს და ამტკიცებს, რომ ქანდაკებების გამოსაკვეთად კუნძულის ხალხს უცხოპლანეტელებმა უსახსოვრეს სამუშაო იარაღები, თუმცა ვერ ხსნიან, რატომ დატოვეს კუნძული „ციდან მოსულმა კეთილისმყოფელებმა".

მთვარიდან მოსული, ღრუბლებში მცხოვრები, ვარსკვლავიდან ჩამოვარდნილი, მზიდან ცეცხლის ჩამომტანი — ყველანი ციდან მოდიან...

ამერიკელი უფოლოგები დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ კაცობრიობამ „ცხოვრება ისწავლა" „ანუნაკისგან", რომელთაც ცოდნა გადასცეს ძველ შუმერებს, რომლებიც 5500 წლის წინ ცხოვრობდნენ და ყველაფრის შესახებ ფლობდნენ ამომწურავ ინფორმაციას — „ანუ ნაკი" ანუ „ციდან დაშვებული".

კი, მაგრამ ვინ იყვნენ ის „ციდან მოსულები" ან რატომ დაუდგნენ დედამიწელებს „მასწავლებლებად", ასწავლიდნენ მათ მეტალურგიას, მშენებლობას, მიწათმოქმედებას და ა.შ ზოგადად კი, მატერიალურის შექმნის თანმდევად სულიერებას?

სამხრეთ ამერიკული ლეგენდების მიხედვით, ციდან მოსულმა არსებებმა ასწავლეს ინდიელებს მიწის დამუშავება და ბევრი სხვა რამ, შემდეგ კი მაღალი მთებიდან გაუჩინარდნენ;

ძველ ინდურ და ტიბეტურ წიგნებში აღწერილია მფრინავი ობიექტის მოწყობილობა, რომელსაც ინდუსები „აგნი ხოტრას" უწოდებენ; („მაჰაბჰარტას" ეპოსში გადმოცემულია ცოდნა გალაქტიკების შესახებ)

მაიას ტომის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილია კედელზე გამოსახული აერონავტი კაბინაში, რომლის მსგავსი გამოსახულებები მრავლადაა ნასკას უდაბნოშიც;

„კელტების ლეგენდები გვიამბობენ ეტლზე, რომელშიც რკინის ცხენი იყო შებმული და ღმერთების სახლში ასასვლელად;

ერთი ერთზეა თანამედრო სკაფანდრიანი ადამიანისა და ასევე სკაფანდრიანი „ვიღაცის" ეკვადორული სტატუა;

ვიღაცას თვითმფრინავიც გამოუსახავს ჩვ. წ.აღ-მდე 500-800 წლის წინ;

მფრინავი ობიექტისა და აერონავტის გამოსახულება აღმოჩენილია ეგვიპტეშიც, სადაც ფრთიანი დისკოს კულტი ჰქონდათ და ფლობდნენ ინფორმაციას, რომ ციდან ჩამოსულებმა იხსნეს დედამიწაზე სიცოცხლე, გადაარჩინეს (შეაჩერეს) განადგურებისგან. ყველაზე თვალსაჩინო და ამოუცნობი სწორედ ეგვიპტური ნახატები, ძეგლები და ბარელიეფებია, სადაც ჩვეულებრივი ადამიანების გვერდით გიგანტური არსებები არიან გამოსახული, რომლებიც გვევლინებიან პირველი ფარაონების, ან სულაც „ციდან" მოვლენილი ღმერთების სახეებად, რომლებმაც ადამიანებზე ბატონ-პატრონობა იტვირთეს, ასწავლეს მათ სხვადასხვა მეცნიერებები.

**(გაგრძელება იქნება)**

# საქართველოს ყველაზე არაპოპულარული მეფეები, რომელთა შესახებ ბევრმა არ იცის

საქართველოს ისტორიაში გარდა წარმატებული, ძლიერი, ცნობილი მეფეებისა, იყვნენ მმართველები, რომელთა მეფობა სიმბოლური იყო. ისინი ქვეყანას ფორმალურად მართავდნენ და მათი საქმეების შესახებ არც თუ ისე საკმარისი ინფორმაცია მოიპოვება. ისტორიკოსებს რამდენიმე ასეთი მეფის დასახელება ვთხოვეთ.

**ვახტანგ II** - მისი მეფობის წლები 1289-1292 წლებს მოიცავს. ის იყო დავით VI ნარინის ძე. დემეტრე II თავდადებულის სიკვდილით დასჯის შემდეგ, აღმოსავლეთ საქართველოში ხუტლუბუღას (სადუნ მანკაბერდელის ძე) რჩევით ყაენმა ვახტანგ II დაამტკიცა მეფედ. ამ უკანასკნელმა სულ სამი წელი იმეფა. ამ პერიოდში საქართველოში მონღოლები ბატონობენ, ქვეყნის მართვა-გამგეობა მათ ხელშია და ქართველ მეფეებს არც არაფერს ეკითხებოდნენ. ამ პერიოდში ბევრი ქართველი მეფე მხოლოდ ფორმალურად იყო ქვეყნის მეფე, ერთ-ერთი ასეთი სწორედ ვახტანგ მეორეა. იმდროინდელი წყაროების ინფორმაციით, მას ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული საქმეები არ გაუკეთებია. დავით ნარინის სიკვდილის შემდეგ ვახტანგი დასავლეთ საქართველოსაც მიიღებდა მემკვიდრეობით, რასაც მონღოლთა მფლობელობის ქვეშ საქართველოს გამთლიანება მოჰყვებოდა, მაგრამ 1292 წელს მეფე ვახტანგი მოულოდნელად გარდაიცვალა. იგი გელათის მონასტერშია დაკრძალული.

**დავით V** – საქართველოს მეფე 1155 წელს სულ რაღაც ექვსი



თვის განმავლობაში. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველო არის გაერთიანებული და ძლიერი. დავით აღმაშენებლის შემდეგ გამეფდა მისი მემკვირდე დემეტრე პირველი, რომელიც 1125-1156 წლებში მეფობდა. დემეტრე პირველს 1155 წელს აუჯანყდა თავისი უფროსი ვაჟი დავით V, დემეტრე პირველი იძულებული გახდა მეფობაზე უარი ეთქვა, ის ბერის სამოსით აღიჭურვა და ტახტი შვილს დაუთმო, დავით V-მ თავი მეფედ გამოაცხადა. მას საკმაოდ მრავალრიცხოვანი მხარდამჭერი ჰყავდა და მის გადაწყვეტილებაზე ამანაც დიდი გავლენა იქონია.

დავით აღმაშენებელის, დემეტრე პირველისა და დავით მეხუთის დროს საქართველო მუსულმანური სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებდა, თუმცა როგორც წყაროები იუწყებიან, წინამორბედებისგან განსხვავებით დავით V-ს ბრძოლა არ უწარმოებია. მეფეს ქვეყნის შიგნით ისეთი სიტუაცია ჰქონდა, რომ საგარეო საქმეებისთვის არ ეცალა. ის ძირითადად პოზიციების გამყარებით და ძალაუფლების შენარჩუნებით იყო დაკავებული. დავით V გამეფებიდან ექვს თვეში გარდაიცვალა. ქართველი მემატიანე მოკლედ გადმოგვცემს ამ ამბავს: "დასუეს მეფედ ძე მისი დავით. იმეფა ექუს თუე და მოკუდა". სომეხი ისტორიკოსი მხითარ გოში დავითის სიკვდილს ორბელებს აბრალებს, მეორე სომეხი ისტორიკოსი ვარდანი კი პირდაპირ მიუთითებს მის მკვლელებს - სუმბატ და ივანე ორბელებს. დავითის სიკვდილის შემდეგ ტახტზე დროებით დემეტრე პირველი ავიდა და 1156 წელს მეფედ აკურთხა თავისი მეორე ვაჟიშვილი გიორგი III, თამარ მეფის მამა.

**ვახტანგ IV** – ალექსანდრე I დიდის მემკვიდრე, რომელმაც სულ რამდენიმე წელს იმეფა. ის იყო ერთიანი საქართველოს მეფე 1442-1446 წლებში. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველო საკმაოდ დასუსტებულია და არცერთ სფეროში წინსვლა არ აქვს. ამას გარდა, ამ პერიოდში ქვეყნის ტერიტორიაზე სათავადოები ჩამოყალიბდა, რამაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოს დაშლას სამეფო-სამთავროებად. სწორედ ამ დროს მოუხდა ვახტანგ IV-ს მეფობა. ეს უკანასკნელი საკმაოდ ენერგიული, შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსისა და მხედართმთავრის, ალექსანდრე I დიდის შვილი იყო. ალექსანდრე 1442 წელს ბერად აღიკვეცა ათანასეს სახელით და მის

შემდეგ მისი ვაჟი ვახტანგი გამეფდა. მან სულ ოთხი წელი იმეფა. ამ ხნის განმავლობაში ვახტანგ მეოთხის მოღვაწეობის შესახებ საკმაოდ მწირი ინფორმაცია მოიპოვება.

ყარა-ყოიუნლუს თურქმანთა სახელმწიფოს მბრძანებელი ჯეჰან-შაჰის შემოსვლა საქართველოში – ერთადერთი ფაქტია, რაც მოხდა ვახტანგ მეოთხის მეფობის დროს. ჯეჰან-შაჰი 1444 წელს მეორედ შემოესია საქართველოს და ახალციხეს დაესხა თავს. ქართველი მემატიანის ცნობით, ვახტანგ მეოთხემ მტერს ჯარი დაუხვედრა, თუმცა გამარჯვება არცერთ მხარეს არ დარჩა, რადგან მებრძოლები მხოლოდ ღამემ გაჰყარა, მეორე დილას კი ჯეჰანშაჰს ბრძოლის ველი ჩუმად დაუტოვებია. ვახტანგ IV-ის მეფობა ხანმოკლე და ასე თუ ისე შეუმჩნეველი აღმოჩნდა, მისი გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტზე ავიდა ვახტანგის ძმა გიორგი VIII.

**გიორგი VI მცირე** - საქართველოს მეფე 1311-1318 წლებში. ის იყო დემეტრე II თავდადებულის შვილიშვილი, დავით VIII-ის ძე. მისი მეფობის პერიოდი მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისია, ის დრო, როდესაც აღმოსავლეთ საქართველო მონღოლებს ჰქონდათ დაპყრობილი. დავით VIII-ს მონღოლებმა თავისი ძმები დაუპირისპირეს – ვახტანგ მესამე და გიორგი მეხუთე ბრწყინვალე. ეს უკანასკნელი მონღოლებმა თავიდან გაამეფეს 1299 წელს, მოგვიანებით 1318 წლიდან გიორგი მეხუთე ქვეყნის ერთპიროვნული მმართველი ხდება და 1346 წლამდე მეფობს.

გიორგი VI მცირეს აღმზრდელი ფაქტობრივად გიორგი მეხუთე იყო. გიორგი VI მცირე მონღოლთა ყაენის მიერ იყო მეფედ დასმული, თუმცა ქართულ წყაროებში მასზე არანაირი ინფორმაცია არ მოიპოვება. უბრალოდ მოხსენიებულია, რომ გიორგი VI მცირე იყო მეფე, რომელიც იჯდა თბილისში, მისი მამა დავით მერვე კი აღმოსავლეთ საქართველოში იყო გაქცეული. გიორგი VI მცირე იყო ფორმალური მეფე, რომელიც 1318 წელს გარდაიცვალა და საქართველოს ერთპიროვნული მმართველი გიორგი მეხუთე ბრწყინვალე გახდა.

# 6 ყველაზე სასტიკი მეფე საქართველოს ისტორიაში: დასჯისა და შურისძიების დაუნდობელი მეთოდები

„ძალიან ხშირად, ისტორიული გარემოება აუცილებლობას წარმოადგენდა, რომ მეფე მკაცრი და ძლიერი ყოფილიყო, თუმცა ზოგიერთის საქციელი სისასტიკეში გადადიოდა", - ამბობენ ისტორიკოსები და რამდენიმე მეფის სასტიკ ქმედებას ასახელებენ. ზოგიერთის ქმედება პირადი, ზოგის კი ქვეყნის დაცვისა და გაძლიერების მოტივით იყო განპირობებული, - დასძენენ ისინი.

**გიორგი მეორე, იგივე ავ-გიორგი** - კახეთის მეფე, რომელიც 1511-1513 წლებში მეფობდა.

მისი მამა ალექსანდრე პირველი, ჭკვიანი მეფე და კარგი პოლიტიკოსი გახლდათ, თუმცა ალექსანდრე პირველს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ოჯახში. ავ-გიორგის მამასთან და უმცროს ძმასთან, დიმიტრისთან, რომელსაც თავის მეტოქედ თვლიდა, უთანხმოება ჯერ კიდევ გამეფებამდე ჰქონდა.

1511 წელს თავს დაესხა საფურცლიის ჭალაში მყოფ ალექსანდრე I-სა და დიმიტრის. მამა მოკლა, ძმას კი თვალები დასთხარა და ოჯახთან ერთად კახეთიდან გააძევა. ამის გამო მას ავ-გიორგი უწოდეს და საქართველოს ისტორიაში სწორედ ამ სახელით არის ცნობილი.

ისტორიკოსები დავით აღმაშენებლის ქვეყნის დაცვისა და გაძლიერებისათვის ჩადენილ გარკვეულ ქმედებებს სისასტიკედ მიიჩნევენ, რომელიც მტრებისა და ორგულების მიმართ დამოკიდებულებაში გამოიხატება. დავით მეოთხე, რომელიც ქვეყნის ერთიანობისათვის მებრძოლ მეფედ გამოირჩეოდა, ორგულებსა და მოწინააღმდეგეებს არ ინდობდა და მათ სათანადოდ სჯიდა.

XI საუკუნის მიწურულს კლდეკარის საერისთავო წინ აღუდგა დავით აღმაშენებლის ბრძოლას ქვეყნის ცენტრალიზაციისათვის. 1093 წელს ლიპარიტ ერისთავი განუდგა მეფეს. დავითმა შეიპყრო იგი და ცოდვების მონანიების შემდეგ გაათავისუფლა. როგორც ჩანს, ლიპარიტმა ფიცი გატეხა და საქართველოს მეფეს კვლავ გაუორგულდა. დავით აღმაშენებელმა 1094 წელს ისევ შეიპყრო და 2 წლის პატიმრობის შემდეგ ბიზანტიაში გააძევა, სადაც გარდაიცვალა კიდეც. ამის შემდეგ კლდეკარის საერისთავოს სათავეში ჩაუდგა რატი ლიპარიტის ძე, რომელიც წინამორბედების მსგავსად სამეფო ხელისუფლებისა და ქვეყნის ერთიანობის წინააღმდეგ იბრძოდა. დავით აღმაშენებელმა უკიდურეს ზომას მიმართა, 1103 წელს რატი ლიპარიტის ძის გარდაცვალების შემდეგ კლდეკარის საერისთავო გააუქმა და ერთიანი საქართველოს სამეფოს შეუერთა.

სიცოცხლის ბოლოს მეფემ დაწერა პოეტური ნაწარმოები "გალობანი სინანულისანი", სადაც დავით მეოთხე თავს ადარებს უმძიმესი ცოდვის ჩამდენთ და გამოთქვამს აზრს, რომ არ არსებობს დანაშაული, რომელიც მის სულს არ ამძიმებდეს. ისტორიკოსების თქმით, ამ ნაწარმოებში დავითმა, როგორც ქრისტიანმა მეფემ, თავისი ცოდვები მოინანია და თქვა, რომ მეც თქვენისთანა რიგითი მოკვდავი ვარ და ღვთის წინაშე მეც ბევრი ამქვეყნიური ცოდვა მიმიძღვის, მაგრამ მე ეს გავაკეთე არა საკუთარი თავისთვის, არამედ ჩემი ქვეყნისათვისო", - ამბობენ ისტორიკოსები.

საქართველოს ისტორიაში სასტიკი ქმედებით ასახელებენ დავით აღმაშენებლის ვაჟს, დემეტრე პირველს, რომელმაც ზოგიერთ ისტორიკოსს თუ დავუჯერებთ, საკუთარი შვილი მოაწამვლინა. დემეტრე პირველს საკუთარი შვილი, დავით მეხუთე აუჯანყდა, ამიტომ დემეტრეს სამეფო ტახტის დავითისთვის დათმობა მოუწია. კერძოდ, 1130 წელს დემეტრე I-ის უფროსმა შვილმა დავითმა იმის შიშით, რომ დემეტრე I-ს უმცროსი შვილი გიორგი არ გაემეფებინა, შეთქმულება მოაწყო მეფის წინააღმდეგ. მეფემ შეიპყრო შეთქმულების მოთავეები დავით დემეტრეს ძე და იოანე აბულეთისძე. შემდგომში დემეტრე I-მა ივანე აბულეთისძე მოაკვლევინა, ხოლო მისი შვილი საპყრობილეში დაამწყვდია.

1154 წელს, დავითმა კვლავ მოაწყო შეთქმულება, თავისი ერთგული და მეფის მოწინააღმდეგე

დიდებულების შემწეობით დემეტრე I იძულებით ბერად შეაყენა და სამეფო ტახტი თვითონ დაიკავა. დავითის გარდაცვალების შემდეგ (იგი მხოლოდ 6 თვეს მეფობდა და ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ მამამ შვილი მოაწამვლინა) დემეტრე პირველი ბერობიდან გადადგა და ტახტი დაიბრუნა. ამის შემდეგ ტახტი ეკუთვნოდა დავით მეხუთის შვილს, დემნა ბატონიშვილს, მაგრამ ტახტზე დემეტრე პირველმა თავისი უმცროსი ვაჟი გიორგი მესამე გაამეფა, რომელსაც ყველასათვის ცნობილი ერთადერთი ასული თამარი ჰყავდა. გიორგი მესამის წინააღმდეგ დემნა უფლისწულის სიმამრი, იოანე ორბელი გამოვიდა. მეფემ აჯანყება ჩაახშო, თავად დემნა უფლისწული დაასაჭურისეს, რის გამოც ის დაიღუპა.



**გიორგი მეხუთე ბრწყინვალე – საქართველოს მეფე 1314-1346 წლებში.**

მან თავის მოღვაწეობის პერიოდში მონღოლთა მომხრე ერისთავები და ქართველი თავკაცები სიკვდილით დასაჯა. ისტორიკოსების თქმით, მეფემ ეს ნაბიჯი მხოლოდ ქვეყნის ერთიანობისა და თავდაცვისათვის გადადგა. ეს იყო მკაცრი ღონისძიება, რადგან გიორგი მეფემ მონღოლების მომხმარე ერისთავები და საქართველოს თავკაცები დარბაზობაზე მოტყუებით მიიწვია.

გიორგი მეხუთემ მოღალატე დიდებულები ცივის მთაზე მიიწვია და ამოწყვიტა. მეფე გიორგიმ იცოდა, რომ თუ ასეთ გადამჭრელ ზომებს არ მიიღებდა, ქვეყანაში იგივე მდგომარეობა გაგრძელდებოდა, რაც მთელი ასი წლის განმავლობაში სუფევდა. რამდენიმე ათეული წლის წინ, კახეთის ცივის, ცივგომბორის ტერიტორიაზე მარმარილოს კვადრებით აგებული უზარმაზარი ნანგრევები აღმოჩნდა. ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, აქ იყო სამეფო რეზიდენცია. ანუ მეფემ მოღალატენი თავის რეზიდენციაში მიიწვია. მათაც მიიღეს მიწვევა, ვინაიდან ვერ წარმოიდგენდნენ, თუ რა მოელოდათ.

**თეიმურაზ პირველი - კახეთის, მოგვიანებით კი ქართლ-კახეთის მეფე.**

მისი მეფობის პერიოდში ისტორიკოსები გამოყოფენ თეიმურაზ I-ისა და გიორგი სააკაძის შორის 1626 წელს ბაზალეთთან მომხდარ ბრძოლას, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული ბრძოლააა საქართველოს ისტორიაში, ამ დღეს ბაზალეთთან ქართველმა ქართველის წინააღმდეგ გაილაშქრა.

გიორგი სააკაძის მისწრაფებამ ქვეყნის გაერთიანებისა და თავადთა დამორჩილებისაკენ, თავადების უკმაყოფილება გამოიწვია. მათ შეძლეს მტრობა ჩამოეგდოთ გიორგი სააკაძესა და თეიმურაზ I-ს შორის, რომელსაც არ მოსწონდა დიდი მოურავის ურთიერთობა ოსმალეთის სულთანთან და დასავლეთ საქართველოს მეფემთავრებთან. ქართლში მომხდარი განხეთქილების გამოყენება ირანის შაჰმა აბას I-მა სცადა და თეიმურაზ I-ს შერიგება შესთავაზა. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაამწვავა ურთიერთობა თეიმურაზსა და სააკაძეს შორის. ბაზალეთის ბრძოლაში გიორგი სააკაძე დამარცხდა და ქვეყნიდან გადაიხვეწა.

ისტორიკოსები თეიმურაზ პირველის, როგორც მეფის ქმედებებს პოლიტიკურ უმწიფრობად მიიჩნევენ, რასაც იმით ხსნიან, რომ მას თავის სიცოცხლეში ამოუწყვიტეს შვილები, დედამისი ქეთევან დედოფალი კი აწამეს.

**ერეკლე მეორე - ქართლ-კახეთის მეფე 1762-1798 წლებში.**

ისტორიკოსები ერეკლეს მეორის სასტიკ ქმედებად 1765 წლის შეთქმულების მონაწილეების სასტიკად დასჯას მიიჩნევენ.

შეთქმულება მიზნად ისახავდა მეფის მოკვლას და ქართლში ვახტანგ მეექვსის უკანონო ვაჟის, პაატა ბატონიშვილის გამეფებას. შეთქმულებაში მონაწილეობდნენ დავით ბატონიშვილი (აბდულა-ბეგის ძე), ქართლის თავადები: სახლთუხუცესი დიმიტრი ამილახვარი, მისი შვილი ალექსანდრე, ელიზბარ თაქთაქიშვილი, გლახა ციციშვილი, დიასამიძე და სხვები. შეთქმულები იკრიბებოდნენ ვინმე მარკოზაშვილის ბინაში (მარკოზაშვილის დარბაზი), სადაც ცხოვრობდა პაატა ბატონიშვილი. შეთქმულება გასცა სამშვილდელმა გლეხმა დათუნა ფეიქარმა, რომელმაც ეს ამბავი აღსარების დროს გაანდო მღვდელ ქრისტესიას. ერეკლემ შეთქმულნი შეიპყრო, სასამართლოს გადასცა და თვითონ მომჩივანის როლში გამოვიდა. შეთქმულები სასტიკად დასაჯეს: პაატა და დავით ბატონიშვილებს თავი მოჰკვეთეს, ელიზბარ თაქთაქიშვილი ცეცხლში დაწვეს; სხვა მონაწილეებს სხვადასხვა სასჯელი შეუფარდეს: ციციშვილს ენა მოაჭრეს, დიასამიძეს ცალი თვალი ამოთხარეს, ალექსანდრე ამილახვარს ცხვირი მოჰკვეთეს და ფეხის ძარღვები გადაუჭრეს და ა. შ.

**თაკო ესებუა**
**AMBEBI.GE**

# კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 1. ლამაზი ქალის შიში. 2. სომხეთის რელიგიური ცენტრი. 3. უჩვეულობით გამოწვეული შეგრძნება. 4. ფულის კურსის აწევა. 5. დიდი ბრიტანეთის უდიდესი და უძველესი უნივერსიტეტი. 6. ბედი, განგება. 12. ლიზაროვის ავტოქარხნის ყველგანმავალი. 13. ზნეობრივი მანკი. 14. ორგანიზმის მონაშლა შხამიანი ნივთიერებებით (ტოქსინებით). 16. რძის ნაწარმის ქართული ფირმა. 19. გერმანული ტელევიზორი. 21. გამოფენა, რომელიც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება. 22. პორტუგალიის ნაკრების ფეხბურთელი. 23. საერთო სახელწოდება იხვის სასურსათო საქონლისა, როგორიცაა ჩაი, შაქარი, ფქვილი, ბურღული. 24. ზორცის ჭამია თუთიყუში. 28. პოლივუდის მსახიობი ... ბოლდვინი.

ვერტიკალურად: 3. ბაგირი ან ჯაჭვი, რომლითაც გემს აბამენ გემის მისადგომზე, ნაპირზე. 7. რუსული ჯგუფი „DDT"-ს ხელმძღვანელი. 8. ვისიმე, რისამე დამახასიათებელი ნიშანი, თავისებურება. 9. ტროპიკული ფრინველი, მოშინაურებულს შეუძლია სიტყვების წარმოთქმა. 10. ძვირფასი ქვა ლურჯი ფერისა. 11. მღვდელმთავართა ზოგადი სახელი. 15. მ. ბალანჩივაძის ოპერა „დარეჯან ...". 17. სამხ. აფრიკის რესპუბლიკის სახელმწიფო ენა. 18. რუსული წყალგამაცხელებელი. 20. ბავშვთა მაღაზია თბილისში. 23. მსახიობი „ზოროს" როლში. 25. მცენარეული წითელი საღებავი. 26. სახელმწიფო ცენტრ. ამერიკაში. 27. სპეციალური ნაგებობა თვითმფრინავების სადგომად, შიმდინარე რემონტის ჩასატარებლად. 29. არგენტინელი ფეხ. ... მესი. 30. რისამე გაგების სურვილი. 31. ამის მსგავსი, ამგვარი.







# ორხაზა კროსვორდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2. პლაჟის დიდი ქოლგა. | 4. პორტუგალიელი ფეხბურთელი რუი . . . | 6. წითელი, ბრტყელი გამონაზარდი ფრინველის თავზე. | 8. საძვირფასო ქვა. | 10. გარეული ფრინველი. | 12. ტანის საზედა ჩასაცმელი. | 14. ცივი, ძლიერი ქარი. |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუგოსლავიური დინარის ხურდა. | 3. ტრადიციულად დღეობული . . . ზამთრობით. | 5. ჯორჯის შტატის ცენტრი. | 7. მეხსიერების გასაუმჯობესებელი ამერიკული პრეპარატი. | 9. ბანქოში კოზირი. | 11. ოპერა „სევილიელი . . ." | 13. ზის ძარღვის ფეხსაცმელი. | 15. . . . დე ჟანეირო. |

# პირველი ივლისი გმირების დღეა

მრავალ მნიშვნელოვან თარიღთა შორის ჩვენთვის განსაკუთრებული დატვირთვა აქვს 1 ივლისს.

ეს დღე მართლაც გმირების დღეა.

1625 წლის 1 ივლისს მოხდა მარაბდის ომი.

მას შემდეგ სამას ოთხმოცდაათი წელი გავიდა.

ამ ბრძოლაში სულ დაიღუპა 24 ათასი მეომარი. მათ შორის ათი ათასი ქართველი და 14 ათასი სპარსი.

ბრძოლის ველზე დაეცნენ თერთმეტი ხერხეულიძე, ცხრა მაჩაბელი, შვიდი ჩოლოყაშვილი, მრავალი მათი თანამებრძოლი და ჩვენთვის უცნობი გმირი.

დაოთხი ათასი ცხედარი ფარავდა მარაბდის ველს.

ყოველიმე ამის გამო 1 ივლისი დიდი დღეა საქართველოსთვის, თავისი მარცხით და გამარჯვებით!

მარაბდის ეკლესიის ეზოში საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს თერთმეტი ნაცრისფერი საფლავის ქვა ზომით 30X30X30 სმ-ზე.

თავისი მოცულობით შედარებაც კი არ შეიძლება დღევანდელ მარმარილოთი მოპირკეთებულ სასაფლაოებთან.

ცხრა ქვა სასაფლაოს მთელ პერიმეტრზეა განლაგებული, ორი კი ერთმანეთთან ახლოსაა. ეს ორი საფლავის ქვა არის ხერხეულიძეთა დედის და დის. წარწერებს ამ პატარა საფლავის ქვებზე განსაკუთრებული დატვირთვა აქვთ. მათი წაკითხვის შემდეგ გარკვეული დრო გჭირდება, რომ დაუბრუნდე დღევანდელ რეალობას.

წარწერები კი ასეთია: „დედა ხერხეულიძეთა“, „და ხერხეულიძეთა“.

შეიძლება დას ცისანა ერქვა, ან ციცინო, ანდა დალი.

დედას თამარი, ან ნინო, ან ქეთევანი.

მთავარი ეს არ არის.

მთავარი ის არის, რომ მარაბდის ომში დავით ჯანდიერისა და ალათანგ ხერხეულიძის დაცემის შემდეგ დროშა აიტაცა ალამდარმა ხერხეულიძემ, ისიც დაეცა.

ამ დროშით ხელში დაეცა კიდევ შვიდი ძმა ხერხეულიძე.

მკერდდალეწილი ბოლო ხერხეულიძის მკერდიდან დედამ აიღო „გორგასლიან-დავითიან-თამარიანი“ დროშა.

ბოლოს დროშა ეკავა ცხრა ძმის დას. ხერხეულიძეთა დედა და და მარაბდის ომში რომ მოხვედრილიყვნენ, ან მტკიცე წინააღმდეგობა უნდა გაეწიათ ძმებისათვის, ისინი, რა თქმა უნდა, წინააღმდეგნი იქნებოდნენ მათი ომში წასვლისა, ან კიდევ სახლიდან ჩუმად უნდა გამოსდევნებოდნენ ომში წასულ ძმებს.

სად იყო მათი სახლი?

შეიძლება ყველამ არ იცის, საიდან იყვნენ ხერხეულიძეები, მაჩაბლები.

შეიძლება ზოგიერთ თქვენგანს უფრო მეტი ინფორმაცია ჰქონდეს მათზე, ვიდრე ამ წერილშია, განსაკუთრებით ისტორიკოსებს, მაგრამ რად გინდა ასეთი ცოდნა, თუ 390 წლის მანძილზე ერთხელაც არ გამოიყენებ?! სანთელს არ დაუნთებ მარაბდისა და სხვა ომის გმირებს!

ამას გვავალებს მათი უკვდავი სული.

ოცდახუთი წლის წინათ ჯერ კიდევ იდგნენ ფრონის ხეობაში — ყორნისში ხერხეულიძეთა ციხე-კოშკები.

ჩვენი გმირები უკვდავების გზაზე, მარაბდის გზაზე, ზეციურ გზაზე გამოაცილეს იმ ხეობებმა და იმ წყლებმა, სადაც ჩვენ ცოტა ხნის წინათ ვცხოვრობდით.

მოგახსენებთ, რომ ხერხეულიძეები, უკვე აღვნიშნე, იყვნენ ფრონის ხეობიდან, მაჩაბლები — ლიახვის ხეობიდან.

2015 წლის 1 ივლისს სრულდება 390 წელი მარაბდის ომიდან.



მარაბდის ბრძოლაში საარაკო გმირობა გამოიჩინეს მეფე თეიმურაზ პირველმა, გიორგი სააკაძემ და მრავალმა სხვამ.

და რომ არა სულსწრაფობა და სიხარბე ქართველთა ერთი ნაწილისა, ეს დღე ისტორიაში შევიდოდა, როგორც ბრწყინვალე გამარჯვების დღე!

ძალაუნებურად ცუდი პარალელების გავლება მიწევს მარაბდის ომსა და 2008 წლის აგვისტოს ომს შორის.

ზოგმა შეიძლება თქვას: რა შუაშია ეს ორი თარიღი?

იმ შუაშია, რომ 2008 წლის ომი ზოგიერთმა გამარჯვებად ჩათვალა, რაც მკრეხელობაა!

ასევე ვერ ვუწოდებ გამარჯვებას მარაბდის ომს, სადაც ათი ათასი საჯიშე ქართველი ვაჟკაცის მზე ჩაესვენა. მათ შორის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თერთმეტი ხერხეულიძის, ცხრა მაჩაბლის, შვიდი ჩოლოყაშვილის და სხვა მრავალის.

საქართველოსთვის ვერაფერი შეღავათია, თუ იმავე ბრძოლაში ოთხი ათასით მეტი ირანელი დაიღუპა, ანუ საერთო ჯამში, ოცჩვენი ევროპულობის მიუხედავად, საქართველოში არ მოქმედებდა ძველი სპარტას კანონი.

მამაკაცი არ მიჰყავდათ ომში, თუ მას შვილი, ძე არ ჰყავდა.

ჩვენდა სამწუხაროდ, ამ საკითხში მაქსიმალისტები აღმოვჩნდით, ოჯახებიდან არა მარტო ცხრა-ცხრა ძმას ვაგზავნიდით ომში, არამედ მათ ოჯახის წევრ ქალებსაც თან ვაყოლებდით.

საქართველოს და სხვა ქვეყნების ისტორიაში ყოფილა მძიმე წლები, როცა ქალი თავის თავზე იღებდა არა მარტო ოჯახის, არამედ ქვეყნის გადარჩენის ფუნქციასაც.

ვთხოვ ჩვენს მშვენიერ ქალბატონებს, როგორმე გააერთიანონ თავიანთი ძალისხმევა და ორგანიზაცია გაუწიონ ერსაც და ბერსაც; ახალგაზრდობას, რათა 1 ივლისს, საიუბილეო დღეს, ყველანი მარაბდაში, ცხრა ძმის საფლავებთან შევხვდეთ ერთმანეთს.

საერთოდ, ეს დღე გადავაქციოთ ჩვენი შეხვედრის დღედ და ადგილად, დაღუპულ გმირთა სადიდებლად და გასახსენებლად.

დაბოლოს, ჩვენო თანალიახვეელებო, თანაფრონელებო, ქსნის არაგვის და სხვა სადროშოების თანამემამულეებო, ვინ უნდა შეინახოს, უკვდავჰყოს და გადასცეს მომავალ თაობებს უკვდავებაში გადასულ თანამემამულე გმირთა სახელები თუ არა ჩვენ?

**პატივისცემით,**
**ენრიკო კვალინიძე**
**593 93 43 46**

ქირავდება ერთოთახიანი ბინა აივნით, ყაზბეგის 47ბ, მეოთხე სართული, ყველანაირი ავეჯით, მაცივრით, სარეცხი მანქანით, ბუნებრივი ცხელი წყლით.
ფასი შეთანხმებით.
ტელ.: 555 410 180

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



***„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კევლიშვილი.***
**ტელ.: 2 79 63 91;**
**0 790 60 64 69;**
**5 93 78 64 69**

* * *

- ორი წლის წინ ჩემი შვილი განქორწინდა მეუღლესთან. ბავშვებს ნახულობს მხოლოდ მამამისისი. ყოფილი რძალი ჩვენ, ბებიას და პაპას, არ გვანახებს შვილიშვილებს. შეგვიძლია თუ არა, მოვითხოვოთ სასამართლო წესით შვილიშვილების ნახვა?

- შეგიძლიათ. სამოქალაქო კანონმდებლობა თქვენ ამის უფლებას განიჭებთ. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1203-ე მუხლის მიხედვით, პაპას და ბებიას უფლება აქვთ, ურთიერთობა იქონიონ თავიანთ არასრულწლოვან შვილიშვილთან მაშინაც, როცა ისინი უშუალოდ არ მონაწილეობდნენ შვილიშვილების აღზრდაში. თუ მშობლები ან მეურვე / მზრუნველი / უარს ეუბნებიან პაპასა და ბებიას შვილიშვილებთან ურთიერთობაზე, სასამართლოს შეუძლია, დაავალდებულოს მშობლები ან მეურვე /მზრუნველი/ საშუალება მისცენ პაპას ან ბებიას, ურთიერთობა იქონიონ შვილიშვილებთან სასამართლოს მიერ დადგენილი წესით, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ეს ხელს არ შეუშლის ბავშვების ნორმალურ აღზრდას და ცუდ გავლენას არ მოახდენს მათზე.

* * *

**-როგორ ისჯება სისხლისსამართლებრივი წესით ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარუდგენლობა?**

-საქართველოს სსკ-ის 355-ე მუხლის მიხედვით,ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარუდგენლობა, ჩადენილი ასეთუ ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელს დადების შემდეგ, ან დეკლარაციაში განზრახ არასრული ან არასწორი მონაცემის შეტანა, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ორას საათამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

* * *

**-შევიძინე მოპარული მობილური ტელეფონი. არის თუ არა ეს დანაშაული?**

-დიახ, ეს გახლავთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული - წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა ან გასაღება. თქვენს შემთხვევაში ჩადენილია წინასწარი შეცნობით მოპარული მობილური ტელეფონის შეძენა, რაც წარმოადგენს სისხლის სამართლებრივი წესით დასჯად ქმედებას.

* * *

**-შეიძლება თუ არა მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის პირს შეეფარდოს უვადო თავისუფლების აღკვეთა?**

-არა.

საქართველოს სსკ-ის 51-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის.

* * *

**-რას ნიშნავს სამოქალაქო სამართალში შეჯიბრებითობის პრინციპი?**

-საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. შეჯიბრებითობის პრინციპი ნიშნავს შემდეგს: მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ ტვაიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

* * *

**-რა შემთხვევაში განიხილავს სამოქალაქო დავას არბიტრაჟი?**

-პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს.

ავეჯის გადაზიდვა

593 20 46 87

# როგორ გადაარჩინა გარდაცვლილმა ქალმა თავისი ერთი წლის შვილი - ნამდვილი თანამედროვე სასწაული



ოთხმა ამერიკელმა პოლიციელმა წლინახევრის გოგონას გადარჩენის შემდეგ სასწაულის არსებობის ირწმუნა. გოგონა მდინარეში ჩავარდნილი მანქანიდან ამოიყვანეს. ლილიმ 14 საათი გაატარა ყინულიან წყალში თავით ქვემოთ, რადგან საბავშვო სავარძელზე ღვედით იყო მიბმული.

ეს ფაქტი იუტას შტატში მოხდა. 25 წლის ლინ გროსბეკი პატარა ქალიშვილთან ერთად მშობლების სახლიდან ბრუნდებოდა. ამ დროს მანქანამ მართვა დაკარგა და მდინარეში ჩავარდა. დედა ადგილზე დაიღუპა. მოგვიანებით იქაურები იხსენებდნენ, რომ საშინელი გრუხუნის ხმა გაიგეს, თუმცა სახლიდან გამოსულებმა საეჭვო ვერაფერი შენიშნეს. მეორე დღეს მეთევზეებმა მდინარეში მანქანის საბურავი დაინახეს და პოლიცია გამოიძახეს.

პოლიციელები, რომლებმაც მანქანა ამოიყვანეს, ირწმუნებოდნენ, იქიდან ვიღაც საცოდავი ხმით შველას გვთხოვდაო. ოთხივე მათგანი ირწმუნებოდა, რომ ქალის ხმა ესმოდათ. ავტომობილში გარდაცვლილი ქალი და უგონო მდგომარეობაში მყოფი ბავშვი იპოვეს. ბავშვი, რომელიც დედამ მგზავრობის წინ სავაძელზე ღვედით მიაბა, თავდაყირა ეკიდა. პატარა გაყინვის პირას იყო. ის სასწრაფო დახმარების ბრიგადამ გადაიბარა.

ოთხი პოლიციელი ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად წყალში გადაეშვა და მაშველი ძალის მოსვლამდე საკუთარი ძალებით ცდილობდნენ, მანქანა როგორმე ზედაპირზე ამოეყვანათ.

„ოთხივეს გარკვევით გვესმოდა მანქანიდან ხმა. ეს ბავშვის ყვირილი არ იყო", - განუცხადა **CNN**-ს ოფიცერმა ჯარედ უორნერმა. მისი თქმით, ამ იდუმალმა ხვეწნამ მათში ძალის საოცარი მოზღვავება გამოიწვია და მანქანა ძლიან სწრაფად ზედაპირზე ამოატივტივეს. იქ ცოცხალი მხოლოდ პატარა ლილი აღმოჩნდა.

მეორე პოლიციელიც იხსენებდა, რომ ქალის ხმა „გვიშველეთო" ემუდარებოდა. ყველა აღნიშნავს, რომ ეს ხმა არაამქვეყნიური იყო, რადგან ქალი რამდენიმე საათის გარდაცვლილი გახლდათ. სასწაულს მიაწერენ გოგონას გადარჩენასაც.

დღემდე გაუგებარია, რამ გამოიწვია ავტოსაგზაო შემთხვევა. ავარიის ადგილზე მუხრუჭების კვალიც არ აღმოჩნდა. შესწავლამ დაადასტურა, რომ დედას არც ალკოჰოლი, არც ნარკოტიკები არ ჰქონდა მიღებული...

პატარა გოგონა ძალიან სწრაფად მოეგო გონს და არც კი გაციებულა. არადა, იმ ღამით ყინვა იყო, წყალი კი კეფამდე ფარავდა. ყველას სჯერა, რომ ბავშვი დედამ იმ ქვეყნიდან იხსნა, სხვანაირად გოგონას გამძლეობას ახსნა არ მოეძებნება.

ნაცნობები კი იხსენებენ, რომ ჯენი (გოგონას დედა) ძალიან კეთილი ადამიანი იყო, არაჩვეულებრივი დედა და ძალიან ლამაზი გოგო.

## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** – უცნობთან დაწყებული თანამშრომლობა თქვენი კარიერისთვის ძალიან სასარგებლო აღმოჩნდება. ფინანსური საკითხების მოგვარებისას არ აჩქარდეთ – უფრო გათვლილი და ბალანსირებული მოქმედება გმართებთ. ოჯახში მომწიფებული კონფლიქტის განმუხტვა მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ.

**კურო** – ყველას, განსაკუთრებით კი, საკუთარი თავის მიმართ ძალიან მომთხოვნი ხართ და უარს ვერავისგან აიტანთ. გონება კარგად გიმუშავებთ და ფინანსურ პრობლემებს შესანიშნავად აგვარებთ. ოჯახში ძალიან მშვიდი და ჰარმონიული სიტუაცია გაქვთ.

**ტყუპები** – ტყუპების ენერგეტიკული მდგომარეობა საკმაოდ არამდგრადია და კარგი იქნება, თუ სიმშვიდეს და კეთილგანწყობას შეინარჩუნებთ. თუმცა თქვენს მატერიალურ მდგომარეობაზე წუწუნი ნამდვილად არ მოგიწევთ.

**კირჩხიბი** – სიმშვიდე და გაწონასწორება გჭირდებათ. იმ უამრავი საქმიანი წინადადებიდან, რომლებსაც ამ დღეებში შემოგთავაზებენ, არცერთი ივარგებს და ამდენად, დაფიქრებაც არ ღირს.

**ლომი** – თუ ამ კვირას ახალი სამსახურებრივი რომანით დაიწყებთ, აუცილებლად გამიჯნეთ ერთმანეთისგან საქმე და პირადი საკითხები. სასიყვარულო ურთიერთობებში კი მართლაც ცხელი დღეები გაქვთ.

**ქალწული** – თქვენი კარიერის საკითხით, ბოლოს და ბოლოს, საკმაოდ კომპეტენტური პირებიც დაინტერესდებიან და დიდი ხნის ნანატრ წარმატებასაც მიაღწევთ.

**სასწორი** – ერთობლივ პროექტზე იწყებთ მუშაობას, რომელიც აუცილებლად წარმატებით დაგვირგვინდება და ამ საქმიდან სხვებზე მეტად თქვენ ისარგებლებთ. ფინანსების საქმე ნამდვილად გამოსწორების გზაზეა.

**მორიელი** – ეს კვირა საკმაოდ ნელა და მძიმედ იწყება, მაგრამ ყველასთვის და განსაკუთრებით თქვენთვის, მოულოდნელი შედეგებით დასრულდება.

**მშვილდოსანი** – მხოლოდ კარიერაზე ფიქრობთ და თქვენი პირადი ცხოვრება უკანა პლანზე გადადის. არ არის გამორიცხული, რომ ამის გამო საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენა გამოგრჩეთ და გვიან მიხვდეთ.

**თხის რქა** – სარისკო საქმეებს, ჯობია თავი აარიდოთ. განსაკუთრებით კი კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს ერიდეთ. ოჯახში თითქმის ერთგვარი გაუცხოება შეინიშნება, მაგრამ დროებით ერთმანეთისგან დასვენება ყველასათვის სასარგებლო აღმოჩნდება.

**მერწყული** – საკმაოდ დაძაბული მოვლენების ცენტრში აღმოჩნდებით და მაქსიმალური შემართების და მოთმინების გამოჩენა მოგიწევთ.

**თევზები** – ფინანსური საკითხები ამ კვირაში ნაკლებად გადარდებთ, ოჯახის წევრებსაც საკმაოდ სერიოზული პრობლემები აქვთ, მაგრამ კვირის ბოლოსთვის ყველაფერი მოგვარდება.


## სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

**მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს.**
**მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:**
**ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)**
**ტელ: 557 358 900, 34 21 63**

## ქოზიფას მამათა მონასტრის განვითარების ფონდი



დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან
**0 901 500 540**
თიბისი ბანკი
ა/ნ GE88TB1117236080100001






გამოვიდა სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალ „რიწის" ახალი ნომერი, რომელშიც იხილავთ ვახტანგ ხარჩილავას, გულო კობიაშვილის, გურამ პეტრიაშვილის, ჯარჯი ფხოველის, დავით გაბუნიას, როლანდ ნიჟარაძის, თორნიკე გოგნიაშვილის, გიზო თავაძის, ილია ერქვანიას პოეტურ და პროზაულ ნაწამოებებს, სხვა ქართველი მწერლების ნარკვევებს, კრიტიკულ წერილებს და ახალ თარგმანებს. აგრეთვე ლევან ანჯაფარიძის, ზაურ კალანდიასა და ლაშა იმედაშვილის კინოსცენარს მხატვრული ფილმისთვის.